

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი

რ ი დ ე რ ი

შეადგინა თამაზ ჯოღოტუამ

2013

სარჩევი:

სალექციო კურსი ----- 3-63

ინფორმაცია როგორც ჟურნალისტიკის ფუნდამენტური ცნება..	3
ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები	5
ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა (ურთიერთმიმართება)	11
პუბლიცისტიკა და პუბლიცისტური მიზანდასახულობა	15
ჟურნალისტიკა როგორც საინფორმაციო საქმიანობის ერთიანი სისტემა	19
მასმედიის სახეები და გამოხატვის საშუალებები	24
ჟურნალისტიკა და დემოკრატია	32
ჟურნალისტიკა და ეროვნული თვითშემეცნება	37
ჟურნალისტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები (ჟურნალისტიკა და ინტეგრაციული პროცესები)	42
ჟურნალისტიკა და ჰუმანიზმის პრინციპები	52
რეკრეატიული და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციები და მათი ურთიერთმიმართება ჟურნალისტიკაში	56
თავისუფლების ცნება ჟურნალისტიკაში	60

წყაროები ----- 64-90

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	64
საქართველოს კონსტიტუცია (თავი მეორე)	71
ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაცია	82
პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები	84
კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია	87

პუბლიცისტური ტექსტები ----- 90-138

მიგელ დე უნამუნო. ესპანეთის თანამედროვე მარაზმისათვის	91
მიგელ დე უნამუნო. ანტიპოლიტიკოსები	97
ილია ჭავჭავაძე. „ივერიის“ წინასიტყვაობა (I)	102
ილია ჭავჭავაძე. დავით აღმაშენებელი	107
ილია ჭავჭავაძე. მაჰმადიანთ გაქრისტიანება	111
ნიკო ნიკოლაძე. ფრანგული პრესის დეკადანსი	113
ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი	122
ვაჟა-ფშაველა. რა არის თავისუფლება?	125
ვლადიმერ ბუკოვსკი. პოლიტკორექტულობა ლენინიზმზე უარესია	130
ჯემალ ქარჩხაძე. მონოლოგი დიალოგიდან	135

ინფორმაცია როგორც ჟურნალისტიკის ფუნდამენტური ცნება

ჟურნალისტიკა (მასმედია, მედია) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროა და მიზნად ისახავს აქტუალური (საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე / საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი) ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას მასობრივი ჟურნალისტურ-საკომუნიკაციო საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) გამოყენებით. ამასთანავე, ჟურნალისტური არსების მეშვეობით ხდება არა მარტო აქტუალური ინფორმაციის გავრცელება (საზოგადოების ინფორმირება), არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა, საზოგადოებისათვის ალტერნატიული შეხედულებების მიწოდება და ამ გზით ამა თუ იმ ფაქტის (მოვლენის, პროცესის) გარშემო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ამ ტიპის საქმიანობით (განსაკუთრებით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით) ჟურნალისტიკა მონაწილეობს საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემების მართვაში, რის გამოც ჟურნალისტიკას „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებენ. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტიკა სახელისუფლებო-მმართველობითი ორგანო ან შტოა. „მეოთხე ხელისუფლება“ ჟურნალისტიკის პირობითი განსაზღვრებაა, ერთგვარი მეტაფორაა. სინამდვილეში, ხელისუფლების სამი შტო არსებობს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ხოლო რაც შეეხება ჟურნალისტიკას, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც „ინსტრუმენტი“ საზოგადოების (ხალხის) ხელში, რომლის მეშვეობითაც ეს საზოგადოება (ხალხი) აკონტროლებს საკუთარ (მის მიერვე არჩეულ და წინასწარგანსაზღვრული ვადით დაქირავებულ) ხელისუფლებას ზოგადად, თუ მის ცალკეულ შტოებსა თუ სტრუქტურებს.

ტერმინი „ჟურნალისტიკა“ მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „journal“ (დღიური, გაზეთი). თავდაპირველად იგი აღნიშნავდა ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემას, უფრო ზუსტად – გაზეთისა და ჟურნალის დღევანდელი გაგების ერთობლიობას. შემდეგ მისი შინაარსობრივი და ცნებითი მნიშვნელობა გაფართოვდა და დღეს „ჟურნალისტიკა“ თავის თავში მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის ფართო სპექტრს, მის ფარგლებში არსებული პროფესიების ერთობლიობას.

ჟურნალისტიკაში ფუნდამენტური ცნებაა „ინფორმაცია“ [„საზოგადოების დუღაბი“, როგორც მას კიბერნეტიკის „მამა“ ნორბერტ ვინერი (1894-1964) უწოდებდა].

საერთოდ, ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია პროფესიული მოვალეობის შესრულება სათანადო (ძირითადად, სპეციფიკური) ინფორმაციის გარეშე, მაგრამ ნებისმიერ სპეციალისტს პროფესიული თვალსაზრისით ამ კონკრეტული პროფესიის თავისებურებებით განსაზღვრული ინფორმაცია აინტერესებს (მაგალითად, ექიმისათვის ინფორმაციის წყარო პაციენტის სხეულია; არქეოლოგი საჭირო ინფორმაციას მიწის ქვეშ ეძებს, ასტრონომი – ზეცაში და სხვ.), ჟურნალისტიკაში კი განსხვავებული ვითარებაა. საქმე ისაა, რომ ჟურნალისტური ინტერესების სპექტრს (არეალს), ფაქტობრივად, საზღვარი არა აქვს. ჟურნალისტის „აუდიტორია“ (მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი) უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, არსებითად, მთელი საზოგადოება – განურჩევლად რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვ. კუთვნილებისა, სოციალური მდგომარეობისა, ფიზიკური თუ ინტელექტუალური მდგომარეობისა და ა. შ.; შესაბამისად, უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია თვითონ „აუდიტორიის“ ინფორმაციული ინტერესები და მოთხოვნები. ამდენად, ჟურნალისტიკის პროფესიული ინტერესის საგანია საზოგადოებრივი მნიშვნელობის უკლებლივ ყველა ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც სინამდვილეში ხდება. მას აინტერესებს საზოგადოებრივი პროცესების ნებისმიერი ასპექტი, სინამდვილის ნებისმიერი სფერო. ჟურნალისტს ევალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ მოვლენებსა თუ პროცესებში, ასახოს და გააანალიზოს ისინი და ა. შ.

ასე რომ, თუ ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში, – ვიმეორებთ, პროფესიული თვალსაზრისით, – მხოლოდ მისთვის საჭირო სპეციფიკური ინფორმაცია აინტერესებთ, ჟურნალისტისათვის ამგვარი შემოსაზღვრული არეალი ინფორმაციული ინტერესებისა არ არსებობს და, შესაბამისად, ჟურნალისტიკაში ფუნდამენტური ცნებაა არა კონკრეტული სპეციფიკის მქონე ინფორმაცია, არამედ – მასობრივი ინფორმაცია.

ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები

1. ზეპირი გაზეთი

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი გზით ვრცელდებოდა. შემდეგ გაჩნდა დამწერლობის საშუალებით ინფორმაციის ფიქსირების შესაძლებლობა და საბოლოოდ ეს ხანგრძლივი პროცესი თანამედროვე ჟურნალისტურ-საკონუნიკაციო საშუალებების შექმნით დაგვირგვინდა.

ინფორმაციის გავრცელება ზეპირი გზით ანუ ზეპირი გაზეთი ჟურნალისტიკის ჩასახვა-განვითარების პირველი საფეხურია.

ზეპირი გაზეთის, – ისევე როგორც თანამედროვე მასმედიის, – ძირითადი ფუნქცია იყო აქტუალური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება.

საერთოდ, სწრაფვა საინფორმაციო წყაროს მოპოვებისაკენ ადამიანს იმთავითვე ახასიათებდა. ამ მხრივ, საგულისხმოა, ვთქვათ, ჯადოსნური სარკე, რომელიც ზეპირსიტყვიერებაში ზოგადად და, კერძოდ, ქართულ ზღაპრებშიც გვხვდება: „ისეთი სარკე მომიტანე, რომ დედამიწის ზურგზე რაც ამბავია და მალეა ცაში რაც ამბავია, ყველაფერი დამანახოს“...

ზეპირი გზით ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება თავდაპირველად სტიქიურად ხდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ინფორმაციის მოთხოვნილებამ და, შესაბამისად, მისი გავრცელების საჭიროებამ საამისოდ საჭირო საშუალებები და ადგილები წარმოშვა; კერძოდ – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. ასეთი ადგილები, რასაკვირველია, საქართველოშიც არსებობდა. ასე, მაგალითად, ხევსურეთში (შატილში) იყო სპეციალური შენობა – საფიხვნო, სადაც იკრიბებოდნენ თემის წარმომადგენლები და წყვეტდნენ საჭირობოროტო საკითხებს. აქვე შეკრებილნი გრეხდნენ თოქს, ამუშავებდნენ ტყავს, ამზადებდნენ თოფისწამალს. ამასთანავე, ერთმანეთს აცნობდნენ ახალ ამბებს, მსჯელობდნენ ფაქტებსა თუ მოვლენებზე: „იამბობდნენ ზოგ სამტროს, ზოგ სასიკეთოს. ვინა ვინ მომავლს, ყველა იქ მივა. დასხდებიან, ილაპარაკებენ უცხო ამბებს“.

ასეთი თავშეყრის ადგილი თბილისშიც იყო და მას „სალაყოს“ უწოდებდნენ. „სალაყოს“ არსებობა დასტურდება 1870-იანი წლების თელავშიც.

საზოგადოების თავშეყრისა და, შესაბამისად, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის პუნქტები იყო: სოფლის მოედნები, ეკლესიის ეზო, წისქვილები და ა.

შ.; ამ მხრივ, საინტერესო ადგილი იყო თბილისის აბანოები – თბილისელთა თავისებური „კლუბები“. აქ იკრიბებოდნენ (ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში რჩებოდნენ) ნაცნობ-მეგობრები, საუბრობდნენ, აგვარებდნენ სავაჭრო საქმეებს, აწყობდნენ შეჯიბრებებს ნარდსა თუ ჭადრაკში. აქვე თავს იყრიდა ნაირგვარი ინფორმაცია, ქალაქის ყოველდღიური ამბები და ყველა ეს ინფორმაცია აქედანვე ვრცელდებოდა ქალაქში.

ზეპირ გაზეთს ის არსებითი ხასიათის ნაკლი ჰქონდა, რომ მისი გავრცელებისა და, შესაბამისად, ინფორმაციის ზემოქმედების ტერიტორიული არეალი შეზღუდული იყო. ამასთან, გავრცელებულ ცნობებს არ ახასიათებდა სიზუსტე – ინფორმატორები ხშირად საკუთარი სურვილისა თუ ინტერესების შესაბამისად ასხვაფერებდნენ მიღებულ ინფორმაციას, აყალბებდნენ ფაქტებს და ასეთი სახით გადასცემდნენ სხვებს...

ერთი სიტყვით, ზეპირმა გაზეთმა თავის დროზე ნიადაგი მოუმზადა ხელნაწერ თუ ნაბეჭდ პრესას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი, თანადროული მედიაკომუნიკაციების პარალელურად მეტ-ნაკლები ინტენსივობით არსებობდა შემდგომ პერიოდებშიც, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, სადაც არსებობდა მკაცრი ცენზურა და საზოგადოებას არ მიუწვდებოდა ხელი, მედიასაშუალებებისაგან მიეღო მისთვის სასურველი, ხოლო ხელისუფლების აზრით „კრამოლური“ ინფორმაცია.

2. ხელნაწერი პრესა

ხელნაწერი პრესა მეორე საფეხურია თანამედროვე მედიაკომუნიკაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე. ხელნაწერი პრესის წარმოშობა ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა. კერძოდ, რომის იმპერიის ტერიტორიულ გაფართოებასთან დაკავშირებით მის მმართველებს დასჭირდათ ცენტრიდან დაშორებულ პროვინციებთან უშუალო ინფორმაციული კავშირის ორგანიზება, იქ დროული და ზუსტი ფიქსირებული ინფორმაციის გავრცელება. გერმანელი მეცნიერის, კარლ ბიუხერის, თქმით – „ძველ ქალაქ-რესპუბლიკებს არ სჭირდებოდათ გაზეთი. ინფორმაციის გასავრცელებლად მათ ჰყოფნიდათ ამ საქმისათვის გამოყოფილი სპეციალური პირები (ე. წ. მაუწყებლები). მაგრამ მას შემდეგ, რაც რომის იმპერია უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაიჭიმა, გაჩნდა მოთხოვნილება ისეთი საკომუნიკაციო საშუალების არსებობისა, რომელიც დედაქალაქში მიმდინარე ამბების, მოვლენებისა და პროცესების კურსში ჩააყენებდა მმართველი ფენის წარმომადგენლებს, ვაჭრებს და სხვ.“

წერილობით გაზეთს სათავე დაუდო იულიუს კეისარმა (ძვ. წ. 100-44). მისი ბრძანებით, თაბაშირით დაფარულ დაფაზე იწერებოდა სენატის სხდომებისა და გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი. ამ დაფებისაგან იღებდნენ ასლებს, რომლებიც ეგზავნებოდა დაწესებულებებსა თუ თანამდებობის პირებს. ასლებს აკრავდნენ თავშეყრის ადგილებში, ხოლო ორიგინალებს არქივში ინახავდნენ. მათ „acta senatus“-ს უწოდებდნენ. მალე კეისარმა ისეთი „აქტების“ გამოცემაც ბრძანა, რომლებშიც სხვადასხვა ხასიათის აქტუალური ინფორმაცია დაიწერებოდა (ძირითადად, ახალი ამბები).

რომის იმპერიის დაცემის კვალდაკვალ საგაზეთო საქმიანობაც მოიშალა. იგი დიდი ხნის შემდეგ, – XV საუკუნეში, – აღორძინდა ვენეციაში. მაშინდელი ვენეცია იყო მდიდარი რესპუბლიკა, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალ სახელმწიფოსთან.

ვენეციაში დაიწვეს აქტუალური ცნობების შეკრება, სისტემატიზაცია და თანდათანობით ამ საქმემ პროფესიული ხასიათი შეიძინა – შეიქმნა ინფორმაციით მოვაჭრე დაწესებულებები, სპეციალური კანტორები. კორესპონდენტთა ბიუროების საქმიანობა გაფართოვდა, გაღრმავდა და ფართო საზოგადოებრივი ფენების ინტერესი გამოიწვია. „რეპორტიორები“ შიგადაშიგ არ ერიდებოდნენ საერო თუ საეკლესიო ხელისუფლებისათვის არასასურველი ცნობების გამოქვეყნება-გავრცელებას, მათს კომენტირებასაც კი, რასაც არცთუ იშვიათად სადამსჯელო ღონისძიებებიც მოჰყვებოდა ხოლმე. ასე, მაგალითად, XVI საუკუნეში რომის პაპებს, პიუს V-სა და გრიგოლ VII-ს, აუკრძალავთ ხელნაწერი გაზეთები, დაუსურავთ შესაბამისი ბიუროები, ხოლო მეგაზეთეებს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გემზე მენიხბედ მიჯაჭვით დამუქრებიან.

ვენეციის კვალდაკვალ გაზეთი-ბიულეტენები ჩნდება სხვა ქვეყნებშიც (გერმანია, ინგლისი, პოლანდია და სხვ.; სხვათა შორის, ტერმინი „გაზეთი“ მომდინარეობს ვენეციაში არსებული ვერცხლის ფულის სახელწოდებიდან – „გაძეტა“).

ხელნაწერი გაზეთები არალეგულარულად გამოდიოდა – უმეტესად ბაზრობებთან და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ხელნაწერმა პრესამ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი. ამ ტიპის ინფორმაციით დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო სახელმწიფო მოხელეები, არამედ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილიც და, განსაკუთრებით – ვაჭრები, რომლებიც ხშირად საკუთარი ხარჯით აგროვებდნენ მასალებს და ხელნაწერი გაზეთის გამოცემას თვითონვე აფინანსებდნენ. ავსტრიის საიმპერატორო

სასახლის სიძველეთსაცავებში დაცულია ფუგერების სავაჭრო სახლის 1568-1604 წლების ხელნაწერი გაზეთ-ბიულეტენების უძველესი კომპლექტები.

დიდი გერმანელი გამომგონებლის, იოჰან გუტენბერგის (გარდ. 1468) მიერ XV საუკუნის შუახანებში სტამბის შექმნამ განაპირობა ნაბეჭდი პრესის წარმოშობა. დროთა განმავლობაში ნაბეჭდმა პრესამ ჯერ შეავიწროვა ხელნაწერი პრესა, ხოლო XVII საუკუნიდან მან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი პრესა (გაზეთი, ჟურნალი, აღმანახი...) ნაბეჭდი პრესის პარალელურად კიდევ დიდხანს არსებობდა.

საკუთრივ საქართველოში პრესის ისტორია XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან იწყება, თუმცა პარალელურად ხელნაწერი პრესის რამდენიმე ნიმუშიც მოგვეპოვება – თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა (მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით მაჩაბელი და სხვ.) მიერ 1833 წელს შედგენილი აღმანახი (ერთადერთ ეგზემპლარს თავფურცელი აკლია და ამიტომაც მისი სახელწოდება არ არის ცნობილი) და მათ მიერვე 1835-1836 წლებში რუსულ ენაზე გამოშვებული ხელნაწერი ჟურნალი „Цветок Тифлисской гимназии“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“; სულ გამოვიდა 5 ნომერი. აქ გამოქვეყნებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის, ლევან მელიქიშვილისა და სხვათა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები; სოლომონ დოდაშვილის ორი სტატიის თარგმანი და სხვ.).

3. ნაბეჭდი პრესის აღმოცენება

წარმოშობა ჟურნალისტიკისა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, როგორც აღინიშნა, იოჰან გუტენბერგის სახელს უკავშირდება. საერთოდ, პოლიგრაფიის შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივ პროგრესსა და კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ, ჟურნალისტიკა გამონაკლისი ვერ იქნებოდა – დაიწყო ბეჭდური პრესის რეგულარული გამოცემა: გერმანიაში 1609 წლიდან, პოლანდიაში 1616 წლიდან, ინგლისში 1622 წლიდან, საფრანგეთში 1631 წლიდან, რუსეთში 1702 წლიდან და ა. შ.

განვითარების რამდენიმესაუკუნოვან გზაზე ჟურნალისტიკა ამა თუ იმ ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული პროგრესისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა. გაიზარდა ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი და გავრცელების არეალი, ჩამოყალიბდა სპეციფიკური კომუნიკაციური ჟანრები, დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა მასკომუნიკაციის სახეები (რადიო, ტელევიზია,

ინტერნეტი...), ფორმები, ტექნოლოგიური ასპექტები და ა. შ.; თანამედროვე ცხოვრება შეუძლებელია ჟურნალისტიკის გარეშე...

კაცობრიობის ცხოვრებაში ჟურნალისტიკის როლისა და მნიშვნელობის ნათელსაყოფად შეიძლება დავიმოწმოთ გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსისა და სოციოლოგის, ჰენრი თომას ბოკლის (1821-1862), თვალსაზრისი, რომელიც მას ჩამოყალიბებული აქვს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“: „დიდებულმა საჯარო პრესამ ყველა სხვა მიზეზზე მეტად ჩაუნერგა ხალხს საკუთარი ძალების რწმენა და, შესაბამისად, წარმოუდგენელი ძალით შეუწყო ხელი ინგლისის ცივილიზაციის წარმატებას“.

როგორია ნაბეჭდი პრესის ჩასახვა-განვითარების გზა საქართველოში?

გაზეთის გამოცემის საკითხი ჩვენში მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს დადგა. კერძოდ, 1799 წელს იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ სახელმწიფო სტრუქტურების გარდაქმნის პროექტში („სჯულდება“) შეტანილია ერთი ასეთი პუნქტი: „იბეჭდებოდეს გაზეთი ორჯერ, აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან“. ხოლო მისსავე თხზულებაში „კალმასობა“, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდის სინამდვილეს ასახავს, ნათქვამია:

„ბატონიშვილებს აქენდეთ გაზეთნი და უწყოდენ იგი“. მაგრამ საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური კატაკლიზმების გამო გაზეთის გამოცემა მხოლოდ 1819 წელს მოხერხდა და ისიც ადგილობრივი რუსული ხელისუფლების მიერ და მისი ასიმილაციური პოლიტიკის ინფორმაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით. პირველი ქართული გაზეთის სახელწოდება იყო „საქართველოს გაზეთი“ (1820 წლიდან – „ქართული გაზეთი“; 1821 წელს დაიხურა ხელის მომწერთა სიმცირის გამო). 1828 წელს გამოიცა მეორე ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (იმავე მიზეზით დაიხურა 1832 წელს), ხოლო 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ეს არის პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც ქართველი მოღვაწეების ინიციატივით დაარსდა, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებს ემსახურებოდა და, შესაბამისად, სწორედ ამ ჟურნალით იწყება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია), ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა

და ნაციონალური თვითდამკვიდრების სასიცოცხლო მისია ძირითადად ქართულმა ჟურნალისტიკამ იკისრა. ქართულმა პრესამ და მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა (სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვ.) მხატვრულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზე დაფუძნებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები, თეატრი და სხვ.) შეძლო საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება, ეროვნული იდეოლოგიის შექმნა და გავრცელება, ქართული კულტურის აღორძინება და ამით რუსეთის იმპერიის ასიმილაციური პოლიტიკის დამარცხება. XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია არსებითად არის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია...

ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა (ურთიერთმიმართება)

ჟურნალისტიკა, როგორც ითქვა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროა და მიზნად ისახავს აქტუალური ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებასა და გავრცელებას მასკომუნიკაციური არხების მეშვეობით. იგი ცხოვრებას ასახავს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მაგრამ, ამასთანავე, ჟურნალისტიკა არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, გარდაქმნის და გარკვეული მიმართულებით წარმართავს საზოგადოებრივ აზრს.

ჟურნალისტიკას, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ორგვარი დანიშნულება უნდა ჰქონდეს:

„ჟურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუღილშია, ფეხშეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თავის დუღილში, თავის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალწინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავის ადგილის მიზომვა... ამ სახით, ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჰსჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“.

ჟურნალისტიკა, გარდა საზოგადოების ინფორმირებისა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალებაცაა. ამ უკანასკნელ ფუნქციას კი იგი პუბლიცისტიკის მეშვეობით ახორციელებს.

ტერმინი პუბლიცისტიკა მომდინარეობა ლათინური სიტყვიდან – „Publicus“, რაც ნიშნავს „საზოგადოებრივს“. იმავე წარმოშობისაა სიტყვა „პუბლიკა“, რომელშიც იგულისხმება საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც რაიმე ფორმით მიემართავთ (ზეპირმეტყველებით, წერილობით, პირობითი ნიშნებით და სხვ.; შესაბამისად „პუბლიკა“ შეიძლება იყოს მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი, პირობით ნიშანთა გამგებ-გამშვიფრავეები და სხვ.; მარკეტინგსა ან რეკლამაში –

„მიზნობრივი ჯგუფები“ და სხვ.). ჟურნალისტური საქმიანობა პუბლიკასთან აუცილებელ და უწყვეტ ურთიერთობას გულისხმობს.

პუბლიცისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ტექსტია (ნარატივია) თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

საგულისხმოა პუბლიცისტიკის ის განსაზღვრაც, რომელიც ეკუთვნის XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართველ ლიტერატორსა და მოღვაწეს კიტა აბაშიძეს (1870-1917): „პუბლიცისტური ლიტერატურა პოლიტიკური და საზოგადოებრივი **მოქმედების** იარაღია“. აღსანიშნავია, რომ **მოქმედებას** მიიჩნევს პუბლიცისტიკის განმსაზღვრელ ნიშნად XX საუკუნის დიდი ამერიკელი პუბლიცისტი უოლტერ ლიპმანიც (1889-1974).

გამოყოფენ ლიტერატურის სამ ძირითად ტიპს: მხატვრულ ლიტერატურას, მეცნიერულ ლიტერატურას და პუბლიცისტურ ლიტერატურას. თითოეული მათგანი თავისებურად ასახავს სინამდვილეს, საერთო კი მათ ის აქვთ, რომ სამივე სფერო ლიტერატურული მოღვაწეობისა **სიტყვის** განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ეყრდნობა.

სინამდვილის **მხატვრული** ასახვის სპეციფიკური თავისებურება იმითაა განპირობებული, რომ თვით ეს ასახავი საგანი ეყრდნობა გამონაგონს, შეთხზულს, მწერლის ფანტაზიით შექმნილს. შეთხზვა, გამოგონება, ფანტაზია მხატვრული შემოქმედების ორგანული თვისებაა, განზოგადების საფუძველთა საფუძველია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მხატვრული ტექსტის საფუძველი შეიძლება გახდეს ნამდვილი (რეალური) ამბავი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემოქმედს ეს ფაქტი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა ახალი რეალობის, ახალი სინამდვილის („გამონაგონი სინამდვილის“) შექმნის შესაძლებლობას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პუბლიცისტიკას მხოლოდ და მხოლოდ რეალურად მომხდარი ფაქტები და მოვლენები აინტერესებს და, თანაც, პუბლიცისტი ამ ფაქტებსა და მოვლენებს სხვა რეალობებთან კავშირში (სხვა რეალობების კონტექსტში) განიხილავს (ანალიზებს, შეაჯერებს, იძლევა ინტერპრეტაციებს და სხვ.), ადვილად დავრწმუნდებით, რომ ასახვის ფორმებითა და მეთოდებით მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკას შორის პრინციპული ხასიათის სხვაობაა.

რაც შეეხება მეცნიერული და პუბლიცისტური ტექსტების ურთიერთმიმართებას...

მეცნიერება **რეალური** ფაქტების, მოვლენების, პროცესების სისტემატიზაციასა და შესწავლა-გამოკვლევას ისახავს მიზნად. იგი

სინამდვილეს ასახავს ისე, როგორც სინამდვილეშია. მხატვრულ ტექსტში თხრობა აგებულია „მხატვრულ ლოგიკაზე“, მეცნიერებაში კი – „რეალურ ლოგიკაზე“. შესაბამისად, მწერალი აზროვნებს სახეებით, მეცნიერება – ცნებებით.

როგორც ვხედავთ, ასახვის პრინციპებით პუბლიციტიკას, – მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, ბევრი აქვს საერთო მეცნიერებასთან, თუმცა განსხვავებებიც თვალსაჩინოა:

საზოგადოდ მეცნიერებას თანაბრად აინტერესებდ წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც; პუბლიცისტიკის ყურადღება კი მთლიანად ფოკუსირებულია აწმყოზე, დღევანდელობაზე. მისი ყურადღების უმთავრესი საგანი „აწინდელი [ახლანდელი, დღევანდელი] ცხოვრებაა თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა“ (ი. ჭავჭავაძე). სხვათა შორის, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ფრანგ მწერალსა და მოაზროვნეს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს, ანდრე ჟიდს (1869-1951), როცა ამბობდა: „მე უურნალიზმს ვუწოდებ ყოველივე იმას, რაც ხვალ ნაკლებად საინტერესო იქნება, ვიდრე დღეს“.

პუბლიცისტი, რასაკვირველია, შეიძლება დააინტერესოს წარსულმაც და მომავალმაც, მაგრამ იგი წარსულის ცოდნასა თუ მომავლის ხედვას თანამედროვეობის სამსახურში აყენებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **პროფესიული თვალსაზრისით**, პუბლიცისტს წარსულის ცოდნაცა და მომავლის განჭვრეტის უნარიც დღეს მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებზე, დღეს მიმდინარე პროცესებზე მსჯელობისათვის, მისი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი, სიღრმისეული ანალიზისათვის სჭირდება (ზოგადად წარსულისა და, სახელდობრ, საკუთარი ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა და გააზრება ისედაც აუცილებელია უურნალისტის **მოქალაქეობრივი** მრწამსისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკულ საქმეში რეალიზაციისათვის).

ვინაიდან თანამედროვე ცხოვრების რიტმი უაღრესად მძაფრია და დინამიკური, ვინაიდან დღეს მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება და იცვლება, ვინაიდან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში ახალ-ახალი ინფორმაცია ყოველი მხრიდან **უწყვეტად** მოედინება, ამა თუ უმ ფაქტის (მოვლენის, პროცესის) გარშემო საზოგადოებრივი აზრის შექმნა და გარკვეული მიმართულებით წარმართვა სწრაფად, მყისიერად უნდა მოხდეს. ამიტომაც პუბლიცისტს, ჩვეულებრივ, არ ახასიათებს ყოყმანი და მერყეობა – იგი განუწყვეტლივ მოქმედებს, სწრაფად აზროვნებს, მომენტალურად აყალიბებს

შეხედულებებს, ვერსიებსა თუ ინტერპრეტაციებს, საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე მის მსჯელობას გარკვეული კატეგორიულობა ახასიათებს... ამ მხრივ, მოვლენების შეფასებისას პუბლიცისტიკა წინ უსწრებს უფრო ფრთხილსა და დაკვირვებულ მეცნიერებას...

აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარ სიჩქარეში სულაც არ არის გამორიცხული ერთგვარი ზედაპირულობა, ცალკეული ფაქტისა თუ მოვლენის არასწორი ინტერპრეტაცია (პუბლიცისტი, მეცნიერისაგან განსხვავებით, ვერ დაელოდება მოვლენის დასრულებას. მან ეს მოვლენა მისი მიმდინარეობის პროცესშივე უნდა განიხილოს). ამიტომაც წერდა, სხვათა შორის, თავის დროზე ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე მეტიუ არნოლდი (1822-1888) – „ჟურნალისტიკა ნაჩქარევი ლიტერატურაა“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მიმდინარე აქტუალური ცხოვრებისეული პროცესების გარშემო საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულებების ფორმირებაში პუბლიცისტიკის განმსაზღვრელი როლი უდავოა. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია გერმანელი მწერლისა და პუბლიცისტის, კარლ გუცკოვის (1811-1878) სიტყვები: „ჟურნალისტები დროის ბებიასა და მესაფლავენი არიან“.

პუბლიცისტიკა და პუბლიცისტური მიზანდასახულობა

პუბლიცისტიკა, როგორც ითქვა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ტექსტია თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. მისი ძირითადი მიზანი ამა თუ იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემის ანალიზი და ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა. მაგრამ ცალკეული მოვლენებისა და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური პოზიციებისა თუ პრინციპების გარშემო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ადამიანის მოღვაწეობის (კომუნიკაციის – ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) სხვა სფეროებიც ისახავდეს მიზნად: მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება... ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანთა მიერ გარკვეულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დაფუძნებული ინფორმაციის შექმნას (შინაარსობრივი იქნება იგი თუ, ვთქვათ, ხელოვნებაში – სახეობრივი), – გარდა შემეცნებითი თუ ესთეტიკური ღირებულებისა, – შესაძლებელია, პუბლიცისტური მიზანდასახულობაც ჰქონდეს. უფრო მეტიც, ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური შეხედულების პერმანენტულ (უწყვეტ) პოპულარიზაციას ამ შეხედულების საზოგადოებრივ შემეცნებაში დამკვიდრების მიზნით, – რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, – მკვეთრად გამოხატული პუბლიცისტური მიზანდასახულობა გააჩნია. სრულებით არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მეცნიერი ერნესტ რენანი (1823-1892) ბიბლიურ წინასწარმეტყველებს „ძველი დროის პუბლიცისტებს“ უწოდებდა. რენანს აქ, რასაკვირველია, პუბლიცისტური მიზანდასახულობა ჰქონდა მხედველობაში.

სხვათა შორის, პუბლიცისტური მიზანდასახულობა ჰქონდა ხშირად ძველი ორატორების საჯარო გამოსვლებსაც. ასეთ შემთხვევაში, მჭევრმეტყველება უშუალოდ მიემართება მსმენელს, რის გამოც ორატორი და მსმენელი ერთმანეთს შემოქმედებით პროცესშივე ხვდებიან. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ორატორს შესაძლებლობას აძლევს, უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე, დაარწმუნოს იგი, ჩამოაყალიბოს კოლექტიური აზრი და წარმართოს იგი სასურველი მიმართულებით.

პუბლიცისტური მიზანდასახულობა შეიძლება ჰქონდეს მეცნიერებსაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ XIX-XX საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია. საქმე ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსებისა თუ საზოგადო

მოდვაწეების საისტორიო ნაშრომები მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებს არ ემსახურებოდა. ამ ნაშრომებს მკაფიოდ გამოხატული პატრიოტულ-პუბლიცისტური მიზანდასახულობაც ჰქონდა. კერძოდ, ისტორიული წარსულის ასახვითა და გამოკვლევით ავტორებს სურდათ ეროვნული ნიჰილიზმის აღმოფხვრა, ქართველი საზოგადოების დარწმუნება, რომ იგი (ეს საზოგადოება) შთამბეჭდავი პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრე იყო. ეს, მათი შეხედულებით, უნდა ქცეულიყო (იქცა კიდევაც!) ქართველთა ეროვნული თვითშეგნების აღორძინება-განმტკიცებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გავითარების საკმაოდ ეფექტურ საშუალებად [თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (1894-1965) საგანგებოდ მიუთითებდა: „ისტორია და პატრიოტიზმი ერთიმეორისაგან განუყოფელია. მეორე პირველის საფუძველია. ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. პატრიოტიზმთან გარკვეული დამოკიდებულების გარეშე ისტორიოგრაფია წარმოუდგენელია“].

სრულიად საპირისპირო პუბლიცისტური მიზანდასახულობა ჰქონდა XX საუკუნეში საბჭოურ ისტორიოგრაფიას, რომელიც მიზნად ისახავდა ბოლშევიკურ-კომუნისტური ბრძოლისა და ცხოვრების წესის, ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის ჰეროიზაციას, კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე დაყრდნობითა და გაყალბებული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდით ასაბუთებდა ერების შერწყმისა და მის საფუძველზე ახალი ერის – საბჭოთა ერის – ჩამოყალიბების აუცილებლობას.

პუბლიცისტური მიზანდასახულობის კუთხით უაღრესად ეფექტურია მხატვრული ტექსტი. საქმე ისაა, რომ მხატვრული ფორმით ჩამოყალიბებული ესა თუ ის იდეა ან თვალსაზრისი ადამიანების ცნობიერებაზე შთამბეჭდავად აღიბეჭდება, მას დამარწმუნებლობის უნარი აქვს და შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ კლასიკური ქართული მხატვრული ლიტერატურა.

ქართული ორიგინალური მწერლობის ისტორია, როგორც ცნობილია, იწყება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლებით, რომელთაც, – გარდა წმინდა ლიტერატურულ-მემოქმედებითი ღირებულებისა, – თავის დროზე მკაფიოდ გამოკვეთილი პუბლიცისტური მიზანდასახულობაც ჰქონდა. კერძოდ, წმინდანთა ცხოვრებისა თუ მოწამებრივი აღსასრულის აღწერით ავტორები ხელს უწყობდნენ ქართველთა შორის ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებას. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, სასიკეთო გავლენას ახდენდა ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზე, კრავდა და აერთიანებდა მას მტრის წინააღმდეგ

ბრძოლაში, განამტკიცებდა სახელმწიფოებრივ თვითარსებობასა და ეროვნულ თვითმყოფადობას („აბოს წამების“ ავტორი პირდაპირ ამბობს – ამ ტექსტს იმიტომ ვწერ, რომ ხალხში ქრისტიანული რწმენა დასუსტდა, ქართველები „შიშითა განიღვებინა და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის „ჩვეულებისაებრ მამულის სვლას“). ყოველივე ამას, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს ეკლესია, რომელმაც ჩვენში იმთავითვე იტვირთა არა მარტო საღვთისმსახურო, არამედ პატრიოტული და კულტურულ-საგანმანათლებლო მისიაც და, ამდენად, ეროვნულ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ქართული სასულიერო წრეების ისტორიულ დამსახურებაზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველი სამღვდელოების **მამულიშვილურ** ღვაწლს: „მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური **ქვეყნის** წინაშე“ („ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“). ილია ჭავჭავაძე ქართველი სამღვდელოების ისტორიულ და განმსაზღვრელი მნიშვნელობის დამსახურებად მიიჩნევდა „ღვაწლსა და სამსახურს **ქვეყნის** წინაშე... ეროვნების რჯულამდე გაპატიოსნებასა და სარწმუნოებამდე ამაღლებას“ (იქვე). სხვა წერილში კი იგი აღნიშნავდა: „საქართველოს ეკლესია... ყოველთვის თავდადებით კპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“ („დავით აღმაშენებელი“).

„მამულის-შვილური გულისტკივილი“ (ი. ჭავჭავაძე) ამოძრავებდა შემდგომი ხანის ქართულ მწერლობასაც და, განსაკუთრებით, „თერგდალეულთა“ მხატვრულ შემოქმედებას. როდესაც ილია ჭავჭავაძე პოეტს „ერის წინამძღოლად“ სახავდა, ხოლო აკაკი წერეთელი – „გარემოების საყვირად“, ამით მათ არსებითად მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულება კქონდათ მხედველობაში. მწერლობას მათი და მათი თანამოაზრეების შეხედულებით, ხალხში უნდა გაეგრძელებინა და მასობრივ ცნობიერებაში დაემკვიდრებინა ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული იდეები, ჩამოეყალიბებინა საზოგადოებრივი სწორედ ამ იდეოლოგიის გარშემო და წარემართა იგი სასურველი მიმართულებით.

მართალია, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება არსობრივად არაიდეოლოგიზირებული ფენომენებია, მაგრამ როდესაც კონკრეტული ერების

ცხოვრების კონკრეტულ მონაკვეთებში საფრთხე ექმნება მოცემული ერის ეროვნულ, სახელმწიფოებრივ, რელიგიურ თუ მორალურ თვითარსებობას, მაშინ ლიტერატურაც და ხელოვნებაც გადარჩენისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღად იქცევა ხოლმე.

პუბლიცისტური მიზანდასახულობა შეიძლება ჰქონდეს არა მარტო ორიგინალურ, არამედ ნათარგმნ ლიტერატურასაც, რამდენადაც ნათარგმნი ლიტერატურა, ორიგინალურის პარალელურად, ხელს უწყობს ამა თუ იმ იდეის გარშემო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და განსაზღვრული მიმართულებით წარმართვას.

ჟურნალისტიკა როგორც საინფორმაციო საქმიანობის ერთიანი სისტემა

ჟურნალისტური საქმიანობა, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა, ითვალისწინებს ხუთ აუცილებელ კომპონენტს:

1. ინფორმაციის წყაროს.
2. ინფორმაციის გადამცემს.
3. საკომუნიკაციო არხს, რომლითაც ინფორმაცია გადაიცემა.
4. ინფორმაციის მიმღებს.
5. ინფორმაციის მიღებისა და ათვისების შედეგს.

1. ინფორმაციის წყარო

ჟურნალისტიკაში ინფორმაციის წყაროა ზოგადად გარემომცველი სინამდვილე, რომელშიც ჟურნალისტიკისათვის საინტერესო საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტები და მოვლენები ხდება. კონკრეტულ შემთხვევებში ეს შეიძლება იყოს: სახელმწიფო დაწესებულებები, საინფორმაციო სააგენტოები, ინტერნეტი, თვითმხილველი ადამიანები და ა. შ.

ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, ჟურნალისტიკის ინტერესის საგანია არა ცალკეული ადამიანების ან სოციალური ჯგუფებისათვის, არამედ საზოგადოების უფართოესი წრეებისათვის საინტერესო აქტუალური (საზოგადოებრივი მნიშვნელობის) ფაქტები და მოვლენები.

ცალკე უნდა აღინიშნოს ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებული პროფესიული და ეთიკური გარემოებები. ასე, მაგალითად, ქართველი ჟურნალისტების მიერ შემუშავებულ „მედიის პროფესიულ სტანდარტში“ მითითებულია:

- „თუ წყარო ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინაობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული ვალდებულება მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემას შეუქმნის მას“.

- „თუ დადასტურდა, რომ წყარომ შეგნებულად და ბოროტი განზრახვით შეიყვანა ჟურნალისტი შეცდომაში, მაშინ, შესაძლოა, ეს პირობა დაირღვეს.“

- „ინფორმაციას ამა თუ იმ წყაროს, შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებდეს, ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი კრიტიკულად მოეკიდოს თავის წყაროს.

- „პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა“.

- „ჟურნალისტი ინფორმაციას მოიპოვებს ღია საშუალებებით. ფარული საშუალებებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია“.

- „არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არსებული შეცდომების შესახებ. შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი ფორმით, რათა მკითხველმა აუდიტორიამ ადვილად შეამჩნიოს იგი“.

2. ინფორმაციის გადამცემი

ინფორმაციის გადამცემია თვითონ ჟურნალისტი, რომელიც მოიპოვებს აქტუალურ ინფორმაციას, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დაამუშავებს მას და მედია-კომუნიკაციების მეშვეობით მიაწვდის მასობრივ აუდიტორიას.

თუ, ერთი მხრივ, ჟურნალისტი თავისი პროფესიული კეთილსინდისიერებისა თუ მოქალაქეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე ზეგავლენას ახდენს რეალობიდან აღებულ ინფორმაციაზე (იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი ანალიტიკური მიდგომა: ანალიზი, ინტერპრეტაციები...), მეორე მხრივ, თვით სინამდვილე და ამ სინამდვილიდან აღებული ფაქტი ზემოქმედებს ჟურნალისტზე – ჟურნალისტს არა აქვს ფაქტის შეცვლის, დამახინჯების, გაყალბების, კონტექსტიდან ამოგლეჯის და სხვ. უფლება (ჟურნალისტის მიერ ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული სიზუსტე: რა მოხდა? როდის მოხდა? სად მოხდა? რა გარემოებაში მოხდა? ვისი მონაწილეობით მოხდა? და ა. შ.). შესაბამისად, ფაქტებთან მიმართებაში ჟურნალისტის თავისუფლების ხარისხი მაქსიმალურად შეზღუდულია და მან ფაქტები სარკისებურად უნდა ასახოს საკუთარი პოზიციის დაუფიქსირებლად და ყოველგვარი შეფასების გარეშე. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ჟურნალისტის ობიექტურობას.

ფაქტის (მოვლენის, პროცესის) ანალიზისას კი უკვე ჟურნალისტი ზემოქმედებს ფაქტზე, აანალიზებს, წარმოაჩენს მას **მისთვის** საჭირო რაკურსით, მოჰყავს **მისი** აზრით სწორი არგუმენტები და სხვ.; ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ჟურნალისტის მიერ მიღებული დასკვნები თუ თვალსაზრისები განსხვავებულია და აქ მეტისმეტად ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი პოზიციაა ობიექტურად სწორი. შესაბამისად, ფაქტების ანალიზისას ობიექტურობას ჩაენაცვლება **მიუკერძოებლობა** და ნამდვილი ჟურნალისტიკის რაობაც სწორედ ამგვარი მიუკერძოებლობით უნდა განისაზღვროს.

საზოგადოების დეზინფორმირებად ითვლება არა მარტო ფაქტის დამახინჯება (გაყალბება), არამედ საზოგადოებისათვის საინტერესო ფაქტის დამალვაც (ეს არ ეხება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, ხოლო, თავის მხრივ, საკითხს, თუ რა შეიძლება იყო სახელმწიფო საიდუმლოება და რა – არა, ამას არეგულირებს სპეციალური „კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“).

ამასთან, როგორც ეს მითითებულია ზემოაღნიშნულ „მედიის პროფესიულ სტანდარტში“: „ჟურნალისტის პროფესია შეუთავსებელია აქტიურ პოლიტიკურ [პარტიულ] მოღვაწეობასთან, სარეკლამო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სპეციალურ სამსახურებში თანამშრომლობასთან, აგრეთვე, სხვა საქმიანობასთან, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჟურნალისტისა და ჟურნალისტური პროფესიის სანდოობა“.

3. საინფორმაციო არხი

ჟურნალისტურ-კომუნიკაციურ არებად ითვლება: ნაბეჭდი პრესა (გაზეთი, ჟურნალი, ალმანახი და სხვ.), რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი... ამათგან თითოეულს გამოხატვის სპეციფიკური საკომუნიკაციო ენა აქვს (პრესა – ფიქსირებული სიტყვა, რადიო – აუდიოენა, ტელევიზია – აუდიო-ვიზუალური ენა, ინტერნეტში ხდება ყველა ამ ენის სინთეზური ვარიაციებით გამოყენება... თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს ე. წ. სოციალური ქსელები ინტერნეტში).

ზემოსხენებული არხები ერთმანეთისაგან გამოირჩევიან მრავალი ნიშნით და, მათ შორის, ოპერატიულობის ხარისხითაც, რასაც ჟურნალისტიკაში უაღრესი (ზოგი შემთხვევაში – განმსაზღვრელი) მნიშვნელობა აქვს. ამა თუ იმ ჟურნალისტური არხის ოპერატიულობას განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების ტექნოლოგიური თავისებურებები. ამ მხრივ, ოპერატიულობის იდეალური ხარისხია მიღწეული რადიოსა და ტელევიზიაში (მათ შორის,

ინტერნეტრადიოსა და ინტერნეტტელევიზიაში), რომლებსაც შეუძლიათ მასობრივ აუდიტორიას ფაქტი მომენტალურად (მისი მიმდინარეობის პროცესშივე) მიაწოდონ ე. წ. პირდაპირი (ღია) ეთერის მეშვეობით.

4. ინფორმაციის მიმღები

ჟურნალისტიკაში ინფორმაციის მიმღებია საზოგადოებრიობა მთლიანად (**მასობრივი** აუდიტორია), რომლისკენაც მიემართება ჟურნალისტის (ინფორმაციის გადამცემის) მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ამგვარი აუდიტორიის, ფაქტობრივად, განსაზღვრელი ინფორმაციული ინტერესები, თავის მხრივ, განსაზღვრავს თვითონ ჟურნალისტური ინფორმაციის ყოვლისმომცველ მრავალფეროვნებას.

5. ინფორმაციის მიღებისა და ათვისების შედეგი

ინფორმაციის მიღებისა და ათვისების შედეგი ჟურნალისტური საქმიანობის უმთავრესი და დამაგვირგვინებელი ელემენტია. ჟურნალისტური ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როდესაც ეს ინფორმაცია შეესაბამება მასობრივი აუდიტორიის ინფორმაციულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

შედეგი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ორგვარი:

1. შედეგი მასობრივ აუდიტორიაში, რაც განსაზღვრავს ჟურნალისტიკის **ეფექტიანობას** და ზემოქმედებს მასობრივი აუდიტორიის **ცნობიერებაზე**.

2. შედეგი კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტში, რაც განსაზღვრავს ჟურნალისტიკის **ქმედითობას** და ზემოქმედებს ამ კონკრეტული ინსტიტუტის **ქცევაზე**.

ჟურნალისტური საქმიანობის უძირითადესი რგოლია **ტექსტი**. ჟურნალისტური ტექსტი მოიცავს სამ აუცილებელ კომპონენტს:

1. **სემანტიკურს** ანუ შინაარსობრივს (რა შინაარსის შემცველია მოცემული ტექსტი).

2. **სტრუქტურულ** აგებულებას (რა ფორმითაა გადმოცემული ჟურნალისტური ტექსტი).

3. **პრაგმატულს** ანუ რამდენად საინტერესოა ჟურნალისტური ტექსტი (ინფორმაციული იქნება იგი თუ ანალიტიკური ხასიათისა) აუდიტორიისათვის მაინცდამაინც დღეს, რამდენად შეესაბამება იმას, რასაც აუდიტორია

ჟურნალისტისაგან მოითხოვს და რა ზემოქმედება შეუძლია მას აუდიტორიის ცნობიერებასა თუ ქცევაზე.

ჟურნალისტიკაში მთავარი და არსებითი ტექსტის პრაგმატული მნიშვნელობაა; სწორედ ის არის ჟურნალისტური საქმიანობის დამაგვირგვინებელი მომენტი, ხოლო, თავის მხრივ, ჟურნალისტიკაში ტექსტის პრაგმატული ადეკვატურობის მისაღწევად აუცილებელია:

ა) ინფორმაცია უნდა იყოს ახალი.

ბ) მასობრივი აუდიტორიისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად გასაგები და შესამეცნებელი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს თხრობის სისადავესა და გამოხატვის პოპულარულ ფორმას.

გ) ტექსტი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს აუდიტორიის იმდღევანდელ ინფორმაციულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

მასმედის სახეები და გამოსატვის საშუალებები

(თავი მომზადებულია პროფ. მარი წერეთლის მიერ)

გაზეთი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათაგან გაზეთი უძველესია. მისი ისტორია იოჰან გუტენბერგის მიერ სტამბის გამოგონების შემდგომ იწყება, წიგნის განვითარების პარალელურად ვითარდება და მასავით ტირაჟულია, რაც მას ბუნებრივად აახლოვებს წიგნის კომუნიკაციურ სპეციფიკასთან. უმთავრესი განსხვავება წიგნსა და გაზეთს შორის შინაარსობრივი და სპეციფიკურია. ფუნქციურად გაზეთის დანიშნულებაა ახალი ამბების გაგრძელება და მათი ანალიზი.

გაზეთისათვის დამახასიათებელია პერიოდულობა, დოკუმენტური ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის გაგრძელების შესაძლებლობა, რაც, ცხადია, მას წიგნისგან განასხვავებს. ასევე განსხვავებულია მათი ფორმატირებისა და დაკაბადონების წესები. გაზეთის ეს თავისებურებები მის კომუნიკაციურ სპეციფიკას განაპირობებს.

გაზეთის პერიოდულობა საზოგადოებაში მუდმივად მიმდინარე პროცესებს უკავშირდება, მაგრამ გაზეთის მიერ ამ მოვლენათა ასახვა სიმულტანური [იმავედროული, სინქრონული] არ არის. თავისი პერიოდულობით ის, ბეჭდვის მომენტში, წყვეტს მოვლენათა მდინარებას, რათა შემდგომ ჩვეულებრივ გააგრძელოს იგი. ამგვარად, პერიოდულობა და წყვეტილობა-განგრძობითობა გაზეთის ურთიერთშემავსებელ ნიშნებად უნდა განვიხილოთ.

პერიოდულობა – ეს არის გაზეთის მიერ დოკუმენტურ სინამდვილეში მოპოვებული ფაქტების დროსა და სივრცეში სპეციფიკური ორგანიზაცია და მისი შესაბამისი ასახვა. სიმბოლურად გაზეთის პერიოდულობა თავისებური წრეა, მარადიულად მბრუნავი ბორბალია, რომელიც დროის უწყვეტ მდინარებას გამოხატავს. ეს ის სოციალური დროა, რომელშიც მოძრაობს ინფორმაცია, უწყვეტ ნაკადად ცვლის ერთმანეთს ფაქტები და მოვლენები. გაზეთი პერიოდულად წყვეტს ამ მარადიულ პროცესს. თავის ფურცლებზე აღწუსხავს მის ცალკეულ მომენტებს და ინფორმაციის ფუნქციონირების მეორე, მის პარალელურ, ოღონდ „ხელოვნურ“ ციკლებს ქმნის. ეს თავისებურება გაზეთის ერთ-ერთ უმთავრეს კომუნიკაციურ თვისებად უნდა მივიჩნიოთ. გაზეთი პერიოდულობისა და ტირაჟული ბუნების გამო ვერ ახერხებს ზუსტად

წარმოაჩინოს სინამდვილის ემპირიული დრო და სივრცე, იგი მიისწრაფვის მაქსიმალურად დაუახლოვოს ერთმანეთს სინამდვილის ჩვენებისა და ინფორმაციის მასობრივ აუდიტორიაში გავრცელების მომენტები, მაგრამ საბოლოო სინქრონულობის მიღწევა მისთვის შეუძლებელია, რადგანაც იგი ტირაჟული საშუალებაა და ნივთიერ სახეში აქცევს ინფორმაციას. ელექტრონული გაზეთი, როგორც ციფრული ტექნოლოგია, ცხადია, ზრდის გაზეთის ოპერატიულობას, მაგრამ შეუძლებელია მთლიანად და პრინციპულად ჩაენაცვლოს წერით მეტყველებას, როგორც კომუნიკაციის ფორმას. ასე რომ მოხდეს, მაშინ ის დროში მაუწყებლობად გადაიქცევა და დაკარგავს იმ თავისებურებას, რომლის მეშვეობითაც იგი სივრცული კომუნიკაციის საშუალებაა.

წერითი მეტყველება, რომელსაც გაზეთის ენა ეყრდნობა, მასში ნივთიერად, კონკრეტულ-საგნობრივ ფორმაშია წარმოდგენილი. ეს არის გაზეთის ქაღალდი, რომელზეც მასალაა დაბეჭდილი. ქაღალდზე ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ნებისმიერი სახის კომუნიკაციური ნიშანი. მაგრამ მათ შორის, ბუნებრივია, ნიშანი-სიმბოლოები-ასოები ჭარბობენ. გაზეთი გამოირჩევა სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო ნიშნის გამოყენების მრავალფეროვნებით. ამ თვალსაზრისით მას უაღრესად მდიდარი გრაფიკულ-გამომსახველობითი პალიტრა გააჩნია, რაც ამა თუ იმ კუთხით აძლიერებს მასში გამოქვეყნებული მასალების შინაარსს.

გაზეთის ენისთვის დამახასიათებელია ასო-სიმბოლოების სპეციფიკური გამოყენება. არსებობს საგაზეთო შრიფტის მრავალი გარნიტურა-ნაირგვარი მოხაზულობისა და ზომის შრიფტი: სწორი, დახრილი, სატექსტო და სასათაურე, ჩვეულებრივი და მთავრული, ეს შრიფტები სხვადასხვა შეტყობინების დასაბეჭდად გამოიყენება.

გაზეთში ასოებს გარდა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მრავალგვარი იკონური [ვიზუალური] ნიშანიც, ასევე ხაზები, გრაფიკული გამოსახულებები, გეომეტრიული ფიგურები, ნახატი ელემენტები. ამგვარი გრაფიკული ელემენტების გამოყენების განუსაზღვრელ საშუალებას იძლევა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები.

საგაზეთო ენა იკონურ ნიშნებსაც უხვად იყენებს, მაგალითად, ფოტოგამოსახულებებს...

გაზეთის ენა მუდმივი განვითარების პროცესშია. ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ გაზეთის შესაძლებლობები ახლებურად და მრავალფეროვნად გამოიყურება. გაზეთის ელექტრონულ ვერსიას ყოველთვის შეუძლია მოახდინოს ის კომუნიკაციური ეფექტი, რომელიც მის ბეჭდვით ანალოგს აქვს. აქვე უნდა

დავძინოთ, რომ ელექტრონულ საშუალებებს მუდამ ექნებათ უპირატესობა ოპერატიულობისა და ინფორმაციის კონსერვაციის თვალსაზრისით.

გაზეთის ან ჟურნალის თითოეული ნომერი წარმოგვიდგება როგორც შინაარსობრივი მთლიანობა, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კომპონენტებით არის შექმნილი, რადგანაც ყოველ მასალას საკუთარი ავტორი (კომუნიკატორი) ჰყავს და აქვს კონკრეტული კომუნიკაციური მიზანდასახულობა. რედაქცია კი გვევლინება კოლექტიური კომუნიკატორის როლში.

გაზეთში ორი ძირითადი ასპექტია გასათვალისწინებელი:

1. საგაზეთო გვერდების კომუნიკაციური სპეციფიკა, რაც ნიშნავს, რომ აუდიტორიის მიმართება მათთან ერთგვაროვანი არ არის. მკითხველი ყოველთვის ცდილობს, უპირატესად, თავისთვის საინტერესო მასალა აირჩიოს.
2. მასალათა ხასიათის შესაბამისობა გვერდების კომუნიკაციურ სპეციფიკასთან. ეს, თავის მხრივ, ჟურნალისტურ მასალათა კლასიფიკაციას საჭიროებს, რაც, ზოგადად ასეთია: ოპერატიული და ანალიზური მასალები.

ჟურნალი

გაზეთის მსგავსი კომუნიკაციური თავისებურებებით ხასიათდება ჟურნალიც. ისინი ერთნაირია თემატურ-პრობლემატური თვალსაზრისითაც. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებობს განსხვავებებიც:

1. ჟურნალი გაზეთთან შედარებით ნაკლებად ოპერატიული პერიოდული გამოცემაა. შეიძლება იყოს ყოველკვირეული, ორკვირეული ან ყოველთვიური.
2. ჟურნალის ფორმატი მცირეა გაზეთის ფორმატთან შედარებით.
3. ჟურნალს გაზეთისაგან განსხვავებით აქვს ყდა და ღერძულად იკინძება.
4. ყველაზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი განსხვავება ჟურნალსა და გაზეთს შორის შინაარსშია. გაზეთი ორიენტირებულია უფრო მეტად თემების სიღრმისეულად წარმოჩენაზე.
5. ჟურნალი კომუნიკაციური სპეციფიკის გათვალისწინებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო სტრუქტურირებული გამოცემაა, მისი თემატური სპექტრი განსაკუთრებით მრავალფეროვანი და დიფერენცირებულია. მაგალითად, თუნდაც სამეცნიერო ჟურნალები, რაც გაზეთს არ მოეთხოვება.

აუდიოარხი (რადიო)

რადიოს, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას, ისევე როგორც ტელევიზიას, ახასიათებს ტრანსლიაციურობა და აკუსტიკურობა.

რადიოჟურნალისტიკა „მოლაპარაკე ჟურნალისტიკა“, რადიოსიტყვა უჩინარი სიტყვაა, რომელიც განსაკუთრებულ სახეს აძლევს რადიომეტყველებას – დიალოგში აუდიტორიასთან ადამიანი თანამონაწილედ მიიჩნევა.

რადიო იყენებს პრაქტიკული მეტყველების ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: იმპროვიზაციულობა, სპონტანურობა, უშუალოება.

ზეპირი და სასაუბრო ენა სხვადასხვა რამ არის. სასაუბრო ენის საპირისპირო ცნებაა წიგნიერი ენა. ის შეიძლება არსებობდეს: ზეპირი და წერილობითი ფორმებით. სასაუბრო ენას იყენებენ პიროვნული, უშუალო ურთიერთობის პროცესში, ამიტომ ის ხშირად შეიცავს დიალექტურ თუ ჟარგონულ გამოთქმებს და მაქსიმალურად შეკუმშულია, აზრი ხშირად დაუმთავრებელია. მას არავერბალური ხერხები – მიმიკა, ექსტიკულაცია, ტონი, მეტყველების დინამიკა და სხვ. ავსებს. ამდენად რადიოენა არც მთლიანად წიგნიერი ენაა და არც მხოლოდ სასაუბრო ენა.

რადიოკომუნიკაციის ძირითადი თავისებურებაა, ასევე, აღქმის სპეციფიკური ხასიათი, რადგან მისი სპეციფიკაა წარმოსახვის შესაძლებლობა. მსმენელს შეუძლია წარმოიდგინოს ის, რასაც ისმენს (ვიციტ, რომ ეს წიგნის კითხვის დროსაც არის შესაძლებელი, მაგრამ ბევრა განსაკუთრებულ აქტივიზაციას იწვევს).

რადიო თითქოს ფილტრავს ბევრით ინფორმაციას ყველა სხვა კოპონენტისაგან და მხოლოდ მასზე მიაპყრობს ყურადღებას.

რადიოს გამოსახვის საშუალებებია: ზეპირი სიტყვა, მუსიკა და ხმაური.

ტელევიზია

ტელევიზიის პოპულარობა მის კომუნიკაციურ ეფექტურობას ემყარება. იგი მომენტალურად აერთიანებს მასობრივ, გაფანტულ აუდიტორიას და შეუძლია ერთდროული გლობალური კავშირ-ურთიერთობის დამყარება. იმთავითვე ტელევიზია ჩაფიქრებული იყო ადამიანების ურთიერთობის ისეთ საშუალებად, რომლითაც ერთდროულადაა შესაძლებელი ერთმანეთის დანახვა და მოსმენა.

ტელევიზიის კომუნიკაციური სისტემა განკუთვნილია ინფორმაციის ცენტრალიზებული გაერცვლებისათვის, რაც მიმართულია მასობრივი, სხვადასხვაგვარი და დაშორებული აუდიტორიისადმი. აუდიტორიამ ინფორმაცია უნდა მიიღოს არა სპონტანურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ მუდმივად, რეალურ დროში, მოვლენების განვითარების პარალელურად. ამიტომ სატელევიზიო შეტყობინების რეალურ დროს ემატება ტელემაუწყებლობის უწყვეტობა.

ტელევიზიისთვის დამახასიათებელია:

1. აუდოვიზუალური ინფორმაციის განუწყვეტელი მოხმარების შესაძლებლობა.

2. სატელევიზიო მაუწყებლობის პრინციპული უწყვეტობა.

3. გლობალური აუდიტორიის ქონა.

მასობრივი კომუნიკაციის განვითარების პერსპექტივა დღეისათვის ორ მაგისტრალურ მიმართულებას გამოკვეთს: მოხმარების ინდივიდუალიზაციასა და გავრცელების გლობალიზაციას. ტელევიზიის განვითარებამდე ინფორმაციის აღქმის სამი ძირითადი ვარიანტი არსებობდა: ერთეული ადამიანის კონტაქტი ტექსტთან, მცირე ჯგუფის მიერ ტექსტის აღქმა, მაკროჯგუფის ტექსტთან ურთიერთობა, ტელევიზიამ ამას დაუმატა მეგააუდიტორია.

4. კიდევ ერთი თავისებურებაა ინფორმაციის მეყსეული გავრცელების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს მოვლენის მიმდინარეობის თანხვედრას. დროში მაქსიმალურ განფენილობასა და სივრცულ ყოვლისმომცველობას.

ტელევიზიის კომუნიკაციურ სტაბილურობას განსაზღვრავს მისი პროგრამულობა. აუდიტორიას განსაზღვრულ მომენტში შეუძლია მიიღოს მისთვის საინტერესო გადაცემა და არ გაწყვიტოს კომუნიკაციური ჯაჭვი. ტელევიზიაში არსებობს ე. წ. დროის ნაკადი, ე. ი. მაუწყებლობის პროცესის დრო. აქ ერთიანდება: რეალური, ემპირიული (მოვლენის ასახვის დრო), ტექსტის შეტყობინებისა და მაყურებლის დრო (აღქმის დრო), რაც განპირობებულია ამწუთიერთობითა და სიმულტანობით.

სიმულტანობა ნიშნავს მოვლენისა და მისი ასახვის ერთდროულობას. ტელევიზიის თავისებურებაა ე. წ. „დასწრების ეფექტი“. ამწუთიერთობა და სიმულტანობა ქმნის რეალურ დროს, იგი არის ერთგვარი ინფორმატორი, რომელიც ამბავს „გადაუმუშავებლად“, არსებული თანამიმდევრობითა და რეალურ დროში გადმოსცემს.

ტელემაუწყებლობისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ე. წ. ინტერაქტიული კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს:

1. მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის აბსოლუტურ ოპერატიულობას და უკუკავშირს.

2. პროცესის წინასწარ განუსაზღვრელობას, იმპროვიზაციულ ხასიათს.

3. ინფორმაციის მეტ დამაჯერებლობას, რადგან გადაცემა წინასწარ არ არის რედაქტირებული. ეს ყველაფერი ზრდის ე. წ. ტელეგენურობას. ამიტომაც ჟურნალისტებს, რომლებსაც პირდაპირი ეთერი მიჰყავთ, უნდა ჰქონდეთ ექსპრომტისა და იმპროვიზაციის უნარი.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები ქმნის ტელეჟურნალისტიკის დოკუმენტალურ ხასიათს და აუდიტორიასთან რეალური დიალოგის შესაძლებლობას.

ინტერნეტი (Internet) — „მსოფლიო-ქსელი“, ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელი. ინტერნეტს, ზოგჯერ უწოდებენ, უბრალოდ „ქსელს“ (The Net) ან ქსელთა ქსელს, სადაც მომხმარებლებს, თუ მათ აქვთ უფლებები, შეუძლიათ ნებისმიერი კომპიუტერიდან მიიღონ ინფორმაცია. ინტერნეტი ქმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს და წარმოადგენს მსოფლიო ქსელის საფუძველს.

საინფორმაციო სააგენტო – ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი საშუალებაა. მის განვითარებას დასაბამი დაედო 1835 წელს, როდესაც ახალგაზრდა ფრანგმა შარლ-ლუი ავამ ჩამოაყალიბა „ავას“ სააგენტო პარიზში, რომელიც დღევანდელი „ეი-ეფ-პის“ წინამორბედი იყო. 1944 წელს, ნაცისტური ოკუპაციისგან განთავისუფლების შემდეგ, „ავას“ სააგენტოს ეწოდა მისი ამჟამინდელი სახელი „აჟანს-ფრანს-პრესი“. 1957 წელს საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონმდებლობა, რომელმაც „აჟანს-ფრანს-პრესს“ დამოუკიდებლობა მიანიჭა.

ფრანს-პრესი (ფრანგ. Agence France-Presse ან AFP) – მსოფლიოს უძველესი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო. „როიტერსა“ და „ასოშიეიტედ პრესთან“ ერთად ის შედის მსოფლიოს უმსხვილეს საინფორმაციო სააგენტოთა სამეულში. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მას აქვს 110 ბიურო. სააგენტო ავრცელებს ინფორმაციას (ტექსტური და მულტიმედიაური პროდუქტები) ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, პორტუგალიურ, იაპონურ და ჩინურ ენებზე.

„ასოშიეითიდ-პრესი („AP“) წარმოიქმნა „ჰარბორ ნიუს“ ასოციაციისაგან, რომელშიც გაწევრიანებული იყო ქალაქ ნიუ-იორკის 6 გაზეთი, რომლებიც გაერთიანდნენ, რათა ახალი ამბების „საინფორმაციო ნავებით“ შეგროვებაზე ხარჯები დაეზოგათ. ეს ნავები ევროპიდან ჩამოსულ გემებს ხვდებოდნენ და ნაპირზე ინფორმაციით დატვირთულები ბრუნდებოდნენ. „ჰარბორ ნიუს“ ასოციაცია ფაქტობრივად გახლდათ ინფორმაციის შეგროვების კოოპერატივი და დღევანდელი „AP“-ს საქმიანობა ახლაც მსგავს პრინციპს ემყარება. 1857 წელს, კიდევ ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან გაერთიანების შემდეგ, „ჰარბორ ნიუს“ ასოციაცია გახდა ნიუ-იორკის პრესის ასოციაცია, ანუ „ნიუ-იორკ-ასოშიეითიდ-

პრესი“. მისი არსებობის მანძილზე საინფორმაციო კოოპერატივის წევრები იყვნენ მხოლოდ ქალაქ ნიუ-იორკის გაზეთები და მათი რიცხვი არასოდეს ყოფილა 7-ზე მეტი.

1885 წელს გაზეთების ერთ-ერთი გაერთიანება „ვესტერნ-ასოშიეითიდ-პრესი“ გამოეყო კოოპერატივს და დამოუკიდებელი საინფორმაციო სამსახური დააფუძნა, რომელსაც ეწოდა „ასოშიეითიდ-პრესი“ („AP“). ორგანიზაციის კორპორატიული ცენტრი 1892 წელს განათავსეს ილიონისის შტატში. „ნიუ-იორკ-ასოშიეითიდ-პრესი“ ამოდ ეცადა, წინამდებეობა გაეწია ასეთი პერტრუბაციებისთვის და იმავე წელს გაკოტრდა. „AP“ თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდებოდა და მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მის ხელმძღვრთა რიცხვი უკვე 700 გაზეთს ითვლიდა. 1900 წელს განხორციელდა „AP“-ს რეორგანიზაცია. სათავო ოფისმა ნიუ-იორკში გადაინაცვლა და მას შემდეგ „AP“-ს კორპორატიული ცენტრი იქ იმყოფება.

როიტერი. კომპანია „როიტერის“ დამაარსებელი იყო ემიგრაციაში (ბრიტანეთში) მცხოვრები გერმანელი პაულ იულიუს როიტერი, რომელმაც 1851 წელს ლონდონში სატელეგრაფო სამსახური დააფუძნა. ლონდონის საფონდო ბირჟის მახლობლად მდებარე პატარა ოროთახიანი ოფისიდან როიტერი ახორციელებდა პარიზსა და ლონდონს შორის ინფორმაციის მიმოცვლას ფასიანი ქაღალდების კურსის შესახებ, რისთვისაც ის იყენებდა მსოფლიოში პირველ წყალქვეშა კაბელს. თავდაპირველად როიტერი საბირჟო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას კონტინენტზე საფოსტო მტრედების დახმარებით ავრცელებდა.

მცირე ხნის მერე როიტერმა თავისი კომპანიის მომსახურება მიაწოდა ევროპის სხვა ქვეყნებს. ასევე გაიზარდა სერვისის თემატური მრავალფეროვნება და ეკონომიკურ სიახლეებთან ერთად ზოგადი შინაარსის ახალი ამბების გავრცელება დაიწყო. 1859 წლისთვის „როიტერსი“, რომელიც თავიდან მხოლოდ ფინანსურ დაწესებულებებს ემსახურებოდა, უკვე ბრიტანეთისა და კონტინენტური ევროპის წამყვანი გაზეთს დიდ უმრავლესობას ამარაგებდა ზოგადი სახის ახალი ამბებით. როიტერის ბიზნესი მყისიერად იზრდებოდა. საერთაშორისო ტელეგრაფის სისტემის განვითარებასთან ერთად „როიტერის“ ფილიალები ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა როგორც ევროპაში, ისე მის საზღვრებს მიღმა. 1861 წელს „როიტერსი“ წარმომადგენლები ჰყავდა აზიაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში, ხოლო 1972 წელს კომპანიის ოფისი გაიხსნა იაპონიაში. სააგენტო, რომელიც 1915 წლამდე ოჯახური კონცერნი გახლდათ, კერძო კომპანიად ჩამოყალიბდა და დღევანდელი სახელი შ.პ.ს.

„როიტერი“ დაერქვა. 1941 წელს „როიტერის“ აქციების დიდი ნაწილი ბრიტანეთის ჟურნალისტურმა ასოციაციებმა შეიძინეს და სააგენტო ბრიტანული პრესის საერთო საკუთრება გახდა. 1947 წელს ავსტრალიური „ასოშიეითედ-პრესი“ და ახალი ზელანდიის პრესის ასოციაცია კომპანია „როიტერის“ პარტნიორები გახდნენ. ამჟამად „როიტერის“ მეწილეები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი, თუმცა ძირითადი წილის მფლობელები იმყოფებიან დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. სააგენტოს საქმიანობას 15-წევრიანი დირექტორთა საბჭო მეურვეობს.

იტარ-ტასი – საბჭოთა კავშირის რღვევამ და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) ჩამოყალიბებამ სააგენტო „ტასს“ პარტნიორი საინფორმაციო სააგენტოები დააკარგვინა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ამ სააგენტოებმა დამოუკიდებლად განაგრძეს საქმიანობა. რუსეთის უზენაესმა საბჭომ 1991 წელს მიიღო კანონი პრესის შესახებ, რითაც რუსეთის ისტორიაში პირველად გაუქმდა ცენზურა და ადამიანებს მიენიჭათ უფლება, თავისუფლად აერჩიათ ნებისმიერი საინფორმაციო პუბლიკაცია. თუმცა, მედიაორგანიზაციების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, „ტასი“ კლასიფიცირდა როგორც „ოფიციალური“ ორგანიზაცია და მათ საბიუჯეტო დაფინანსება დაუწესდათ. მართალია, სააგენტომ ობიექტურობასა და პროფესიონალიზმზე გააკეთა განაცხადი, მაგრამ სააგენტოს გენერალური დირექტორი პრეზიდენტის მიერ ინიშნება. 1992 წელს რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსთან შერწყმის შედეგად ორგანიზაციას „იტარ-ტასი“ ეწოდა.

დღეს საქართველოში არა ერთი საინფორმაციო სააგენტო არსებობს, მათ შორის: **ინტერპრესნიუსი, GeoNews, GHN, მედიანიუსი** და სხვ.

სააგენტოს რეიტინგულობას განაპირობებს ინფორმაციის ოპერატიულობა და სიზუსტე (უტყუარობა, სანდოობა).

ჟურნალისტიკა და დემოკრატია

„დემოკრატია“ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას („demos“ – ხალხი, „kratos“ – ძალაუფლება). დემოკრატია, როგორც სახელმწიფოებრივ-მმართველობითი ფორმა, გულისხმობს ხელისუფლების მომდინარეობას ხალხისაგან და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვ. კუთვნილებისა.

დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებია:

- სახელმწიფოს ძირითადი სტრუქტურების არჩევითობა ხალხის (ელექტორატის) მიერ.
- სახელისუფლებო შტოებს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) შორის უფლება-მოვალეობათა მკაფიო გამიჯვნა და მათ შორის სათანადო ბალანსის უზრუნველყოფა.
- კანონის უზენაესობის აღიარება და განუხრელი დაცვა.
- პოლიტიკური უმცირესობის დამორჩილება უმრავლესობისადმი. ამასთან, უსათუოდ უნდა იქნეს დაცული უმცირესობის კანონიერი (კონსტიტუციით უზრუნველყოფილი) უფლებები.
- მოქალაქეებისათვის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, კულტურული და სხვ. უფლებების მინიჭება და პრაქტიკული განხორციელება და სხვ.

საერთოდ, პიროვნების (მოქალაქის), ერთი მხრივ, და სახელმწიფოს, მეორე მხრივ, ურთიერთმიმართების ქვაკუთხედია ადამიანის უფლებები. სწორედ ამ კუთხით უნდა იქნეს რეალიზებული დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპი:

„მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში ხალხისაგან მოდის“.

შესაბამისად, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება და საშუალება, არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში, ხელისუფლების ფორმირებასა და მასზე კონტროლის დაწესებაში. ამასთან, სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბება, რომელშიც შესაძლებელი იქნება თითოეული მოქალაქის, როგორც ინდივიდის, უფლებების დაცვა; ისეთი ვითარების შექმნა, სადაც თითოეული მოქალაქე, როგორც ინდივიდი, საკუთარი

ინტერესებისა და შესაძლებლობის ფარგლებში შეძლებს სრულფასოვან თვითრეალიზაციას.

სახელმწიფოში აუცილებელია კონსტიტუციური წესრიგისა და კანონის უზენაესობის დაცვა, რათა, – როგორც ეს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პრეამბულაშია აღნიშნული, – „ადამიანი იძულებული არ გახდეს, მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ“ [საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მესამე პრეზიდენტის, ტომას ჯეფერსონის (1743-1826), მხატვრული (მეტაფორული) ფორმით ჩამოყალიბებული შეხედულება: „დროდადრო საჭირო ხდება – თავისუფლების ხე ტირანთა და პატრიოტთა სისხლით მოირწყოს“].

სახელმწიფო ადამიანისთვისაა შექმნილი და არა – პირიქით.

თანამედროვე პოლიტიკური აზროვნება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უვარგისია ნებისმიერი პოლიტიკა, თუ იგი ხელს შეუშლის პიროვნების, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ინდივიდის, სრულფასოვან ცხოვრებას. სახელმწიფო მთლიანად და მისი ცალკეული სტრუქტურები იმისთვისაა მოწოდებული, მათი არსებობა იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც იგი **განუწყვეტლივ** ქმნის, ავითარებს და აუმჯობესებს ისეთ გარემოს, რომელშიც მოქალაქეები შეძლებენ თავიანთი მიზნებისა და ინტერესების გამოვლენასა და პრაქტიკულ რეალიზაციას. შესაბამისად, სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების მუშაობის ხარისხიც სწორედ ამ უკანასკნელი კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს.

არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს დემოკრატიის პირობებში ელიტა, როგორც საზოგადოებრივი ფენა, ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და აღარ იქნება საჭირო

თვითონ სიტყვა „ელიტა“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „რჩეულს“, „საუკეთესოს“. წარმოდგენები და განსაზღვრებები ელიტის რაობის შესახებ სხვადასხვაგვარია (მაგალითად, პოლიტიკაში „ელიტას“ უწოდებენ მმართველ კლასს, აგრეთვე, ოპოზიციას; სოციოლოგიაში ესაა ფენა, რომელიც საკუთარი მოღვაწეობის სფეროში უმაღლესი ინდექსის მქონე პიროვნებებისაგან შედგება და სხვ.; XX საუკუნის ესპანელი მწერლის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ხოსე ორტეგა ი გასეტის, მიხედვით, ელიტას ქმნიან ადამიანები, „რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური ან მორალური უპირატესობა მასაზე, ასევე, პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა“ და სხვ.).

მოცემულ შემთხვევაში „ელიტაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ინტელიგენციას, ოღონდ არა ამ სიტყვის კლასობრივ-იდეოლოგიური მნიშვნელობით (მაგალითად,

საბჭოთა პერიოდში „ინტელიგენციას“ უწოდებდნენ გონებრივი შრომით დაკავებულ სოციალურ კლასს, რომელიც თანაარსებობდა მუშათა და გლეხთა კლასებთან ერთად). სინამდვილეში ინტელიგენცია – ეს არის ხალხის მეტ-ნაკლებად განათლებული ფენა, რომელიც ხელმძღვანელობს მაღალი მორალურ-ეთიკური პრინციპებით, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

დემოკრატია ვერ იარსებებს სიცოცხლისა-, – და, რაც მთავარია, – მოქმედების უნარიანი ინტელიგენციის გარეშე. სწორედ იგი (ინტელიგენცია) ქმნის და წარმართავს საზოგადოებრივ აზრს საყოველთაოდ აღიარებული მორალურ-ინტელექტუალური პრინციპებისა და ღირებულებების საფუძველზე. ამასთან, ინტელიგენცია ქმნის ბარიერს, რათა დემოკრატიული გარემოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პოლიტიკური პლურალიზმი არ გადაიზარდოს იმავე დემოკრატიული გარემოსათვის დაუშვებელ სამართლებრივ და მორალურ პლურალიზმში.

დიდი გერმანულენოვანი მწერლის, ფრანც კაფკას (1883-1924), შეხედულებით, „ინტელიგენციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეროვნულ მანკიერებათა ჩვენება და გაწმენდა“.

როგორც აღინიშნა, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების ფორმირებასა და მისი მეშვეობით სახელმწიფოს მართვაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, – და ეს უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, – რომ დემოკრატიის პირობებში უფლება პირდაპირაა დაკავშირებული მოვალეობასთან და პასუხისმგებლობასთან. საკუთრივ არჩევნების დროს მოქალაქემ უნდა იხელმძღვანელოს არა პირადული, არამედ საერთო-ეროვნული და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ამასთან, თავის მხრივ, არჩევითი ინსტიტუტის წევრმაც უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპით: შენი ღირსება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ აგირჩიეს, არამედ იმიტომ აგირჩიეს, რომ რაღაც ღირსება გაქვს. შესაბამისად, პრაქტიკულ საქმიანობაში იგი (ამომრჩეველთა მიერ არჩეული პირი) უნდა ცდილობდეს მაინცდამაინც იმ ღირსების რეალიზაციას, რისთვისაც იგი აირჩიეს.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატია არ ითვლება მმართველობის სრულყოფილ ფორმად. ცნობილია XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსის, უინსტონ ჩერჩილის, შეფასება: „დემოკრატია მმართველობის საკმაოდ ცუდი ფორმაა და მისი ერთადერთი გამართლება ისაა, რომ ყველა სხვა პოლიტიკური სისტემა კიდევ უფრო უარესია“. ესპანელი

მწერალი და ფილოსოფოსი მიგელ დე უნამუნო კი წერდა: „მართალი გითხრათ, დიდად არა ვარ აღფრთოვანებული ამ დემოკრატიებით, მაგრამ ახლა ეს უკვე გარდაუვალია... დემოკრატია რადაცნაირად თითქოს ომსაცა ჰგავს, ცივილიზაციასაც ანდა თვით არსებობასაც კი!.. ან უნდა აღიარო, ან არადა – დაიღუპო. დემოკრატია გაცილებით მეტ ვალდებულებებსა და მოთხოვნებს გვიყენებს, ვიდრე პრივილეგიებსა და უფლებებს გვიწყალობებს. პირველი, რასაც იგი გვაკისრებს, არის ჩვენივე დაინტერესება და ჩვენივე მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში, რასაც res publica-ს [ლათ. „საერთო საქმე“] ვეძახით“.

ჟურნალისტიკა ბუნებით დემოკრატიული ინსტიტუტია. მის უშუალო მოვალეობაში შედის სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების გავრცელება და საზოგადოებრივ თვითშემეცნებაში დამკვიდრება. ამასთან, ჟურნალისტიკას ევალება, საზოგადოებას მიაწოდოს ისეთი და იმდენი ცოდნა, რომ მას (მოცემულ საზოგადოებას) გაუჩნდეს და ჩამოუყალიბდეს თვითმმართველობის უნარი (ილია ჭავჭავაძის სიტყვებით – „თვითმოქმედების ძალა“), აგრეთვე, ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, პრაქტიკულად განახორციელოს კიდევაც ეს უნარი თვითმმართველობისა. მეორეც, ჟურნალისტიკამ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვას და, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას პიროვნება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებათა ხელყოფისაგან.

დემოკრატიის პრინციპი ჟურნალისტიკაში ვლინდება სახელმწიფო სისტემისა და მისი ცალკეული შტოების (რგოლების) ფუნქციონების ანალიზსა და შეფასებაში. თუკი ეს სისტემა ზოგადად ან კონკრეტულ შემთხვევაში ზღუდავს მოქალაქის სრულფასოვან მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, თუკი შებღალულია მოქალაქის ესა თუ ის უფლება, თუკი ხალხი ვერ ახერხებს მის მიერვე არჩეულ ხელისუფლებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას, ჟურნალისტიკა ოპოზიციაში უდგება ხელისუფლებასა თუ მის ცალკეულ ინსტიტუტებს და იბრძვის დემოკრატიული პრინციპების სრულფასოვანი განხორციელებისათვის ამ სახელმწიფოში. ერთი სიტყვით, ჟურნალისტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტური „ინსტრუმენტი“ საზოგადოების ხელში, რათა საზოგადოებამ შეძლოს საკუთარ ხელისუფლებაზე კონტროლის დაწესება.

ზოგადად ხელისუფლებასთან მიმართებაში ჟურნალისტიკა ოპოზიციური ბუნებისაა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც: ჟურნალისტიკის ოპოზიციური ბუნება უნდა განვიხილოთ არა

თვითმიზნურ კრიტიკად ან კონიუნქტურულ (ამწუთიერი საკუთარი სარგებლობისათვის საჭირო) მიზანთა სარეალიზაციო იარაღად, არამედ **თანამშრომლობის** ფორმად; თანამშრომლობისა, რომელიც მიზნად ისახავს **კანონიერი ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთმიმართების მაქსიმალურ ჰარმონიზაციას**. კანონიერ ხელისუფლებაში კი იგულისხმება ის ხელისუფლება, რომელიც არა მარტო არჩეულია ხალხის მიერ, არამედ არჩევის შემდეგ მაქსიმალურად ითვალისწინებს ხალხის ინტერესებს, უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ყველა შემთხვევაში მოქმედებს კანონთა შესაბამისად (ხელისუფლება, რომელიც არღვევს კანონებს, ამით, ფაქტობრივად, კანონგარეშე აყენებს საკუთარ თავს).

ჟურნალისტიკა და ეროვნული თვითშეგნება. ჟურნალისტიკა და ეროვნული (პატრიოტული) პრობლემატიკა

(ამ თავში ძირითადად გამოყენებულია მიხეილ ნანეიშვილის ნაშრომი: „გაზეთი „ერი და თავისუფლება“ – ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესტიყვე“. გაზ. „ერი და თავისუფლება“, 1990, №1).

სიტყვა „პატრიოტიზმი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან – „Patria“, რაც „სამშობლოს“, „მამულს“ ნიშნავს. პატრიოტიზმი – ესაა სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, მისთვის თავდადება, მონაწილეობა მისი კეთილდღეობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებისათვის, საერთაშორისო თანაცხოვრებაში ღირსეული და სრულფასოვანი დამკვიდრებისათვის... ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც, მაგ[ალითად], არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ.“ (ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი).

ჩვენს უახლეს ისტორიაში (საბჭოთა პერიოდში) პატრიოტიზმს უპირისპირებდნენ ნაციონალიზმს, რაც თავისთავად პრინციპულად არასწორი იყო და ნაციონალიზმის რაობისა და არსის გაყალბებულ გაგებას ეფუძნებოდა (არსებითად ნაციონალიზმს აიგივებდნენ შოვინიზმთან – საკუთარი ერის უპირატესი გამორჩეულობის აღიარებასა და სხვა ერების სიძულვილთან). სინამდვილეში „პატრია“ – მამულსა და „ნაცია“ – ერს შორის არავითარი შეუთავსებლობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს [უნდა აღინიშნოს ნაციონალიზმის ის განმარტება, რომელიც ენციკლოპედია „ბრიტანიკაშია“ მოცემული: „ნაციონალიზმი შეიძლება განისაზღვროს ცნობიერების ისეთ თვისებად (სულის ისეთ მდგომარეობად), რომლის დროსაც პიროვნება თავის უმაღლეს მოქალაქეობრივ ვალდებულებად ერის მსახურებას აღიარებს“].

ამასთან, პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის არც აბსოლუტური გაიგივება შეიძლება, რამდენადაც პატრიოტიზმი ზნეობრივი კატეგორიაა, ხოლო ნაციონალიზმი – ფილოსოფიურ-იდეოლოგიური კატეგორია.

ნაციონალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, ადამიანის უზენაესი ინტერესი ეროვნული ინტერესია. ერი კი, თავის მხრივ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სოციალური ინდივიდია (სოციალური პიროვნებაა), რომელიც სხვათაგან განსხვავებული და, ამდენად, უნიკალური ენის, ისტორიისა და კულტურის შემოქმედია. საქართველოში ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის (არჩილ ჯორჯაძის ფორმულირებით – „ნაციონალური ლიბერალიზმის“) ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლადმპყრობელ“ მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითშემეცნების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ (ინდივიდუალობით აღბეჭდილ) კულტურას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ გამოთქმებს: „კაცობრიობის ისტორია“, „საკაცობრიო კულტურა“. სინამდვილეში, „კაცობრიობის ისტორიაცა“ და „საკაცობრიო კულტურაც“ სხვა არაფერია, თუ არა ცალკეულ ეროვნულ ისტორიათა და ეროვნულ კულტურათა მრავალფეროვანი ერთობა, კონგლომერაცია, რომელთაგან თითოეულს თავისი „ავტორი“ ჰყავს მოცემული ერის, როგორც სოციალური ინდივიდუუმის, სახით. ნებისმიერ ეროვნულ კულტურასა და მის ცალკეულ (კონკრეტულ) გამოვლინებას იმავდროულად საკაცობრიო მნიშვნელობაც აქვს, ანუ, ჭეშმარიტად ეროვნული იმავდროულად საკაცობრიოცაა და კაცობრიული ჰარმონია სწორედ ენობრივ (რადგანაც ეროვნული ენა ეროვნული ცნობიერების საფუძველი და „გასაღებია“) და ზოგადკულტურულ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული (ნებისმიერი ერის გაქრობა ტრაგედიაა არა მხოლოდ ამ კონკრეტული ერისათვის, არამედ დანარჩენი კაცობრიობისთვისაც, რამდენადაც ამით სწორედ ზემოხსენებული საკაცობრიო მრავალფეროვნება და ჰარმონია ირღვევა).

რუსი ფილოსოფოსის, ნიკოლაი ბერდიაევის (1847-1948), თვალსაზრისით, „ერი არ არის ისტორიული დროის ამა თუ იმ მონაკვეთის ემპირიული მოვლენა. ერი არის მისტიკური ორგანიზმი, მისტიკური პიროვნება... ერი არ არის ცოცხალთა თაობა, არ არის თაობათა ჯამი. ერი არ არის შედგენილი რამ, იგი

არის რაღაც დასაბამიერი, ისტორიული პროცესის მარადცოცხალი სუბიექტი. მასში არანაკლებად ცოცხლობენ და მყოფობენ წარსული თაობები, ვიდრე თანამედროვენი... ადამიანი შედის კაცობრიობაში თავისი ეროვნული ინდივიდუალობით, როგორც ეროვნული ადამიანი, არა როგორც განყენებული კაცი; შედის როგორც რუსი, ფრანგი, გერმანელი თუ ინგლისელი. ადამიანს არ ძალუძს გადაახტეს ყოფიერების მთელს საფეხურს, ამით ის გაღარიბდებოდა და დაცარიელდებოდა. ეროვნული ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადამიანი; მასში არის საერთო ადამიანის გვარის ნიშნები და, აგრეთვე, ინდივიდუალურ-ეროვნული ნიშნები. სასურველია ძმობა და ერთობა რუსთა, ფრანგთა, ინგლისელთა, გერმანელთა და მსოფლიოს ყველა ერისა, მაგრამ არ შეიძლება სასურველი იყოს ეროვნულ გამოსატყულებათა, ეროვნულ-სულიერ სახეთა და კულტურათა აღგვა პირისაგან მიწისა. ასეთი ოცნება ყოველი ეროვნულისაგან მოწყვეტილ ადამიანზე და კაცობრიობაზე არის ღირებულებათა და სიმდიდრეთა მთელი სამყაროს ჩაქრობის წყურვილი. კულტურა არასოდეს ყოფილა და არც ოდესმე იქნება განყენებულ-კაცობრიული, ის ყოველთვის კონკრეტულ-კაცობრიულია ანუ ეროვნულია, ინდივიდუალურ-ხალხურია და მხოლოდღა ამ თვისებით აღწევს იგი ზოგადკაცობრიულს... ყველაფერი, რაც კი კულტურაში შემოქმედებითია, ეროვნული გენიის ბეჭედს ატარებს“.

ამასთან, ერი, როგორც ასეთი, როგორც ითქვას, შემოქმედებითი ბუნებისაა და იგი არსებობს მანამ, სანამ მისი შემოქმედებითი ენერგია (ქმნადობის ნება და ძალა) არ დაიშრიტება, სანამ მას შენარჩუნებული აქვს უნარი, შექმნას ინდივიდუალური (სხვათაგან განსხვავებული) **ახალი** ეროვნული ისტორია და **ახალი** ეროვნული კულტურა. აქედან ლოგიკური აუცილებლობით მივდივართ ნაციონალიზმის ფუნდამენტურ იდეასთან – **ეროვნული თავისუფლების** იდეასთან; ლოგიკური აუცილებლობით იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი შემოქმედებითი აქტის უმთავრესი პირობაცა და საბოლოო მიზანიც თავისუფლებაა.

ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თავისუფლება ჯილდო კი არ არის, არამედ იგი დაუღალავი შრომით (მოქმედებით) მოიპოვება. იოჰან ვოლფგანგ გოეთეს აზრით, „ის იმსახურებს თავისუფლებას, სიცოცხლესავეთ, ვინც **ყოველდღიურად** მოიღვაწებს მას“ [აქ უნდა ვიგულისხმოთ თავისუფლების მოპოვება როგორც ადამიანის (პიროვნული ინდივიდის), ისე ერის (სოციალური ინდივიდის) მიერ]. ვაჟა-ფშაველას მიხედვითაც: „თავისუფლება **მოქმედებაა**, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის

დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“ (ვაჟა-ფშაველა. რა არის თავისუფლება?).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე მსჯელობისას ერისა და თავისუფლების ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესო თვალსაზრისი აქვს ჩამოყალიბებული XX საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრს, ისტორიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს ალექსანდრე მანველიშვილს: „ერი არის გარკვეული პიროვნება, ისე, როგორც ინდივიდი; დამთავრებული ბუნებრივი ქმნილება, რომლის განვითარება და ამაღლება მოითხოვს თავისუფლებას. ადამიანის არსებობის მიზანი ამქვეყნად არის მუდმივი წინსვლა, განვითარება, სრულყოფა მისი ნივთიერი არსებობის პირობებისა და სულიერი და ზნეობრივი გაფაქიზება, რათა ამ დაუსრულებელი ლტოლვით ღვთაებამდე ამაღლებისა, შეასრულოს თავისი ადამიანური მისია, რომელიც არის მთავარი პრინციპი მთელი სამყაროსი, განსაკუთრებით კი სიცოცხლისა და მისი უმაღლესი გამომჟღავნების – ადამიანისა. ეს ბუნებრივი სვლა ხდება ბრძოლითა და შემოქმედებით. ბრძოლა თავისუფლებისათვის – შემოქმედება თავისუფლების ნიადაგზე. ერი, როგორც ინდივიდი, შემქმნელია ყველაფრის. კულტურა იქმნება მხოლოდ ინდივიდუალურ, ეროვნულ ნიადაგზე. ხოლო რაკი შემოქმედება მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზეა შესაძლებელი – ერის თავისუფლების პრინციპი გამომდინარეობს მისი სოციალური ბუნებიდან: „თავისუფლებავე შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, / შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი, / შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, / შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

ეროვნულ თავისუფლებას ორი ასპექტი აქვს: ინტრანაციონალური (ერისშინა) და ინტერნაციონალური (ერთაშორისი, საერთაშორისო).

ინტერნაციონალური თვალსაზრისით, ერი მაშინაა თავისუფალი, როცა იგი არ არის დათრგუნვის ობიექტი (როცა არ განიცდის ჩაგვრას სხვა ერისაგან), აქვს სუვერენული უფლებები, ხოლო ეროვნული სუვერენიტეტი განხილული უნდა იქნეს როგორც თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი (თავისუფალ ერთა თავისუფალი ურთიერთობა).

რაც შეეხება ინტრანაციონალურ ასპექტს, აქ ერი თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი თავისუფალია პიროვნულ-ინდივიდუალურ დონეზე, ე. ი. თავისუფალია მოცემული ერის თითოეული შვილი როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდი (სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაცულია ერის თითოეული შვილის ინდივიდუალური უფლებები).

ასე რომ, ეროვნულ თავისუფლებას მაინცდამაინც ზემოაღნიშნული ორი ასპექტის, – ინტერნაციონალურ და ინტრანაციონალურ თავისუფლებათა, – ერთობლიობა ქმნის.

ჟურნალისტიკას, როგორც საზოგადოების ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმთავრეს და ყველაზე ეფექტურ საშუალებას, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ფართო ფენებში (მასობრივ ცნობიერებასა და შეგნებაში) პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმზე მართებული შეხედულებების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არ შეიძლება პატრიოტული გრძნობების გამოჯვანა პატრიოტული პასუხისმგებლობისა და მოვალეობებისაგან. თუ სამშობლოსა და მის თავისუფლებას ვაღიარებთ პიროვნების (ინდივიდის, პერსონის) უმაღლეს ინტერესად და მიზნად, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვითონ პიროვნებამაც არაფერი არ უნდა დაიშუროს ეროვნული თავისუფლების მიღწევისა და დამკვიდრებისათვის. შესაბამისად, საზოგადოებაში პატრიოტული გრძნობების განმტკიცება, პასუხისმგებლობისა და მოვალეობებთან მიმართებაში მართებული კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ კრიტერიუმთა პრაქტიკული ხორცშესხმა ნებისმიერი ჟურნალისტიკისათვის აუცილებელი პიროვნული და პროფესიული მოვალეობა უნდა იყოს. დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება:

თანამედროვე პირობებში ჟურნალისტიკის (განსაკუთრებით, ტელეჟურნალისტიკის) მეტყველებას უდიდესი (არსებითად – განმსაზღვრელი) მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ფართო ფენების მეტყველებაზე (და, მაშასადამე, აზროვნებაზეც). ამდენად, დაუშვებელია ჟურნალისტთა მიერ მშობლიური ენის ბუნებისა და წეს-კანონთა უგულვებელყოფა, გაუმართავი წერითი თუ ზეპირი მეტყველება. დაბეჯითებით უნდა ითქვას: ვერც ერთი ჟურნალისტი, როგორი პროფესიული უნარებითაც არ უნდა იყოს იგი „აღჭურვილი“, იმის მეთავედსაც ვერ შექმნის პოზიტიურს, რასაც გააფუჭებს ენის, – ეროვნული თვითშემეცნებისა და კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) საფუძველთა საფუძვლის, – შერყვნა-დამახინჯებით, მისი საძირკვლის მოშლით.

ჟურნალისტიკა და საერთაშორისო (ინტერნაციონალური) ურთიერთობები. ჟურნალისტიკა და ინტეგრაციული პრობლემატიკა

მოკლედ ინტერნაციონალიზმის რაობაზე...

ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური გაგება, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასობრივი ბრძოლის პრინციპები და და რომლის თანახმადაც იგი (ინტერნაციონალიზმი როგორც პოლიტიკური იდეოლოგია) პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა და სოლიდარობაა კაპიტალიზმის დასამხობად და კომუნიზმის ასაშენებლად.

სინამდვილეში ინტერნაციონალიზმი („inter“ – შორის, „natio“ – ერი; ანუ – ერთაშორისი, საერთაშორისო) ნიშნავს ერების, ხალხების, სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვ. ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას, ერთმანეთის სუვერენულ უფლებათა გათვალისწინებასა და შეუზღუდელობას... (სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, ინტერნაციონალიზმი – ეს არის „ხალხების, სოციალური ჯგუფების სოლიდარობისა და თანამშრომლობის პრინციპი, რომელიც ემყარება მათი ინტერესების ერთიანობას, თანასწორობასა და დამოუკიდებლობას“).

ერთი სიტყვით, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი – ესაა ურთიერთსარგებ-
ლიანობის, ურთიერთპატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე
დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობა (თანაცხოვრება).

გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ჯონ ჰობსონის (1858-1940), თვალსაზრისით, „ნამდვილი, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი არსობრივად გულისხმობს მძლავრ და საკუთარი ღირსების შემგნებ ეროვნებათა არსებობას, რომლებიც ისწრაფვიან ერთიანობისაკენ საერთო საჭიროებათა და ინტერესთა საფუძველზე“.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხზე მსჯელობს ვაჟა-ფშაველა წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ოღონდ სანამ ავტორის შეხედულებას დავიმოწმებთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება: ვაჟა-ფშაველა „კოსმოპოლიტიზმში“ გულისხმობს ამ ტერმინის ადრინდელ (ერთაშორის, ინტერნაციონალურ) მნიშვნელობას. თანამედროვე გაგებით კი „კოსმოპოლიტიზმი“ ისეთი მსოფლმხედველობაა (იდეოლოგიაა), რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ზოგადკაცობრიულსა და

ნაციონალურს და ამ დაპირისპირებაში უპირატესობას ზოგადკაცობრიულ ინტერესებსა და ღირებულებებს ანიჭებს, ხოლო პიროვნებას (ინდივიდს) მიიჩნევს არა ამა თუ იმ ერის (ნაციის) კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) პირმშოდ და დამცველად, არამედ – მსოფლიო მოქალაქედ.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია... რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ადამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალდონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკებდა დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად... კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუშინევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი,

ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერთ თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.

არსებითად იგივე თვალსაზრისია ჩამოყალიბებული აკაკი წერეთლის მიერ პარიზში წარმოთქმულ სიტყვაში, რომლითაც მან 1909 წელს საფრანგეთში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას მიმართა: „ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!.. თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი სამშობლო არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს?“.

თანამედროვე მსოფლიოში მწვავედ დგას გლობალიზაციის პრობლემა. თვითონ ამ მოვლენის რაობის წარმოდგენისათვის სრულად ვიმოწმებთ თენა ნოზაძის ინტერნეტპუბლიკაციას – „რა არის გლობალიზაცია?“:

„ტერმინი „გლობალიზაცია“ ინგლისურ სიტყვა „გლობეს“ („globe“) უკავშირდება, რაც „დედამიწას“, „გლობუსს“ ნიშნავს, ხოლო „გლობალ“ („global“) – „მსოფლიოს“, „გლობალურს“. გლობალიზაციის ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის, რ. რობერტსონის, სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა.

გამოყოფენ გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტს. თითოეული მათგანის გაშუქება უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც დღევანდელ მსოფლიოში ადგილი აქვს უპრეცედენტო ინტეგრაციას [სწრაფვას გაერთიანებისაკენ], რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვება თავისი თანმხლები შედეგები და წინააღმდეგობები. ტრადიციულად საუბრობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გლობალიზაციაზე. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ძირები საერთოა.

ყურადღებას კულტურის გლობალიზაციაზე გავამახვილებთ.

კულტურული გლობალიზაცია და გლობალიზაციის კულტურა მიზნად ისახავს რელიგიური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას.

გლობალური კულტურა დასავლური სამყაროს პირმშოა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობენ თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან [სხვებზე ძლიერი, ე. წ. ცენტრი-სახელმწიფოებიდან] და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან. ესენი არიან ახალი „კულტურული იმპერიები“. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გლობალური კულტურა და იდეები ყოველთვის წინააღმდეგობაშია და შეუთავსებადია სახელმწიფოს ძალისმიერ პოლიტიკასა და, რაც ყველაზე მთავარია, თითოეული ქვეყნის [ერის] კულტურულ მახასიათებლებთან.

ზოგიერთ ქვეყანაში კულტურული გლობალიზაციის პროცესი დიდ წინააღმდეგობებსა და შეზღუდვებს აწყდება. ყოველი ქვეყნის [ერის] კულტურა გამოირჩევა საკუთარი ბუნებით, სპეციფიკით, თვითმყოფადობით, ისტორიით, თვისებებითა და ტრადიციებით, ღირებულებებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად აფერხებენ ე. წ. კულტურული იმპერიალიზმის მზარდ პროცესს. მაგრამ ხდება პირიქითაც, როცა ქვეყნის კულტურა იზღუდება, იწრდილება ან ცვლილებას განიცდის გლობალური კულტურის მიერ. მიუხედავად ამგვარი გავლენისა, ქვეყნის, ერის კულტურა მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგან მას გლობალიზაციის მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის „თავდაცვითი მექანიზმები“ გააჩნია. აქ, გარკვეულწილად, იგულისხმება ის მახასიათებლები, რომლებიც თითოეული ერის, ეროვნული კულტურის განმასხვავებელ ნიშნებს მოიცავს. ესენია:

1. ეროვნული ხასიათი.
2. [ეროვნული] ისტორია.
3. ერისადმი კუთვნილების აღქმა და განცდა.
4. დროის ფაქტორი.
5. გარკვეულ სივრცეში არსებობა.
6. ენა.
7. არავერბალური კომუნიკაცია.
8. ღირებულებანი და ფასეულებანი.
9. ქცევა: ნორმა, წესები, ტრადიციები და ჩვეულებები.
10. სოციალური ჯგუფები, გაერთიანებები და კავშირები.

გლობალიზაციის ერაში კულტურული თვითმყოფადობისა და თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე; იმაზე, თუ რამდენადაა ის ეროვნულად შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ძლიერია, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს [გავლენებს, ზემოქმედებებს]. მიუხედავად იმისა, რომ ერის როლი და მისი ფუნქცია სწორედ ამგვარი გარდაქმნების ფონზე საგრძნობლად შესუსტდა, იგი მაინც არსებობს და ზოგ ქვეყანაში გზასაც უღობავს და აფერხებს გლობალურ ცვლილებებსა და სიახლეებს, რაც მათი ეროვნული, თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებელია.

თანამედროვე გლობალური კულტურა, პირველი რიგში, ტექნოლოგიური ცივილიზაციის შემომტანია მსოფლიოში. მისი კოსმოპოლიტიზმი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიურ ბაზას კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სისტემით, რომელიც თავისთავად ქმნის მჭიდროდ **ურთიერთდამოკიდებულ** სოციალურ, კულტურულ კავშირებს. ამგვარ უნივერსალურ-კულტურულ პროცესებს არა აქვთ კონკრეტული ისტორიული საფუძველი, არც განვითარების სპეციფიკური, მახასიათებელი რიტმი და თანამიმდევრობა. კულტურული გლობალიზაცია მესამე სამყაროს ქვეყნებსა და არადასავლურ საზოგადოებაში განსაკუთრებულად და ყველაზე მეტად იგრძნობა. იგი იქ ადგილობრივი კულტურისათვის სრულიად უცხო და ახალ ელემენტებსა და ღირებულებებს ამკვიდრებს.

ისეთი მძლავრი კულტურული ფენომენები, როგორებიც არის მუსიკა, კინო, ხელოვნება, სპორტი, ტანსაცმელი დღეს ხდება გლობალური ბაზრის პროდუქტი. ამგვარი კომერციალიზაცია, რომელიც იწვევს კულტურული ღირებულებების გაუფასურებას, თავისთავად ნეგატიური პროცესია. წარმოიქმნება ბევრი ქვეყნის კულტურული მახასიათებლების დაკარგვის საშიშროება მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ მიიღებს გლობალური, კომერციული ბაზარი. ერის კულტურა ასაზრდოებს გაცილებით ღირებულ და სრულიად განსხვავებულ ინტერესებსა და მისწრაფებებს. როგორც ერთმა აფრიკელმა ექსპერტმა აღნიშნა, ტრადიციული კულტურული ღირებულებანი მიაქვს კოკა-კოლასა და მაკდონალდსის კულტურას. გლობალური, კოსმოპოლიტიური კულტურის საერთო ასპექტი არის ის, რომ იგი სთავაზობს ხალხს ყველასათვის საერთო იდეალებს, რაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და რაც შეუძლებელია, მიიღოს და გაითავისოს მსოფლიოს ყველა ერმა თუ საზოგადოებამ.

მსოფლიოში არ არსებობს ორი მსგავსი კულტურის მატარებელი ერი.
ამდენად, ერთიანი კულტურის დამკვიდრება მსოფლიოში უტოპიური და
არარეალურია“. (<http://www.ambioni.ge/ra-aris-globalizacia>)

////////////////////////////////////

გლობალისტური პროცესების განვითებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ სისტემათა ურთიერთდამოკიდებულების შეუქცევადი ზრდა, აგრეთვე, გავრცელება ინტერენეტისა, რომელიც ქმნის მსოფლიო (გლობალურ) საინფორმაციო სივრცეს.

გლობალიზაციის პროცესში დომინანტურ როლს ე. წ. ცენტრი-სახელმწიფოები (მით უმეტეს – ზესახელმწიფოები) ასრულებენ, ანუ ისეთი სახელმწიფოები, რომელთა დამახასიათებელი ნიშნებია: დანარჩენ მსოფლიოზე პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური ზეგავლენა, სწრაფი სამხედრო რეაგირების უნარი და სხვ.; გლობალიზმს არცთუ იშვიათად აიგივებენ ამერიკანიზაციასთან (გამოიყენებენ აგრეთვე ტერმინს – **ვესტერნიზაცია**, რაც გულისხმობს დანარჩენ სამყაროზე დასავლური კულტურის თავზე მოხვევას). საუბარია, აგრეთვე, მასკულტურაზე (პოპკულტურაზე), მსოფლიოს ე. წ. ჰოლივუდიზაციაზე (ჰოლივუდის კინოინდუსტრიის მიერ ცხოვრებისა და აზროვნების ამერიკული წესის გავრცელებასა და პოპულარიზაციაზე) და სხვ.

გლობალიზაციის პროცესს ორი მხარე აქვს – ნეგატიური და პოზიტიური:

1. იგი ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნიველირება-გაერთსახოვნებას (ნეგატიური მხარე).

2. იგი ხელს უწყობს **ინტეგრაციის** გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. კავშირების გაღმავებასა და განმტკიცებას (პოზიტიური მხარე).

ორიოდე სიტყვით განვმარტოთ ინტეგრაციის რაობა და არსი. სამოქალაქო განათლების ლექსიკონში იგი ასეა ფორმულირებული:

„ინტეგრაცია – სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ინტეგრაცია ნებაყოფლობითი პროცესია და კონსენსუსს [შეთანხმებას, ერთსულოვნებას] ემყარება... ინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა“.

გლობალიზაციის ნეგატიურ და პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას გამოიყენება ამგვარ მეტაფორული მსჯელობა:

ა) გლობალიზაცია მატარებელია, რომელიც თავის გზაზე ანადგურებს ყველაფერს, რასაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის ბეჭედი აზის (გლობალიზაციის ნეგატიური მხარე);

ბ) გლობალიზაცია მატარებელია, რომელშიც დროზე უნდა ჩაჯდე და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის შენარჩუნებით მოიპოვო ადგილი საერთო-საკაცობრიო ცხოვრებაში (გლობალიზაციის პოზიტიური მხარე).

გლობალიზაციის პროცესმა (მისმა ნეგატიურმა მხარემ) ბუნებრივად წარმოშვა ანტიგლობალისტური მოძრაობა, რომელიც დღეს მოელს მსოფლიოშია გავრცელებული და ხშირად მწვავე ფორმებითაც გამოიხატება.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ ერმა/სახელმწიფომ მოიპოვოს სრულფასოვანი ადგილი საერთაშორისო თანაცხოვრებაში, საჭიროა, – და აუცილებელიც, – რომ მას მოგვარებული ჰქონდეს შიდანაციონალური და შიდასახელმწიფოებრივი პრობლემები. საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ვინაობის გარკვევა და განმტკიცება – ესაა პირდაპირი გზა ნამდვილი ინტერნაციონალიზმისაკენ (საერთაშორისო თანაცხოვრებისაკენ), მაგრამ თუ ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის ჩნდება წინააღმდეგობა (ანტაგონიზმი), მაშინ იწყება მოცემული ერისა და სახელმწიფოს ინტერესთა შელახვა. აქედან კი გზა ეხსნება იმპერიალიზმს – ერთი სახელმწიფოს (ერის) მიერ მეორის ჩაგვრას (საგულისხმოა, რომ გლობალიზაციას ზოგჯერ „კულტურული იმპერიალიზმის“ ფორმულირებას აძლევენ და აქ „კულტურას“ იყენებენ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით – პოლიტიკა, ეროვნული იდენტობა, ყოფითი სპეციფიკა, ტრადიციული ფასეულობები და სხვ.).

დიმიტრი უზნაძე ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას დაასკვნის: „ინტერნაციონალური სულისკვეთება მხოლოდ მანამდე არის შესაძლებელი, სანამ იგი ნაციონალური ერთეულის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ როგორც კი თავს იჩენს ამგვარი წინააღმდეგობა, იმწამსვე ინტერნაციონალური ანაზღად ქრება და სინამდვილის სარბიელზე განუყოფლად იწყებს ბატონობას ნაციონალური“.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ინტერნაციონალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ვალდებულებით დამოკიდებულებასაც [მაქვს უფლება, თანასწორუფლებიანი კავშირი ვიქონიო სხვა სახელმწიფოსთან, მაგრამ

იმავდროულად მასთან ურთიერთობისას ვალდებული ვარ დავიცვა არა მარტო საკუთარი, არამედ პარტნიორი სახელმწიფოს სამართლიანი (კანონიერი) ინტერესები და უფლებები].

ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, რასაკვირველია, ნიშნავს უკლებლივ ყველა ერისა და სახელმწიფოს სამართლიანი ინტერესებისა და უფლებების პატივისცემას, აგრეთვე, თანასწორუფლებიან გარემოში მათთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას. მაგრამ, ამასთან, რეალურად არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სხვ. ფაქტორებით განსაზღვრული პრიორიტეტული (უპირატესი) საერთაშორისო(ინტერნაციონალური)-საურთიერთობო სივრცეები (არსებობს აგრეთვე ე. წ. რეგიონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო ინტეგრაციული კავშირები, მაგალითად – ევროკავშირი და სხვ.).

საქართველოსთვის ასეთი პრიორიტეტული საერთაშორისო-საინტეგრაციო სივრცეა დასავლური (ევრო-ატლანტიკური) სივრცე.

XV საუკუნეში, როცა კონსტანტინოპოლი დაემხო, საქართველო, – მოექცა რა მისდამი აგრესიულად განწყობილ ისლამურ გარემოცვაში (ფაქტობრივად, ალყაში), – მთლიანად მოსწყდა დასავლურ (ევროპულ) სამყაროს. ამ დროიდან ქართული პოლიტიკური აზრი დაბეჭდითებით ეძებდა ევროპულ ორბიტაზე დასაბრუნებელ გზებს (ქართველ მოღვაწეთა „ელჩობები“ ევროპაში და სხვ.). ცნობილია, რომ XVIII საუკუნის დასასრულს რუსეთთან პოლიტიკური კავშირის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტი რუსეთის მეშვეობით ევროპულ სამყაროში გაღწევა იყო. მაგრამ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის მონარქიამ მოინდომა, საქართველოში ევროპეიზმის* ერთადერთ წყაროდ მის მიერ თავს მოხვეული კულტურა გადაექცია, რაც მას, თავის მხრივ, ხელსაყრელ ნიადაგს შეუქმნიდა ჩვენში ასიმილაციური (რუსიფიკატორული) პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ამგვარ პირობებში ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა (სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და საერთოდ მთელი თაობა „თერგდალეულებისა“...) მიზნად დაისახეს არა უშუალოდ რუსული, არამედ

* ტერმინი „ევროპეიზმი“ საქართველოში 1850-იანი წლებიდან დამკვიდრდა. ხოლო რაც შეეხება თვითონ ტერმინის შინაარსს, „ევროპეიზმი გულისხმობს არა ყველა ხალხს, არამედ მხოლოდ მათ, ვისაც აქვთ ერთიანი წარსული ბერძნული და რომაული კულტურის, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით... კულტურულ-სულიერი გენეტიკით ამერიკაც ევროპული კულტურის ქალიშვილია“ (ფრიდრიხ ნიცშე).

დასავლეთევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო იდეებისა და ფასეულობების ათვისება და გადმონერგვა საქართველოში, ცხადია, ადგილობრივი პირობების, ტრადიციებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის შესახებ ქართველი პუბლიცისტი სერგეი მესხი (1845-1883) წერდა: „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო დასავლეთი ევროპა არის... ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან (წაიკითხე: რუსეთიდან – თ. ჯ.)? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს?..“

საზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი მოღვაწეებისთვის ევროპეიზმი იყო არა პოლიტიკური თუ კულტურული ორიენტაციის (ვექტორის) საკითხი, არამედ ქართული კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დაბრუნება მშობლიურ წიადში, მშობლიურ სააზროვნო და სამოქმედო სივრცეში, რამდენადაც ქართული კულტურა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული ბუნებისა იყო. შესაბამისად, ევროპეიზმი (დღეს ამ ცნების შინაარსი გაფართოებულია და მასში მთელი ევროატლანტიკური სივრცე იგულისხმება) ჩვენთვის არის არა მხოლოდ განვითარებისთვის (პროგრესისთვის) საჭირო, სარგებლიანი და, ამდენად, ოპტიმალური გზა, არამედ ისტორიული სამართლიანობისა და განვითარების (პროგრესის) ბუნებრივი გზის აღდგენაც.

დასავლურ (ევროატლანტიკურ) „ოჯახში“ კუთვნილი, – ბუნებით განსაზღვრული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლითა და შრომით დამსახურებული, – ადგილის დაბრუნება, დასავლურ პროცესებში ინტეგრირება, რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს ჩვენი ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფადობის, ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალიზმის ნიველირებასა და გაუსახურებას; პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს ახალ პირობებში ტრადიციულ ღირებულებათა სისტემის სიღრმისეულ გაცნობიერებასა და საერთაშორისო ცხოვრებაში სრულფასოვან დამკვიდრებას ამ სისტემის გათვალისწინებითა და მის საფუძველზე.

პრაქტიკული განხორციელება ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემისა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ქართველ ხალხზე, მის პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, კულტურულ-ადამიანობითი ცხოვრების ინტენსივობაზე, შრომისმოყვარეობასა და სწავლისმოყვარეობაზე, თანადროული საკაცობრიო კულტურული და ცივილიზაციური მონაპოვრების მიმართ ღიაობაზე... მხოლოდ

ამ, – ჩვენთვის ისტორიულად დამახასიათებელ, – თვისებათა აღდგენა-განვითარებითა და პრაქტიკულ ცხოვრებაში დამკვიდრებით გახდება შესაძლებელი, რომ ქართველმა ხალხმა წარმატებით დაასრულოს მრავალსაუკუნოვანი ძალისხმევა ევროპულ „ოჯახში“ ღირსეულად და სრულფასოვნად დამკვიდრებისათვის.

ჟურნალისტიკის უშუალო ფუნქცია და მოვალეობაა ინტერნაციონალური (საერთაშორისო, საერთო-საკაცობრიო) იდეების, ღირებულებებისა და პრინციპების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცნობიერებასა და პრაქტიკულ ცხოვრებაში, თანადროული ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების გაშუქება ზემოხსენებულ პრინციპთა გათვალისწინებითა და მის საფუძველზე.

ამასთან, სხვა ერთა კულტურული მიღწევების გაცნობა-პოპულარიზაციით ჟურნალისტიკა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მოცემული საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალურ განვითარებაში, ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებათა (და არა ფსევდოკულტურის, ერზაცკულტურის, კულტურული „მაკულატურის“) საფუძველზე ხალხთა სულიერ და ღირებულებით დაახლოებასა და შეკავშირებაში.

საკითხი საგანგებო მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გლობალისტური პროცესების ფონზე. საქმე ისაა, რომ გლობალიზმის პირობებში ზემოხსენებული „კულტურული იმპერიალიზმის“ ანუ დომინანტი კულტურების სახიფათო ზეგავლენების პრაქტიკული განხორციელება, პირველ რიგში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით, – მათ შორის, მედიაარხებით, – ხდება. ასეთ ვითარებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული მასკომუნიკაციური და მედიაორგანიზაციების ძალისხმევას, ერთი მხრივ, უზრუნველყოს თავისი ფორმითა და შინაარსით უნიკალური ეროვნული კულტურის შენარჩუნება და განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს მოცემული კულტურის ღიაობასა და გამდიდრებას საერთაშორისო მიღწევებითა და გამოცდილებით.

ჟურნალისტიკა და ჰუმანიზმის პრინციპები

ტერმინი „ჰუმანიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „Humanus“, რაც „ადამიანურს“ ნიშნავს. ჰუმანიზმი შეხედულებათა ისეთი სისტემაა, რომელიც ძირითად ღირებულებად მიიჩნევს ადამიანს, აღიარებს პიროვნების უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, საკუთარი ცოდნის, ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზაციისათვის აუცილებელი გარემოს შექმნაზე..

ჰუმანისტური გაგებით, ადამიანის კეთილდღეობის ხარისხი სოციალური ინსტიტუტების აკარგიანობის შეფასების საზომია, ხოლო თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპი – ადამიანთა **ურთიერთობის ნორმები**.

ჰუმანიზმი, როგორც მსოფლმხედველობრივი და ეთიკური სისტემა, წარმოიშვა ე. წ. აღორძინების (რენესანსის) ეპოქაში (ძირითადად XIV–XVI სს.) და შემდგომში წამყვან მსოფლმხედველობრივ და ზოგადკულტურულ სისტემად იქცა. XVIII-XIX საუკუნეებში ჰუმანიზმის თანამედროვე გაგებამ მიიღო დასრულებული სახე, როდესაც ჩამოყალიბდა იდეა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი წყობა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებს, ე. ი. ყოველგვარი წყობილება (მათ შორის, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემები) იმდენადაა მისაღები ან მიუღებელი, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ან არ უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა პრაქტიკულ განხორციელებას (ჰუმანისტური მსოფლმხედველობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა იქონია იმანუელ კანტის (1724-1804) მიერ ჩამოყალიბებულმა თვალსაზრისმა, რომლის მიხედვითაც ადამიანი სხვა ადამიანისათვის შეიძლება იყოს მხოლოდ მიზანი და არა საშუალება).

ჰუმანიზმის, როგორც ასეთის, მიმართება ჟურნალისტიკასთან ნიშნავს მიმდინარე პროცესებისა საერთოდ თუ მისი ცალკეული გამოვლინებების (ფაქტების, მოვლენების) შეფასებასა და ანალიზს ჰუმანიზმის ზოგადო პრინციპების შესაბამისად და მასთან თანხმობაში. ჟურნალისტიკა ხელს უნდა უწყობდეს ჰუმანისტური პრინციპების დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პიროვნების (მოქალაქის, ინდივიდის, პერსონის) თავისუფლების, მისი უფლებების, **კანონიერი** მოთხოვნებისა თუ მოთხოვნილებების პრაქტიკულ და ეფექტურ განხორციელებას.

მოქმედება ჰუმანისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის ნიშნავს მოქმედებას ისეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის, რომელშიც ადგილი არ ექნება სახელმწიფოს მიერ ადამიანის ან ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ჩაგვრა-დისკრიმინაციას, რომელშიც

1. ყველა პირობა იქნება შექმნილი ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფისათვის;

2. შესაძლებელი იქნება პიროვნების (ინდივიდის) მიერ პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, რელიგიური და სხვ. ინტერესებისა და მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება;

3. სახელმწიფოებრივ-სახელისუფლებო სტრუქტურები სრულ შესაბამისობაში იქნება პიროვნების ბუნებასთან, მიზნებსა და მოთხოვნილებებთან.

ჟურნალისტიკის მიმართ სწორედ ამ ჭრილში უნდა განისაზღვროს ის მიდგომები, რომლებსაც ჰუმანისტური და დემოკრატიული საზოგადოებები მოითხოვენ ჟურნალისტიკისაგან:

- ა) ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს.
- ბ) ჟურნალისტიკა მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს პიროვნებისა და საზოგადოების დეჰუმანიზაციის მწვავე პრობლემას. პიროვნების/საზოგადოების დეჰუმანიზაცია კი, პირველ რიგში, ნიშნავს ჰუმანიზმის ზემოხსენებულ ძირითად პრინციპთა შესუსტებას (ან სულაც გაქრობას), ზოგადკაცობრივი სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების დაკნინებას, უარის თქმას ცხოვრებისა და აზროვნების ისეთ წესზე, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობაზე, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებზე, პიროვნების, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინდივიდის, ღირსებისა და პატივის გათვალისწინებასა და ხელშეუვალობაზე...

საზოგადოებაში ჰუმანიზმის პრინციპების იგნორირება (მით უმეტეს, მიზანმიმართული გაქრობა) პირდაპირ წარმოშობს ე. წ. „მასის ადამიანს“. „მასის ადამიანი“ კი ესპანელი მწერლის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ხოსე ორტეგა ი გასეტის (1883-1955), შეხედულებით, „ისაა, რომელიც საკუთარ თავში სხვა ადამიანებთან შედარებით არ გრძნობს არავითარ განმასხვავებელს (არც კარგს, არც ცუდს); ვინც მიიჩნევს, რომ ზუსტად ისეთია, როგორც ყველა სხვა დანარჩენი და ამის განცდა კმაყოფილებასა და ბედნიერებას ანიჭებს“.

ერთი სიტყვით, თანამედროვე ადამიანში მიმდინარეობს ბრძოლა ინდივიდუალიზმსა და დეპერსონალიზაციას შორის და ამ ბრძოლაში დიდი (ზოგ შემთხვევაში – განმსაზღვრელი) მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. პოპკულტურას (უწოდებენ აგრეთვე მასკულტურას, „კულტურულ უმრავლესობას“ და განასხვავებენ „ელიტური კულტურული უმცირესობისაგან“).

პოპკულტურის გავრცელება და პოპულარიზაცია ძირითადად ხდება მასმედიისა და ინტერნეტის მეშვეობით. პოპკულტურაში, რომელიც სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ავლენს კულტურის დაუძლეველ სწრაფვას კომერციალიზაციისაკენ, აერთიანებენ აგრეთვე მუსიკას, კინემატოგრაფიას, სპორტს, რეკლამას, მოდას, დიზაინს და სხვ.

პოპკულტურის უკიდურესი გამოვლინებაა **კიჩი** – უფართოეს სოციალურ ფენებზე გათვლილი და, ამდენად, მდარე ხარისხის ხელოვნება (ზოგჯერ ირონიულად უწოდებენ უგემონო ასლს, რომელსაც დედანი არ გააჩნია). სიტყვა გერმანული წარმოშობისაა – „Kitsch“ და ნიშნავს „უგემონოს“, „იაფფასიანს“, „ხალტურას“ და ფსევდოხელოვნების (ერზაცკულტურის) სინონიმად ითვლება (კიჩური ხელოვნება ძირითადად გამოირჩევა ფასადური ექსტრაგავანტურობით, მხატვრობაში – კაშკაშა და აგრესიული ფერებით, სწორხაზობრივი და სტანდარტული აზროვნებით და სხვ.). კიჩი ხელს უწყობს ესთეტიკური აზროვნების დაქვეითება-უნიფიკაციასა და მაჩვენებელია „მომხმარებლის“ დაბალი ესთეტიკური გემოვნებისა.

პოპკულტურა მიიჩნევა „ტრადიციული კულტურების“ საპირისპირო (ხშირად – მის დამთრგუნველ) მოვლენად.

იმისათვის, რომ ეროვნულმა კულტურამ, ერთი მხრივ, სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ-ინტეგრაციულ პროცესებში (იქცეს იგი საკაცობრიო კულტურული ოჯახის ორგანულ ნაწილად), ხოლო, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს ინდივიდუალურ-სპეციფიკური სახე და სწორედ ამით გახდეს საინტერესო დანარჩენი სამყაროსათვის, ჟურნალისტიკამ, როგორც ყოველივე ამის **ხელშემწყობმა ფაქტორმა**, აუცილებელია, განახორციელოს თავისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – იყოს ცოდნის გამავრცელებელი და **კულტურტრეგერი** (კულტურისა და განათლების მატარებელი და გამავრცელებელი, პიროვნების/საზოგადოების სულიერი, გონებრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშემწყობი). ამას უწოდებენ ჟურნალისტიკის **კულტურულ-საგანმანათლებლო (შემეცნებით) ფუნქციას**.

ჟურნალისტიკის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციასთან მიმართებით დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი:

„ერთის მხრით იგი (ჟურნალისტიკა – თ. ჯ.) არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალი და ხალისი თვითცნობისა. ეს სხვადასხვა-ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედების ძალა მილეულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან ფეხი უნდა აუდგას თვითმოქმედების ძალსა, მან უნდა ალაღვინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი“.

ამასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის განხორციელებისას ჟურნალისტიკამ აუცილებლად უნდა იმოქმედოს იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპით, რომლის მიხედვითაც „თვითმყოფადი ეროვნული კულტურების, გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და, პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო“ (ქრისტინაობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი).

რეკრეატიული და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციები და
მათი ურთიერთმიმართება ჟურნალისტიკაში

(თავი მომზადებულია პროფ. მარი წერეთლის მიერ)

„გასართობი გადაცემები მასმედიის კიდევ ერთ ფუნქციაზე მიუთითებს. ეს არის მისი გასართობი, ანუ როგორც მას უწოდებენ, რეკრეატიული ფუნქცია. რეკრეაცია დასვენებას, ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ძალების აღდგენას ნიშნავს. მაგრამ მასმედიისთვის გაართობის ფუნქცია იმდენად ბუნებრივია, რამდენადაც ბუნებრივია ადამიანის მისწრაფება დასვენებისა და გაართობისკენ.

მიუხედავად ამისა, დაუშვებელია, მასმედია მორჩილად დაჰყვეს აუდიტორიის დიდი ნაწილის მოთხოვნებს და ქმნიდეს მხოლოდ და მხოლოდ გასართობ ჟურნალისტურ ნაწარმოებებს, როგორც ამას აკეთებს არაერთი თანამედროვე ჟურნალი, რადიო თუ ტელევიზია. თუმცა ისიც დაუშვებელია, მასმედიამ სათანადოდ არ შეაფასოს **ჟურნალისტიკის რეკრეატიული ფუნქცია** და იგი მხოლოდ იდეოლოგიური და ტოტალურად პროპაგანდისტული გახდეს.

ჟურნალისტიკის გასართობ ფუნქციას შედარებით მწირად იყენებს ბეჭდური მედია და გაცილებით ფართოდ – ელექტრონული მედია. არსებობს გასართობი ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებიც ყოველგვარ პუბლიკაციებს ბეჭდავენ, რათა გაზარდონ ტირაჟი და კარგად გაყიდონ პროდუქტი. პრესის ცალკეულ გვერდებზე იბეჭდება ჰოროსკოპები, კროსვორდები, თავსატეხები, რებუსები, ტესტები და ა. შ., რომლებიც არ ითვლება ჟურნალისტურ პროდუქტად, მაგრამ მისი განთავსება პრესის ფურცლებზე ჟურნალისტიკის გასართობ, რეკრეატიულ ფუნქციაზე მიუთითებს. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრონულ მედიაზეც.

რადიოს აუდიტორია უსმენს. მუსიკა ან მხატვრული კითხვის ნიმუშები, სპექტაკლები ან კონცერტები, რომლებიც რადიოთი გადაიცემა, ცხადია, არ არის ჟურნალისტური პროდუქტი, მაგრამ რადიოარხების პროგრამებში მათი მუდმივი განთავსება თავად რადიოს რეკრეატიულ დანიშნულებაზე მიუთითებს.

ტელევიზიაში საქმე უფრო სხვაგვარადაა. მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის სხვადასხვა მექანიკური პროდუქციის ტრანსლაციები, მათი გადმოცემა აუცილებლად მოითხოვს რედაქტორის საქმიანობას (რედაქტორი კი ჟურნალისტური პროფესიაა), ხოლო თამაშების, ვიქტორინებისა და რეალური შოუების წამყვანებისთვის აუცილებელია, ფლობდნენ ჟურნალისტის თვისებებს.

სხვა შემთხვევაში, ისინი ვერ მოახერხებენ პროგრამის წაყვანას, აუდიტორიისთვის მუშაობას და, რაც მთავარია, სატელევიზიო ტექნიკასთან ურთიერთობას.

როგორც ვხედავთ, გასართობი პუბლიკაციები და გადაცემები დიდ ადგილს იკავებს მასმედიის მოღვაწეობის არეალში, შესაბამისად, რეკრეატიული ფუნქციაც პირდაპირ კავშირშია ჟურნალისტიკასთან. ხშირ შემთხვევაში გასართობი გადაცემები თუ პუბლიკაციები შეიცავენ შემეცნებით თვისებებს. მნიშვნელოვანია, როდესაც **გასართობი ფუნქცია გადაჯაჭვულია მასმედიის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციასთან**, რომლის ელემენტებიც შეინიშნება მრავალ შემეცნებით და გასართობ პუბლიკაციებსა თუ პროგრამებში. მაგრამ ბევრი სტატია, პუბლიკაცია, გადაცემა თუ პროგრამა უშუალოდ ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო თემატიკას. უფრო მეტიც, არსებობს საგანგებო გაზეთები, ჟურნალები და ტელე-რადიო არხები, რომელთა ჟურნალისტური პროდუქციაც მხოლოდ ამ ფუნქციის მატარებელია.

მეცნიერთა აზრით მასმედიის **კულტურულ-შემეცნებითი ფუნქცია უნდა გაემიჯნოს მის საგანმანათლებლო ფუნქციისგან**, რადგან ამ უკანასკნელის მეშვეობით საზოგადოებაში ვრცელდება განათლება. მაგალითად, არსებობს გამოცემები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია უცხო ენების შესწავლა, ასევე მეთოდური რეკომენდაციების გაცნობა და ა. შ. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო არხები და პროგრამები.

მსოფლიოში ელექტრონული მედიით ბევრი ადამიანი კერძო არხებზე მაუწყებელი ტელეუნივერსიტეტების საშუალებით იმაღლებს ცოდნას და კვალიფიკაციას. მართალია, საგანმანათლებლო ფუნქცია სამაუწყებლო კომპანიებმა თანდათან დაკარგეს, მაგრამ ის შეიძინა საკასეტო ტელევიზიამ და დღეს კასეტებისა და ვიდეოდისკების საშუალებით ნებისმიერი რამის შესწავლა შეიძლება.

ბევრი ექსპერტი და მკვლევარი ბოლო დროს მასმედიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად **საინტეგრაციო ფუნქციას** მიიჩნევს. მართლაც, ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია სახელმწიფო საზღვრებით, დიფერენცირებულია ეროვნული თავისებურებებით, აღმსარებლობით, მატერიალური მდგომარეობითა და სოციალური სტატუსით, მასმედიის გარდა, არც ერთ ინსტიტუტს არ შესწევს შემაკავშირებელი და მაკონსოლიდირებელი ფუნქციის შესრულება“ (მარი წერეთელი).

ჟურნალისტიკის რეკრეატიულ (გასართობ) ფუნქციაზე მსჯელობისას ჩვენ, ჩვენი მხრიდან, დავუმატებდით ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისს:

„იდეების, მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შეცვლა უმიზნო და უსაგნო ფოიერვერკთა მთელი რიგით – ეს ნიშნავს... გახრწნა საზოგადოების გონება და მასში გამოაღვიძო გასართობებისა და სპექტაკლების მოთხოვნილება, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...“ (ნიკო ნიკოლაძე, „ფრანგული პრესის დეკადანსი“).

დასასრულ, ე. წ. **„ყვითელი პრესის“** შესახებ („ბულვარულ პრესასაც“ უწოდებენ). დავიმოწმებთ ორ ინტერნეტპუბლიკაციას:

„ყველასათვის ცნობილი ტერმინი „ყვითელი პრესა“ XIX საუკუნის მიწურულს წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ პერიოდში პოპულარობა მოიპოვა და დიდი ყურადღება მიიქცია ორმა ამერიკულმა გაზეთმა: "New York World"-მა და "New York Journal"-მა, რომლებმაც ფსონი დადეს არა ჩვეულებრივი ახალი ამბების „გაკეთებაზე“, არამედ ისინი მკითხველს აწვდიდნენ ემოციური და სენსაციური სიუჟეტების შემცველ ისტორიებს, რაც, რაღა თქმა უნდა, მკითხველის უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებდა. 1895 წელს "New York Journal"-მა დაიწყო კომიქსების გამოქვეყნება. ისინი შეიცავდა სატირულ და ირონიულ კომენტარებს პოლიტიკის შესახებ, ხოლო თავად კომიქსების მთავარი გმირი ყვითელ პერანგში გამოწყობილი ბავშვი იყო. ერთი წლის შემდეგ აღნიშნული კომიქსი გამოქვეყნებულ იქნა "New York World"-ში და, შესაბამისად, უკვე ორი გაზეთი აქვეყნებდა აღნიშნულ კომიქსს ყვითელპერანგიან ბავშვზე. სწორედ აღნიშნული კომიქსი იქცა სერიოზული გამოცემების მიერ "ყვითელ პრესად" წოდებული ტერმინის წარმომშობ ფაქტორად...“ – <http://hand.ge/597-bbbbbbb-bbbbbbb-bbbbbbb-bbbbbbbbbb.html>

[არსებობს ტერმინის წარმოშობის სხვა ვერსიაც: ამ ტიპის გაზეთები თავიდან იბეჭდებოდა იაფფასიან (ყვითელ) ქაღალდზე, რათა შემცირებულიყო გაზეთის თვითღირებულება, გაეყიდათ იგი დაბალ ფასად და, ამრიგად, ღარიბი მოსახლეობისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი – თ. ჯ.].

„ყვითელი“ პრესისადმი ინტერესს საქართველოში სოციალური ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა ასე ხსნის: „დაახლოებით ათი წლის წინ დაწყებული „ყვითელი“ პრესის ბუმის ძირითადი მიზეზი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო: მოსახლეობა, რომელმაც გადაიტანა სამოქალაქო ომი, შიდაარეულობა და თავი დააღწია საბჭოთა შტამპებს, დაინტერესებული იყო ნებისმიერი სიახლით, რომელიც არ

მოითხოვდა დიდ ინტელექტს, ბევრ ფულს და, რაც ყველაზე მთავარია, მხოლოდ დადებითზე იქნებოდა ორიენტირებული“.

ნინო ალელიშვილის აზრით, „ყვითელი“ პრესა საქართველოში უმთავრესად ე. წ. შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებზე, მათ პირად ცხოვრებაზე წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ სტატიები ხშირ შემთხვევაში იქმნება ყოველგვარი ჟურნალისტური ეთიკის ნორმების გაუთვალისწინებლად, თუმცა მკითხველი გამოსატავს დიდ დაინტერესებას, რადგან მისი ინტერესის ფოკუსი სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებზეც იწერება და, რადგან ასეთი ადამიანები საქართველოში საკმაოდ ცოტაა და ისინი არც შემოქმედებითი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ამიტომ საინტერესო სფეროდ მათი პირადი ცხოვრება და, ერთი შეხედვით, სრულიად უინტერესო დეტალები ხდება“.

ალელიშვილი ამბობს, რომ „ყვითელი“ პრესის პოპულარობას მისი ხელმისაწვდომობა განაპირობებს. ასევე ის, რომ „საზოგადოების გარკვეულ ფენაში ითვლება მოდურად „ყვითელი“ პრესის ყიდვა და ეს პროცესი მათთვის იგივედება ყოველთვის საქმის კურსში ყოფნასთან, რაც თავისთავად სოციალურად ადაპტირებულს და თავის თავში დარწმუნებულს ხდის ადამიანს“

– <http://yellowpress-lika.blogspot.com/p/blog-page.html>

თავისუფლების ცნება ჟურნალისტიკაში

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი არის ჟურნალისტიკის თავისუფლების ხარისხი. საერთოდ, თავისუფლება, როგორც ეს „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაშია მითითებული, „არის ადამიანისათვის ნიშანდობლივი შესაძლებლობა, აკეთოს ყველაფერი, რაც ზიანს არ აყენებს სხვას“.

თავისუფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო კანონთა მეშვეობით. დემოკრატია, როგორც ასეთი, გულისხმობს თავისუფლებას კანონის ფარგლებში. კანონის წინაშე პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს არც ხელისუფალს და არც მოქალაქეს როგორც ინდივიდს. დემოკრატიის პირობებში ნებადართულია ის, რაც კანონით არ არის აკრძალული (განსხვავებული მიდგომაა ტოტალიტარულ სისტემებში: აკრძალულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის ნებადართული).

ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს უფლება და პრაქტიკული შესაძლებლობა, თავისუფლად მოიპოვოს ინფორმაცია, თავისუფლად გაავრცელოს იგი, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს თავის პროფესიულ საქმიანობაში ჟურნალისტის აბსოლუტურ შეუზღუდველობას.

ჟურნალისტის უფლებებსა და მოვალეობებს, მის უფლებებისა თუ ვალდებულებით მიმართებას სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურებთან, ასევე კონკრეტულ მოქალაქეებთან, განსაზღვრავს მოცემულ სახელმწიფოში არსებული კონსტიტუციურ-საკანონმდებლო წესრიგი, რომელიც, თავის მხრივ, უნისონში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, შეიქმნას სპეციალური კანონი ჟურნალისტიკის (პრესის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, გამოხატვის და სხვ.) შესახებ, რომელშიც მკაფიოდ (არაორაზროვნად) უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის, თუ რისი უფლება აქვს ჟურნალისტს და რა ეკრძალება მას. აკრძალვები, ძირითადად, შემდეგია:

- სახელმწიფო საიდუმლოების შეგნებული და მიზანმიმართული გამჟღავნება;

- მოწოდება ლეგიტიმური (კანონიერი) ხელისუფლების დამხობის, მისი ძალისმიერი საშუალებებით შეცვლისაკენ;
- რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვ. შეუწყნარებლობის პროპაგანდა (ან: შეუწყნარებლობის წახალისება);
- მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევა, მისი პატივისა და ღირსების ხელყოფა და სხვ. (ამ მხრივ, სხვათა შორის, ჩვენს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია 2004 წელს მიღებულმა „საქართველოს კანონმა სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“, რომელშიც წერია: „ცილისწამება სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი დანაშაული არ არის“, „მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს მის შესახებ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა“ და სხვ.).

სიტყვისა და გამოსატვის, აგრეთვე ჟურნალისტიკის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების) თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით ასეა განსაზღვრული (თავი II. მუხლი 24):

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

არსებობს განსაკუთრებული (ფორსმაჟორული) გარემოებები (ომი, სტიქიური უბედურებები, სხვადასხვა ტიპის კატაკლიზმები...), როცა შესაბამისი კანონიერი სახელმწიფო სტრუქტურები კანონზე დაყრდნობითვე დროებით უშვებენ მოქალაქეთა ცალკეული უფლებების შეზღუდვასა და თვით აკრძალვასაც კი. ასეთი კანონიერი შეზღუდვები თუ აკრძალვები შეიძლება შეეხოს ჟურნალისტიკასაც.

სწორედ ამგვარ შეზღუდვებს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ყოველი ადამიანის უფლება ინფორმაციის თავისუფლად მიღება-გავრცელებასთან დაკავშირებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება „შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ (თავი II. მუხლი 24).

თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიდგომა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ორგანოა:

ა) **პრევენციული** (გულისხმობს გამოსაქვეყნებელი მასალის წინასწარ შემოწმებას ანუ ცენზურას და დამახასიათებელია ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემებისათვის).

ბ) **რეპრესიული** (ჟურნალისტს/საინფორმაციო საშუალებას უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები მოცემული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ, თუმცა, კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებს სასამართლოს წესით; დამახასიათებელია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემებისათვის).

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებითა და მასზე დაყრდნობით, ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციები ორიოდ სიტყვით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციები

1. უზრუნველყოს საზოგადოება მისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციით.
2. განიხილოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები. მიაწოდოს საზოგადოებას ალტერნატიული შეხედულებები, რათა პიროვნებას შეეძლოს გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება. შექმნას პლურალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო. ხელი შეუწყოს პიროვნების სოციალიზაციას (სოციუმში თავისუფალ ინტეგრირებას).
3. დაიცვას **ლეგიტიმური** პოლიტიკური სისტემა. ამასთან, იყოს ხელისუფლების მიუკერძოებელი ოპონენტი. დაიცვას პიროვნების საყოველთაოდ აღიარებული უფლებები. დაიცვას პიროვნება ხელისუფლების მხრიდან ძალმომრეობისაგან. ხელი შეუწყოს კონსტიტუციური პრინციპებისა და ნორმების განუხრელ დაცვასა და განხორციელებას.
4. მიაწოდოს საზოგადოებას იმდენი ცოდნა, რომ მას ჩამოუყალიბდეს თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის (თვითრეგულაციის) უნარი.
5. ხელი შეუწყოს ეკონომიკური სისტემის განვითარებას. რეკლამის მეშვეობით დააკავშიროს ერთმანეთთან გამყიდველი და მყიდველი.
6. იყოს განათლებისა და კულტურის გამავრცელებელი და პოპულარიზატორი (კულტურტრეგერი).
7. უზრუნველყოს „მომხმარებლის“ გართობა.

ყველა ამ ფუნქციის შესრულებისას ჟურნალისტიკა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი კანონიერი შემოსავლით, რათა დამოკიდებული არ იყოს ინტერესთა ზეგავლენებისაგან.

წყაროები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულვებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო ატივისცემასა და დაცვას; და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

გენერალური ასამბლეა აცხადებს

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების

ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლები

1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ მშობის სულისკვეთებით.

2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია — დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სევერენიტეტში.

3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

4

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გამკვება არ შეიძლება თვითნებურად.

10

ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.
2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავს ქვეყანაში.

14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.
2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედობისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

16

1. სრულასაკონებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.
2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.
3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.
2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებ ათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.
2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნების თავისუფალი განვითარებისათვის.

23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალოების უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცობულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.
2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი — ერთაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ.
2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური

ჯგუფის ურთიერთ გაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილი უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არვითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პიროვნებისათვის უფლებისა, ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

საქართველოს კონსტიტუცია

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.
3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. (ამოღებულია).

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრავო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუწაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1¹. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 34¹

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის

სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაცია

მიღებულია 1954 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო კონგრესის მიერ.

შესწორებები შეტანილია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე 1986 წელს.

მოცემული საერთაშორისო დეკლარაცია გამოცხადებულია პროფესიული ქცევის სტანდარტად იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც მოვლენების გაშუქების მიზნით მოიპოვებენ, ამუშავებენ, კომენტარს უკეთებენ და ავრცელებენ ახალ ამბებსა და ინფორმაციას.

1. ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტებისადმი საზოგადოების უფლების პატივისცემა ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა.
2. ამ მოვალეობის შესაბამისად, ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ახალი ამბების ობიექტური მოპოვებისა და გამოქვეყნების თავისუფლების პრინციპები; აგრეთვე, მიუკერძოებელი კომენტირებისა და კრიტიკის უფლება.
3. მოვლენების გაშუქების დროს ჟურნალისტი მოვალეა მხოლოდ ის ფაქტები გამოიყენოს, რომელიც პირადად მოიპოვა და შეამოწმა. ჟურნალისტმა არ უნდა დამალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები.

4. ჟურნალისტი მოვალეა გამოიყენოს ინფორმაციის, ფოტომასალისა და დოკუმენტების მოპოვების მხოლოდ ღირსეული მეთოდები.
5. ჟურნალისტი მოვალეა ყველაფერი გააკეთოს, რათა გაასწოროს ან უარყოს ინფორმაცია, თუ იგი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება.
6. ჟურნალისტი მოვალეა პროფესიულ საიდუმლოდ შეინახოს კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის წყარო.
7. ჟურნალისტი მოვალეა გაითვალისწინოს დისკრიმინაციის საფრთხე, რომელიც შეიძლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მოქმედების შედეგად დაემუქროს ადამიანს. ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა არ დაუშვას დისკრიმინაციის თუნდაც უნებლიე სტიმულირება, კერძოდ, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა რწმენის, აგრეთვე ეროვნული და სოციალური წარმოშობის მიხედვით.
8. ჟურნალისტი ვალდებულია მიუღებლად მიიჩნიოს პროფესიული ეთიკის შემდეგი დარღვევები:
 - პლაგიატობა.
 - განზრახ არასწორი ინტერპრეტაცია.
 - გამონაგონი (ჭორი), ცილისწამება, დიფამაცია (ვისიმე სახელის გასატეხი ცნობების – ნამდვილისა თუ გამოგონილის – გამოქვეყნება პრესაში), ცრუ ბრალდებები.
 - ქრთამის აღება ნებისმიერი ფორმით პუბლიკაციისა ან ინფორმაციის დამალვისათვის.

ჟურნალისტად ჩაითვლება მხოლოდ ის, ვინც თავის საქმიანობაში ზემოჩამოთვლილი პრინციპებით ხელმძღვანელობს. იცავს რა თავისი ქვეყნის კანონებს, ჟურნალისტი პროფესიულ საკითხებში მხოლოდ ჟურნალისტურ იურისპრუდენციას ცნობს, იგი გამორიცხავს ნებისმიერი ხასიათის ჩარევას მთავრობისა და სხვა პირების მხრიდან.

პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები ჟურნალისტიკაში

(იუნესკო, 1983 წელი)

საკონსულტაციო შეხვედრების შემდეგ, რომელიც 1978 წელს ჩატარდა იუნესკოს ეგიდით, გაერთიანდნენ პროფესიონალი ჟურნალისტების საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, რომელთა რიგებში 400 000 ჟურნალისტიცა.

მეორე საკონსულტაციო შეხვედრამ (1980 წელს მეხიკოში) სრული მხარდაჭერა გამოუცხადა **იუნესკოს** დეკლარაციის იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც ეხებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წვლილს მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და ადამიანის უფლებების განვითარების საქმეში, აპარტიდის, რასიზმისა და ომისადმი მოწოდების წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, შეხვედრაზე მიიღეს “მეხიკოს დეკლარაცია“, რომელიც მოიცავდა ჟურნალისტური ეთიკის ეროვნულ და რეგიონალურ კოდექსებში მოქმედ პრინციპებს, აგრეთვე, სხვა საერთაშორისო და სამართლებრივ დებულებებს.

1983 წელს პარიზსა და პრადაში მე-4 საკონსულტაციო შეხვედრამ აღნიშნა **იუნესკოს** დეკლარაციის უცვლელი ფასეულობების შესახებ, კერძოდ: “სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება, – ადამიანის უფლებათა უმნიშვნელოვანესი შენაძენი, – მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია“. შეხვედრაზე აგრეთვე აღინიშნა ის უდიდესი როლი, რომელსაც ინფორმაცია დ კომუნიკაცია ასრულებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

შეხვედრაზე შეიმუშავეს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის პრინციპები, რომლებიც გამიზნულია პროფესიული ორგანიზაციების დამოუკიდებელი განვითარებისთვის.

I პრინციპი

მოქალაქეთა უფლება სარწმუნო ინფორმაციაზე

ხალხს მოლიანად და, კერძოდ, მოქალაქეებს უფლება აქვთ, სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის საშუალებით იღებდნენ სინამდვილის ობიექტურ სურათს, აგრეთვე, გამოხატავდნენ საკუთარ აზრს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორც ურთიერთგაგებისა და კულტურული გაცვლის საშუალებას.

II პრინციპი

მოვლენების ობიექტური გაშუქება ჟურნალისტის მოვალეობაა

ჟურნალისტის უპირველესი ამოცანაა, მოვლენების სამართლიანი ასახვით უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლება სარწმუნო და ობიექტურ ინფორმაციაზე, როდესაც ფაქტები შექდება საკუთარ კონტექსტში, სხვადასხვა მოვლენებთან კავშირების მინიშნებით, დამახინჯების გარეშე და შემდეგ ჟურნალისტის მიერ შემოქმედებითად გადამუშავებული. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოება სარწმუნო ინფორმაციის საშუალებით იღებს მიმდინარე მოვლენის რეალურ სურათს, სადაც მოვლენათა ფესვები და ბუნება, განვითარების პროცესი და ფაქტების დღევანდელი მდგომარეობა მაქსიმალურად ობიექტურად იქნება ასახული.

III პრინციპი

ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობა

ჟურნალისტიკაში ინფორმაცია აღიქმება არა როგორც მოსახერხებელი რამ, არამედ როგორც სოციალური სიკეთე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტი პასუხისმგებელია მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე არა მარტო იმ პირების წინაშე, რომლებიც აკონტროლებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არამედ მთლიანად საზოგადოების წინაშე. მან უნდა გაითვალისწინოს სოციალური ინტერესების მთელი სპექტრი. სოციალური პასუხისმგებლობა ჟურნალისტისაგან მოითხოვს ნებისმიერ სიტუაციაში ეთიკაზე პირადი წარმოდგენის შესაბამისად იმოქმედოს.

IV პრინციპი

ჟურნალისტის პროფესიული პატიოსნება

ჟურნალისტიკის სოციალური როლი ამ პროფესიის წარმომადგენლებს პატიოსნების მაღალ სტანდარტებს უყენებს, იმ უფლების ჩათვლით, რომ ჟურნალისტმა არ შეასრულოს სამუშაო თავისი რწმენისა და პრინციპის წინააღმდეგ, დაიცვას ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობა, ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღებაში. პროფესიული პატიოსნება ჟურნალისტს უკრძალავს მიიღოს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურება ვისიმე კერძო ინტერესის სასარგებლოდ, თუკი ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

პროფესიული პატიოსნება აგრეთვე გულისხმობს პატივისცემას ინტელექტუალური საკუთრების მიმართ, კერძოდ, პლაგიატის მიუღებლობას .

V პრინციპი

ინფორმაციის საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მონაწილეობა

პროფესიის ბუნება მოითხოვს ჟურნალისტიკისაგან უზრუნველყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეების მონაწილეობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობაში, უარყოფისა და პასუხის უფლების ჩათვლით.

VI პრინციპი

პირადი ცხოვრებისა და ღირსების პატივისცემა

ჟურნალისტიკის პროფესიული სტანდარტების განუყოფელი ნაწილია მოქალაქეთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის, ცილისწამების, შეურაცხყოფისა და დიფამაციის აკრძალვის სფეროში, საერთაშორისო და ეროვნული უფლებების დაცვის დებულებათა შესაბამისად, პირადი ცხოვრებისა და ადამიანური ღირსების პატივისცემა.

VII პრინციპი

საზოგადოებრივი ინტერესების პატივისცემა

ჟურნალისტიკის პროფესიული სტანდარტები გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესების, მისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი მორალის პატივისცემას.

VIII პრინციპი

საყოველთაო ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა

ჭეშმარიტი ჟურნალისტი იცავს ჰუმანიზმის საყოველთაო პრინციპებს, პირველ ყოვლისა, მშვიდობას, დემოკრაციას, ადამიანის უფლებებს, სოციალურ პროგრესს, ნაციონალურ თავისუფლებას; ამავე დროს პატივს მიაგებს თითოეული კულტურის განსხვავებულობას, ფასეულობებსა და მიღწევებს, როგორც თითოეული ადამიანის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემა. ამ მიზნით ჟურნალისტი აქტიურად მონაწილეობს სოციალურ გარდაქმნებში, საზოგადოების სრულყოფაში. მას საკუთარი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ურთიერთობებში ნდობის კლიმატის დამკვიდრებაში, ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობასა და სამართლიანობას, დაძაბულობის

შემცირების განიარაღების, ეროვნული განვითარების პოლიტიკას. პროფესიის ეთიკა ჟურნალისტისაგან მოითხოვს, იცოდეს საერთაშორისო კონვენციების, დეკლარაციებისა და რეზოლუციების შესაბამისი დებულებები.

LX პრინციპი

ბრძოლა ომებისა და სხვა უბედურებების წინააღმდეგ , რომლებიც კაცობრიობას ემუქრება

ჰუმანიზმის საყოველთაო ფასეულობების წინაშე ეთიკური ვალდებულებები მოუწოდებს ჟურნალისტს თავი შეიკავოს ნებისმიერი ფორმით აგრესიული ომებისა და გამაღებელი შეიარაღების (განსაკუთრებით, ბირთვული შეიარაღების) ან ომისაკენ მოწოდების, ნებისმიერი ფორმის ძალადობის, მტრობისა ან დისკრიმინაციის, კერძოდ – რასიზმისა და აპარტეიდის, ცალკეული რეჟიმების მხრიდან ტირანიის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, აგრეთვე, ისეთი უბედურებების, რომლებიც ემუქრება კაცობრიობას: სიღატაკის, შიმშილისა და ავადმყოფობის გამართლებისაგან. ამგვარად, ჟურნალისტს შეუძლია დაეხმაროს საზოგადოებას, რათა აღმოიფხვრას უნდობლობა ხალხთა შორის, გახადოს თავისი ქვეყნის მოქალაქეები სხვათა გაჭირვების მიმართ თანამგრძობი, უზრუნველყოს ერების, ხალხებისა და ცალკეული მოქალაქის უფლებისა და ღირსების დაცვა, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა, ეროვნებისა, რელიგიისა თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა.

X პრინციპი

ახალი მსოფლიო საინფორმაციო და საკომუნიკაციო წესრიგის განვითარება

თანამედროვე მსოფლიოში ჟურნალისტი მოღვაწეობს, ერთი მხრივ, ახალი საერთაშორისო ურთიერთობებისა და, მეორე მხრივ, ახალი საინფორმაციო წესრიგის პირობებში. წარმოადგენს რა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის წევრს, იგი მოწოდებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში დეკოლონიზაციისა და დემოკრატიისათვის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ახალი მოწყობის ბაზად უნდა იქცეს ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და კულტურული თვითმყოფადობისადმი სრული პატივისცემა. ჟურნალისტის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს ინფორმაციის დარგში საერთაშორისო ურთიერთობათა დემოკრატიზაციას, კერძოდ, დაიცვას და განავითაროს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება.

**კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო
დეკლარაცია**

(ნაწევრები)

2001 წლის 2 ნოემბერი

...ადასტურებს რა, რომ კულტურა უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოების ან სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ სულიერ, მატერიალურ, ინტელექტუალურ და ემოციური ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, და რომ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად, ის მოიცავს ცხოვრების სტილს, ერთად ცხოვრების უნარს, ფასეულობათა სისტემებს, ტრადიციებს და რწმენებს,

აღნიშნავს რა, რომ კულტურას ცენტრალური ადგილი უკავია იდენტურობის, სოციალური ერთიანობის და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების საკითხებზე ამჟამად მიმდინარე დებატებში,

ადასტურებს რა, რომ კულტურათა მრავალფეროვნების პატივისცემა, შემწეობა და ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში წარმართული დიალოგი და თანამშრომლობა წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიას,

ესწრავის რა უფრო მტკიცე სოლიდარობის დამყარებას კულტურული მრავალფეროვნების აღიარების, კაცობრიობის ერთიანობის გაცნობიერებისა და კულტურათშორისი გაცვლების გაძლიერების საფუძველზე,

მიიჩნევს რა, რომ გლობალიზაციის პროცესი, რომელსაც ხელს უწყობს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს გამოწვევას კულტურული მრავალფეროვნებისთვის, ქმნის კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის ახალი დიალოგის პირობებს,

აყალიბებს შემდეგ პრინციპებს და იღებს წინამდებარე დეკლარაციას:

თვითმყოფადობა, მრავალფეროვნება და პლურალიზმი

**მუხლი 1 - კულტურული მრავალფეროვნება: კაცობრიობის საერთო
მემკვიდრეობა**

კულტურის ფორმა იცვლება დროსა და სივრცეში. ამგვარი მრავალფეროვნება ვლინდება კაცობრიობის შემადგენელი ჯგუფებისა და საზოგადოებების უნიკალურობასა და მრავალგავრობაში. წარმოადგენს რა ურთიერთგაზიარების, ნოვატორობისა და და შემოქმედების წყაროს, კულტურული მრავალფეროვნება

ისევე აუცილებელია კაცობრიობისათვის, როგორც ბიომრავალფეროვნება – ბუნებისათვის. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას და აღიარებულ და შენარჩუნებულ უნდა იქნეს ამჟამინდელი და მომავალი თაობებისათვის.

მუხლი 2 - კულტურული მრავალფეროვნებიდან კულტურული პლურალიზმისაკენ

კულტურული პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, საუკეთესო პირობებს ქმნის კულტურული გაცვლებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც საზოგადოების მასაზრდოებელი რესურსია.

მუხლი 3 - კულტურული მრავალფეროვნება, როგორც განვითარების ფაქტორი

კულტურული მრავალფეროვნება აფართოებს არჩევნის შესაძლებლობებს, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია; ის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია და არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, არამედ ის წარმოადგენს საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს უფრო სრულყოფილ ინტელექტუალურ, ემოციურ, მორალურ და სულიერ არსებობას.

კულტურული მრავალფეროვნება და ადამიანის უფლებები

მუხლი 4 - ადამიანის უფლებები როგორც კულტურული მრავალფეროვნების გარანტია

კულტურული მრავალფეროვნების დაცვა წარმოადგენს ეთიკურ იმპერატივს, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან. ის მოიცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, განსაკუთრებით კი უმცირესობათა წარმომადგენელი და მკვიდრი ხალხების უფლებათა დაცვის ვალდებულებას. დაუშვებელია კულტურული მრავალფეროვნების მოტივით საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებებისთვის ზიანის მიყენება ან მათი გამოყენების სფეროს შეზღუდვა.

მუხლი 5 - კულტურული უფლებები როგორც ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას

კულტურული უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა განუყრელ ნაწილს, რომლებიც უნივერსალური, განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია... თითოეულ ადამიანს აქვს თვითგამოხატვის, შემოქმედების და მის მიერ შექმნილი ნაწარმოებების ნებისმიერ ენაზე, და განსაკუთრებით მშობლიურ ენაზე, გავრცელების უფლება; თითოეულ ადამიანს აქვს ხარისხიანი განათლების მიღებისა და პროფესიული მომზადების უფლება მისი კულტურული იდენტობის სრული პატივისცემის პირობებში; და თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში საკუთარი არჩევნით და დაიცვას თავისი კულტურული ტრადიციები ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6 - კულტურული მრავალფეროვნების ყველასთვის ხელმისაწვდომობა

იდეების როგორც სიტყვიერი, ისე გამომსახველობითი საშუალებებით თავისუფლად გავრცელებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ის, რომ ყველა კულტურა წარმოადგენდეს თვითგამოხატვისა და გავრცელების ობიექტს. კულტურული მრავალფეროვნების გარანტიას წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლება, საინფორმაციო საშუალებათა პლურალიზმი, მრავალენოვნება, მხატვრული შემოქმედების შესაძლებლობათა, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, მათ შორის ციფრული ფორმით, თანაბარი ხელმისაწვდომობა, და ყველა კულტურისთვის გამოხატვისა და იდეების გავრცელების საშუალებათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კულტურული მრავალფეროვნება და შემოქმედება

მუხლი 7 - კულტურული მემკვიდრეობა როგორც შემოქმედების წყარო

შემოქმედებას საფუძვლად უდევს კულტურული ტრადიციები, მაგრამ ის განვითარებას აღწევს სხვა კულტურებთან კავშირში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას კაცობრიობის გამოცდილებისა და მისწრაფებების ამსახველი მემკვიდრეობის ყველა მისი ფორმით, პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის გადაცემა, რათა ხელსაყრელი პირობები შეექმნას შემოქმედებას მთელი მისი მრავალფეროვნებით და დაიწყოს ნამდვილი დიალოგი კულტურათა შორის...

კულტურული მრავალფეროვნება და საერთაშორისო სოლიდარობა

მუხლი 10 - აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის გაძლიერება, რაც ყველა ქვეყანას, განსაკუთრებით კი განვითარებად და გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებს, საშუალებას მისცემს შექმნან მდგრადი და კონკურენტუნარიანი კულტურული ინდუსტრიები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 11 - სახელმწიფო სექტორს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პარტნიორობის განვითარება

მხოლოდ საბაზრო ძალებით შეუძლებელია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა, რაც ადამიანის მდგრადი განვითარების საკვანძო ფაქტორია. ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ უნდა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის გზით.

პუბლიცისტური ტექსტები

მიგელ დე უნამუნო ესპანეთის თანამედროვე მარაზმისათვის (ნაწევები)

ესპანეთის საზოგადოება ღრმა კრიზისს განიცდის; ამ საზოგადოების წიაღში ხდება შიდა შეთანხმებები, თანამდებობის პირთა ხშირი გადანაცვლება-გადმონაცვლება, ამას ემატება დაყოფა-დაქუცმაცებისაკენ ჩვენი მიდრეკილება და, ბოლოს, ყოველივე ეს უიმედო მარაზმითაა დაღდასმული. ასეთი კრიზისის ვითარებაში მხოლოდ ჭეშმარიტ ეროვნულ ხასიათს შეეძლო დაძაბუნებულ ერში გაეძლო და კიდევ გამოვლენილიყო, თუმცა არცთუ ცოტანი არიან უკვე ხრწნის სტადიაში...

თანდათან ვხვდებით, რამდენად გვაკლია შინაგანი თავისუფლება, რადგან გვეგონია, სრულად ვსარგებლობთ გარეგნული თავისუფლებით, თუკი არავინ გვიკრძალავს. ჩვენი დღევანდელი ესპანეთის საზოგადოება ერთიანად მოიცვა უზომო ერთფეროვნებამ და ერთსახოვნებამ, მანვე მიიყვანა იგი მოღუნებამდე, საშინელი უხამსობა ტყვიასავით დააწვა და გასრისა ყოველივე...

მართლაც რომ დამამცირებელ სანახაობას წარმოადგენს ჩვენი ესპანური საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა, მით უმეტეს, როცა მის გულისგულში ჩაიხედავ. ეს არის რაღაც საწყალობელი, ერთფეროვანი და უღიმღამო კოლექტიური შეგნება. მაგრამ ამაზე უფრო სავალალო ისაა, რომ ამ სულისშემხუთველ ატმოსფეროში ვისრჩობით; გარეგნული გაბღენძილობის გაუხეშებული ქერქის ქვეშ იმალება სიცარიელე, უზომო უფერულება და უხამსობა...

ერთი განათლებული ესპანელი ოდნავ თუ განსხვავდება მისი ბადალი კულტურული ევროპელისაგან, მაგრამ აბა ნახეთ, რა უზარმაზარი სხვაობაა რომელიმე ესპანურ სოციალურ ჯგუფსა და მისივე მსგავს უცხოურს შორის! და მაინც, საზოგადოება ატარებს თავის თავში თავისივე წევრების ყველა ნიშან-თვისებას. ჩვენი საზოგადოების, ისევე როგორც მასში შემავალი ცალკეული ინდივიდუუმების დამახასიათებელი თვისებაა მეტად შენელებული ფსიქიკური რეაქცია. იგი ძალზე გვიან იღებს რაიმე შთაბეჭდილებას, – თუმცა ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, აღქმის უნარი არცთუ ურიგო აქვსო, მაგრამ

სინამდვილეში ეს ზერელე აღგზნების მეტი არაფერია, – ასევე დაგვიანებით თავისუფლდება ამ შთაბეჭდილებისაგან. ჩვენ ვერც ახლის დროზე მიღებას ვასწრებთ და ვერც ძველთან დროზე განშორებას, იქნება ეს იდეა, ადამიანი თუ ჩვევა. ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი; ეს უფრო ხავსმოდებულ გუბესა ჰგავს, ვიდრე მჩქეფარე წყაროს, შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარხევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს. ასე რომ, ძილისმომგვრელი ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა. არსად არ იგრძნობა სივრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი, არ არის ახალგაზრდობა.

აი, რა არის საშინელი სათქმელი – არა გვეყავს ახალგაზრდობა.

ახალგაზრდები კი გვეყავს, როგორ არა, მაგრამ ახალგაზრდობა არა გვეყავს; არა გვეყავს იმიტომ, რომ ფარულმა ინკვიზიციამ და ბებრულმა ფორმალიზმმა გასრისა იგი. ევროპის სხვა ქვეყნებში დროდადრო მაინც გაიელვებენ ხოლმე ახალ-ახალი, თუნდაც უმეტესწილად ცთომილი ვარსკვლავები, გაელვებისთანავე რომ ქრებიან, თითო დღის კერპებიც გამოჩნდებიან და სეზონის გენიოსებიც. ჩვენში კი ვერც ამას ნახავ, სულ ერთი და იმავე ფრაკებში გამოწყობილი, ერთი და იგივე ფრანტები ირევიან.

იტყვიან, ცოცხალი და ნაყოფისმომცემი ყლორტები ჩვენშიც ამოიყრის ხოლმე, თუმცა შეიძლება ერთბაშად ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ ისეა მოსწორებული და მოტკეპნილი ნიადაგი, რომ ღრმად ჩაგდებული თესლი გაქვავებულ ზედაპირს ვერ ამოხეთქავს და ყინულს ვერ გატეხავს. ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც ლამის სიბერეში შედგა ფეხი, მაგრამ მაინც შემორჩა რწმენა, ძალა და ჭაბუკური ენთუზიაზმი, ამტკიცებს, ჩვენში ახალგაზრდები მარტო ოცდაათ წლამდე იძლევიან იმედს, მერე კი ნამდვილ ყვეყნებად გადაიქცევიან ხოლმე, უფრო სწორად – კი არ გადაიქცევიან, არამედ გადააქცევენო. მათ აშთობს ჩვენი ბრძანებას დამორჩილებული და ჩვენი სულელური გაფუყულობის უხეში და შეუვალი რუტინა. მათ ხომ კეთილმოსურნის თვალით, გამგებიანი მზერით არავინ შეხედავს; მაინცდამაინც სხვანაირები უნდათ რომ დაინახონ და არა ისეთები, როგორებიც არიან. ჩვენი შეუწყნარებლობის დახავსებული სული ვერაფრით ვერ შეგუებია იმას, რომ ყოველი ადამიანი თავისი არსისა და ბუნების თანახმად უნდა ვითარდებოდეს...

ახალგაზრდობისადმი ამ უსულგულო დამოკიდებულებას ემატება რადაცნაირი ცრუმორწმუნოებრივი სერვილიზმი მირონცხებულთა მიმართ. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით დაუზოგავად, გახელვებით გაგვეთელა და

მოგვეშთო ნორჩი ყლორტები, ამოგვეძირკვა ამონაყარიცა და ნორჩი ბუჩქებიც, მაგრამ ხელიც არ დაგვიკარებია ბებერი მუხის ფითრების, კოჟრებისა და კორძებისათვის, თითქოს დიდი წმინდა და ხელშეუხები რამ ყოფილიყო! რამდენი ახალგაზრდა დაუღუპავს ჩვენს საზოგადოებას აყვავების ხანაში...

ამას დაუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ერის სიღარიბის გამო ძალზე ჭირს ცხოვრებაში ფეხი მოიმაგრო და რაიმეს მიადწიო; ახალგაზრდები ძალიან გვიან წყდებიან დედის კალთას, გვიან ფრინდებიან ბუდიდან, მერე კი მთელ თავის დაზოგილ ძალებს პატრონის ძებნას ანდომებენ, ვინც ამ ყინულის სავანიდან თავს გააღწევენება.

ნიჭსა და ძალას არ ზოგავენ, ოღონდ თამაშიდან არ გამოიყვანონ, ქამელეონებივით იცვლიან ფერს, მორუხო-მონაცისფროდაც კი გადაიქცევიან, რომ გარემომცველ ფონზე არ გამოარჩიონ და ამას მშვენივრად ახერხებენ, მაგრამ როცა ასე აქტიურად აგუებენ თავს გარემოს და გარემოს კი თავის თავს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მართლა ეგუებიან; ისინი, უბრალოდ, პასიურად ესადაგებიან ვითარებას...

ჩვენ ისე მოვაშთობთ ხოლმე ახალგაზრდებს, არც კი ვეცდებით გავუგოთ, ვთხოვთ უკვე დადინჯებულები, ჩამოყალიბებულები და სრულქმნილები იყვნენ... ამასობაში თვითონ ახალგაზრდებიც ბერდებიან, უფრო სწორად, აღივსებიან ბებრული სულით, ჩამოყალიბდებიან, წელში მოიხრებიან, მწყობრში გასწორდებიან და წმინდანებივით კეთილზნიანებიც რომ გახდებიან, მერე უკვე შეიძლება ჩვენს საჭადრაკო დაფაზე პაიკებადაც განლაგდნენ, ხოლო თუ კიდევ გამგონე ბიჭებივითაც მოიქცევიან, მაშინ ეგებ რომელიმეს ლაზიერად გაყვანაც მოხერხდეს.

სადაც ახალგაზრდობა არ არის, იქ არც ერთიანობის ჭეშმარიტი სული ტრიალებს, ცხოვრების უკიდევანობა, ენერჯის უსაზღვრობა რომ ბადებს ხოლმე. კალაპოტში რომ ველარ ეტევა და ნაპირებზე გადმოდის; ჩვენშიც წარმოიქმნება საზოგადოებები, მაგრამ მაშინვე ქვაგდება, რადგან ურთიერთობის დამყარების უუნარობა ჩვენი ერთი მთავარი თვისებაა... ჩავეფლობით ჭაობში და მერე კიდევ გვიკვირს, სხვა ქვეყნებში ათასგვარი სკოლები და დაჯგუფებები რომ ჩნდება და ქრება, საიდუმლო კრებების, ჯგუფებისა და ჟურნალების ორომტრიალს რომ ვუყურებთ, სადაც ექსტავაგანტული გამოსდომების მიღმაც კი ცხოვრების მძლავრი ფეთქვა იგრძნობა...

აქ, ჩვენში, ყოველივე ჩაკეტილი და შემოზღუდულია. ამის ტიპური მაგალითი კი თუნდაც ჩვენი პერიოდული პრესაა. მწერალთა ძმობა თავისი ახალბედებითაც და ოსტატებითაც ერთგვარ ფალანგას წარმოადგენს, ძველი

მეომრების მსგავსად, თავზე ფარწაფარებულები მიჯრით რომ დგანან და კაცი ვერ შეადწევს მათს რიგებში, სანამ ერთგულების ფიცს არ დადებს, ანდა მათსავით აბგარ-აბჯარში არ გამოეწყო. პრესა ხომ ნამდვილი ხაესმოდებულნი გუბეა, მარტო თავის თავში და თავისთვის რომ ცხოვრობს. აკი დღეს რედაქციებში ჯერ სხვა რედაქციებზე ფიქრობენ და მერე – მკითხველზე. ჟურნალისტები მარტო ერთმანეთისთვის წერენ და მკითხველს სულაც არ იცნობენ, არ იცნობენ და არც ენდობიან. მდარე ხარისხის ლიტერატურამ წაღეკა პრესა, თვით საუკეთესო ჟურნალისტებიც კი უფრო ლიტერატორები არიან და ათასჯერ წაკითხულს ხელახლა გვაკითხებენ. ცოცხალი ამბის, პირდაპირ ქუჩაში, ჩვენს თვალწინ რომ ხდება, უშუალოდ აღქმის უუნარობაა მიზეზი, რომ ნამდვილი ჟურნალისტები არა გვყავს.

ბრჭყიალა რიტორიკული კოსმეტიკისა და დეკლარატიულობის მიზეზიც ესაა, მეტისმეტად დამტკბარ კოქტეილს რომ გვაგონებს. რეპორტიორი რედაქციაში ნამდვილი ხელზე მოსამსახურე ბიჭია. ჩვენი პრესა მთელი თავისი ავკარგიანობით უნდა შეისწავლო და როცა დაინახავ, ეს არის ჩვენივე საზოგადოების ზუსტი ასლი, შენდაუნებურად წამოიძახებ კიდევ, როცა გესმის, თუ რისთვის და როგორ ღანძღავენ:

სახე უნდა შეიცვალო, / ნუ აბრალებ სარკესაო.

ჭეშმარიტი სარკე ჩვენი ერთფეროვნების, იღბლის ძიების, ჩვენი მლიქვნელობის, ჩამორჩენილობისა და უხამსობის ანარეკლია. ეს კი ჩვენივე სულისშემხუთველი, დახავსებული გარემოსა და ერთხელ დადგენილი შეგნების ნაყოფია; ყველაზე მეტად კი – სასოწარმკვეთი პედანტიზმი.

ნაკლები სიზუსტე და პედანტიზმი და მეტი საფუძვლიანობა და მიზანდასახულობა! სიღინჯე და არა გაბღენძილობა! მაგრამ ყველაზე უფრო კი მაინც თავისუფლება, თავისუფლება! ოღონდ ნამდვილი თავისუფლება და არა ოფიციალური! რამხელა ზიანს გვაყენებს იმის შიში – საზოგადოების, ამ ხახადაღებული ურჩხულის წინაშე სასაცილონი არ გამოვჩნდეთ!

სასტიკი სიძულვილით გვძულს ყოველგვარი სიახლე და ბრწყინვალება, ყოველგვარი გონიერი და ცოცხალი; სამაგიეროდ, მშვენივრად შევირგებო ხოლმე, სერიოზულობით შეკაზმულ აბსურდს რომ მოგვართმევენ... ჩვენი პათოლოგიური სიძულვილით გვძულს ყოველგვარი უბრალო სამუშაო, უშუალო, ჩაღრმავებული და დაკვირვებული კვლევა-ძიება; თვით ყველაზე უფრო შრომისმოყვარე კაციც კი ცოდნის ერთგვარ საცავ-საჭურჭლედ გადაიქცევა ხოლმე ანდა ნეხვის ხოჭოსავით აგუნდავებს ყოველგვარ უკანასკნელ მეცნიერულ სიახლეს.

სულ იმაზე დაობენ, ვინ უფრო ადრე გაიგო და არა იმაზე, ვინ უფრო კარგად გაიგო; უფრო მიღებულია ის, ვინც უკანასკნელი მოვლენების საქმის კურსშია, ვინც პირდაპირ პარიზიდან მიიღო წიგნები, ჯერ სტამბის საღებავიც რომ არ შეშრობია...

რა საერთო აქვს ყველაფერ ამას ეროვნულ დვრიტასთან, ოდინდელობასთან? ბევრი. ეს არის ანგარიშსწორება ძველთაძველი, ეროვნული ისტორიული სულისა, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპეიზაციას. ეს გახლავთ ფარული ინკვიზიციის ნამოქმედარი. განსაკუთრებული ადამიანები, რომელთაც სხვა ეპოქაში შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ჩვენი წინსვლისთვის, ახლა ჩვენს დაკნინებას მოწმეებივით უყურებენ...

იდეალის გრძნობასთან ერთად გაქრა რელიგიური გრძნობაც და, ალბათ, ხალხის წიადშიდა თვლემს. ნეტავი ეროვნული სულის რომელ კუნჭულში გაიტრუნა ის რელიგიური იდეალი, ასე რომ ჩქეფდა მისტიკაში და თავისუფლების სანუკვარ ლტოლვას აღვივებდა მაშინ, როცა ერს სიცოცხლე სწყუროდა?! და დღემდე შემოგვრჩა ნაკლები შინაგანი თავისუფლება, ვიდრე ჩვენი განთქმული ფანატიზმის ეპოქაში გვქონდა; წმინდა ინკვიზიციის პროკურორები და მოხელეები ერთ შფოთს ატეხდნენ ხოლმე ჩვენი სერთუკიანი ეპისკოპოსებისა და ჩვენი საერო ცენზურის ბარბაროსობაზე. ეს ადამიანები, რომელთა სულში მთელი სიცოცხლის მანძილზე არც ერთხელ არ ანთებულა რელიგიური გრძნობის ნაპერწკალი, სახეზე ხელებს იფარებენ, გაფარჩხულ თითებს შორის იჭვრიტებიან, იმანჭებიან და გაჰკივიან: „– წაბილწეს!“ აჰ!

საქმე ის არის, რომ ჩვენი ექსპანსიისა და გავლენათა გავრცელების ხანაში, როცა ჩვენი ოდინდელი ერი მთელს ქვეყნიერებაზე შლიდა კარგებს, იგი ღია იყო ყოველი მხრიდან მონაბერი ქარისთვის.

მაშინ კასტილიური სულის სილიადე ის იყო, რომ იგი იღვა ქართა გზაჯვარედინზე და ამიტომაც გავრცელდა მთელს დედამიწაზე, მერე კი თავის ნიჟარაში ჩაძვრა და აქამდე სძინავს. სანამ ერი ნაყოფიერი იყო, საკუთარი თავი ვერ შეიცნო, როგორც ასეთი, თავისი სხვადასხვაობის გამო. მისი რღვევა იმ დღეს დაიწყო, როცა ყვირილით „ჩემი მე! ჩემს მე-ს მართმევენ!“ მან მოინდომა საკუთარ თავში ჩაკეტილიყო.

ეგებ ყველაფერი იღუპება? არა, ესპანეთის მომავალი თვლემს ჩვენი ისტორიული საზოგადოების სიღრმეში, ინტრაისტორიაში, შეუცნობელ ხალხში და იგი მანამდე არ გაიღვიძებს, სანამ ევროპიდან მონაბერი ქარი თუ ქარაშოტი არ გამოაფხიზლებს...

არიან ხალხები, რომელთაც თავიანთი ეროვნული ჭიპის ჭვრეტისაგან ჰიპნოზური ძილი ეუფლებათ და არარასლა ჭვრეტენ. თავადვე ვგრძნობ, რომ ძალა აღარ შემწვეს ეს აზრი ისე გამოეხატო, როგორც მინდა, როგორც ჩემს გონებაში დაცურავს გარკვეული კონტურების გარეშე, თან მეტაფორების დახვევებასაც ვერიდები, ოღონდ კი მკითხველის სულამდე მივიტანო ის აზრი, რომ ხალხის სიღრმისეული და უსაზღვრო ინტრა-ისტორიული ცხოვრება, როგორც კი ე. წ. ისტორიული კლასები ფეხქვეშ მოიგდებენ და გათელავენ, თითქოს ჩაკვდება ხოლმე, მაგრამ კვლავ მოიკრებს ძალას, გამოცოცხლდება, გახალისდება გარე სამყაროსთან კავშირში. მე ვისურვებდი, მთელი ძალით შემეგონებინა მკითხველისთვის ეს აზრი – როცა ხალხის დაუოკებელ მასასა და რეგიონებს სიცოცხლისკენ, ცხოვრებისკენ მოუწოდებთ და ვაფხიზლებთ, ამავე დროს, ერთად, შეთანხმებით, ფართოდ უნდა გავაღოთ სარკმელი ევროპის მინდვრებისკენ, რათა ჩვენს სამშობლოს დაუბეროს მაცოცხლებელმა ნიავმა, ჩვენ უნდა გავაევროპულოთ ჩვენი თავი და გავითქვიფოთ ხალხში, ამ დროს ხალხში, რომელიც ცხოვრობს ისტორიის მიღმა, მაგრამ არის ყველა კასტის საყრდენი, მისი პროტოპლაზმა...

უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისდათავადნი და დაე, მოვარდეს გარედან შმაგი თქეში, გვესხუროს მაცოცხლებელი წვიმა...

სავალალოა, რომ ესპანეთში ხალხი არის ამომრჩეველთა და გადასახადის გადამხდელთა მასა. რაკი იგი არ უყვართ, არც სწავლობენ, და რაკი არ სწავლობენ, არც იცნობენ, რომ შეიყვარონ...

ღმერთმა ინებოს, ნამდვილმა ახალგაზრდობამ, თამამმა და თავისუფალმა, გაგლიჯოს ყულფი, ყელში რომ გვაქვს წაჭერილი და გვახრჩობს; ბოლო მოუღოს ამ ერთფეროვნებას, ამ გამაუსახურებელ ერთფეროვნებას, გულით მოეკიდოს ხალხის შესწავლის საქმეს, ხალხისა, რომელიც არის ჩვენი ყველას საყრდენი, თვალი და ყური მიაპყროს პირენეის მიღმურ გავლენებს და არ ჩაიკეტოს ტრადიციული ისტორიის ნიჟარაში, მეტისმეტად არ ჩაებლაუჭოს თავის ეროვნულ განსაკუთრებულობას, მაცოცხლებელი წვიმით განბანოს ახალგაზრდა კოსმოპოლიტური [წაიკითხე: ინტერნაციონალური] იდეალები, ინტრა-ოდინდელი სული, რომელსაც სძინავს და ელოდება გაღვიძებას.

1895 წელი

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

წიგნში: მიგელ დე უნამუნო. სულის სიღრმეში. თბ.: 1994, გვ. 3-43

მიგელ დე უნამუნო ანტიპოლიტიკოსები

კანარის კუნძულებზე რომ ვიყავი, წარმოიდგინეთ, ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, თუ რამდენად ხშირად და რანაირი კილოთი მეუბნებოდნენ ჩემი თანამოსახლებულები: „უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, რომ მე პოლიტიკოსი არ გახლავართ“. თან ამ სიტყვებს იმგვარად წარმოთქვამდნენ, თითქოს ან უთქმელი ბრალდებისაგან იცავდნენ თავს, ან კიდევ ჯერ ჩემი აზრი უნდოდათ გაეგოთ. ლამის ყოველ ნაბიჯზე მესმოდა: „ისა? ის ხომ პოლიტიკოსია!“ იქ, კანარის კუნძულებზე, პოლიტიკოსებზე ჩვეულებრივად ისე ლაპარაკობენ, გეგონებათ, ისინი განსაკუთრებული ჯურისა თუ არა, ძალზე უსიამოვნო საქმეს შეჭიდებული ადამიანები იყვნენ. ბევრს, – ბევრს კი არა, უმეტესობას, – თავიც კი მოაქვს პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულებით.

მე რომ მკითხოთ, ეს ერთი ყველაზე დიდი ბოროტებაა, რაც კანარის კუნძულებზე ხდება – ამ უმშვენიერეს, მაგრამ არც იმდენად ბედნიერ ქვეყანაში, რისი ღირსიც არის სინამდვილეში.

ეს ბოროტებაა სწორედ აქაც, ჩვენს ესპანეთში რომ გვტანჯავს, თუმცა, საბედნიეროდ, უკვე გამოკეთების პირი გვიჩანს. ეგრეთ წოდებული ნეიტრალების, ამ საზიზღარი ნეიტრალების რიცხვი, საყოველთაო ბრძოლის მიმართ ასეთ გულგრილობას რომ იჩენს, თანდათან კლებულობს.

მართალი გითხრათ, დიდად არა ვარ აღფრთოვანებული ამ დემოკრატიებით, მაგრამ ახლა ეს უკვე გარდაუვალია. როგორც ვხედავ, დემოკრატია რაღაცნაირად თითქოს ომსაცა ჰგავს, ცივილიზაციასაც ანდა თვით არსებობასაც კი!.. რაღაც გარდაუვალი ბოროტებაა და ეგ არის. ან უნდა აღიარო, ან არადა – დაიღუპო. დემოკრატია გაცილებით მეტ ვალდებულებებსა და მოთხოვნებს გვიყენებს, ვიდრე პრივილეგიებსა და უფლებებს გვიწყალობებს. პირველი, რასაც იგი გვაკისრებს, არის ჩვენივე დაინტერესება და ჩვენივე მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში, რასაც *res publica*-ს [ლათ. „საერთო საქმე“] ვეძახით.

„პირადად მე მთავრობა არაფერს მარგებს!“ – აი, რა სტერეოტიპულ სულელურ ფორმულას აიფარებენ ხოლმე არცთუ მცირერიცხოვანი ეგოისტები და სხვა მუქთახორები, როცა მათ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ ხოლმე. ვერ შეუგნიათ, რომ თუკი მთავრობა არაფერს აძლევს, მაშინ რაღაცას ართმევს და ართმევს კი სწორედ ცხოვრებისაგან განდგომის გამო. ის, ვინც აგდებულად უყურებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, აქტიური

ამომრჩეველი იქნება ის, თუ რომელიმე პარტიის წევრი, მიტინგებსა და კრებებს რომ ესწრება, – მას არცა აქვს უფლება დაიჩივლოს, კანონით გათვალისწინებული თუ თვითონ მთავრობისაგან მომდინერე დადგენილება ჩემს ინტერესებს ბღალავსო.

მოქალაქისათვის პირველი და აუცილებელი პირობაა მოქალაქეობრიობა და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი სამშობლო, ჭეშმარიტი სამშობლო რომ ჰქვია, სადაც მოქალაქეებს პოლიტიკური პრობლემები არ აწუხებდეთ.

კანარის კუნძულებზე კი სწორედ ეს დავინახე, ყველაზე დიდი პოლიტიკური პრობლემებისადმი საყოველთაო გულგრილობა და ამან განმაცვიფრა და გული მატკინა... ვერც იმ პატარ-პატარა ჯგუფებისა გავიგე ვერაფერი, ადგილობრივი პოლიტიკოსები რომ ქმნიან... მათ ისეთი პიროვნებებიც ეტმასნებიან ხოლმე, რომლებიც მარტო იმაზე ფიქრობენ, როგორმე დაიკავონ და საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ საზოგადოებრივი მდგომარეობა. „აი, როგორია თქვენი პოლიტიკა!“ – გამარჯვებული სახით მეჩინებოდა ერთი ასეთი თავგამოდებული ანტიპოლიტიკოსი. მე კი ამაზე ვპასუხობდი: „რაღა თქმა უნდა, ეს არც არის პოლიტიკა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ესაა უვარგისი პოლიტიკა, ხოლო დამნაშავენი, ეს ყველაფერი რომ ხდება, თქვენა ბრძანდებით; თქვენ, ვინც განზე დგომას ამჯობინებთ“...

ესპანეთში უკვე გამოჩნდა ქალაქები, სადაც მართლაც რომ საჭირბოროტო პოლიტიკური პრობლემების დასმა დაიწყეს. ქალაქებში პოლიტიკური ბრძოლა უკვე აღარ არის ცალკეულ პიროვნებათა და პირადი ინტერესებისათვის ბრძოლა... სწორედ ახლა ესპანეთი შევიდა თავისი ყველაზე უფრო მაღალი პოლიტიკური გამოცოცხლების სტადიაში კანალეხასის მოღვაწეობის წყალობით და ამ გამოცოცხლების ცენტრი ჩვენს დროში გახლავთ ჩემი მშობლიური ქალაქი ბილბაო. აკი ბასკები ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოლიტიკურად აქტიური ხალხია ესპანეთში და მათ შორის ყველაზე ნაკლებია ნეიტრალეები. აქ ერთ მხარეს მემახტეები იფიცებიან და სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვენ, მეორე მხარეს კათოლიკეები ჯანყდებიან დღევანდელი მთავრობის მიერ გატარებული ანტირელიგიური ზომების წინააღმდეგ. ერთიცა და მეორეც არცთუ მცირე მნიშვნელობის გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის.

ერთი და ლამის ერთადერთი მოსაზრება, მაღაროს მეპატრონეებს რომ მოჰყავთ იმისათვის, რათა არ დააკმაყოფილონ მუშათა მოთხოვნები, ის გახლავთ, რომ დათმობა დამამცირებელი იქნება და მუშათა აჯანყებების პოლიტიკურმა წამქეზებლებმა შეუწყვეს ხელიო, რომლებსაც მეპატრონეები გადამთიელებლად ნათლავენ. დამცირებაზე ლაპარაკი პირადად მე არ მესმის. შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლა კი ისეთივე ომია, როგორც სხვა ნებისმიერი ომი, ხოლო პრინციპმა

– „დანებებას სიკვდილი ჯობს!“, რაც უნდა გმირული გვეჩვენებოდეს, ომში შეიძლება ყველაზე უარესი შედეგები გამოიღოს. პოზიციის დათმობა სულაც არ ნიშნავს დამცირებას.

გაფიცვა სხვა არაფერია, თუ არა საჭირო გარიგება და ჭკვიანი მეპატრონე, რომლის გონება ქედმაღლურ კუდაბზიკობას არ დაუბნელებია, გაიანგარიშებს, რა ზარალი შეიძლება მიაყენოს მას გაფიცვამ, გამოარკვიოს, რა მოგება შეიძლება დააკარგონ მუშებმა თავიანთი მოთხოვნებით და, აქედან გამომდინარე, დაასკვნის, ღირს თუ არა დათმობა. განა ყოველ წელიწადს სამი ათასი პესეტის დაკარგვა არ ურჩევნია ერთბაშად ასი ათასის დაკარგვას? საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ამისთანა შემთხვევაში თავმოყვარეობას დიდი ფასი არა აქვს...

ჩვენს ბატონ კაპიტალისტებს წარმოუდგენიათ, რომ ბრძოლა მათსა და მუშებს შორის მიმდინარეობს და რომ ჩვენ, ყველა დანარჩენი მოქალაქეები მხოლოდ მაყურებლის როლს ვთამაშობთ და მეტი არაფერი. აი, რა დიდებული წარმოდგენაა სოციალურ სოლიდარობაზე!

„აბა, თქვენ რა ხელი გაქვთ ყველაფერ ამასთან? რატომ ეჩხირებით იქ, სადაც არ გეპატიუებიან?“ – ამისთანა სიტყვებს არცთუ იშვიათად გაიგონებთ და ეს არის კიდევაც ანტიპოლიტიზმის კვინტენსია.

ღიას, ყველას უნდა გვეჩინდეს ხელი ყველაფერთან და ეკონომიკური ბრძოლაც პოლიტიკური ბრძოლაა, თან ისეთი ბრძოლა, უკლებლივ ყველას რომ ეხება. მეპატრონესა და მის მუშებს შორის კონფლიქტი მათი კერძო საქმე არ არის, ეს მთელი საზოგადოების საქმე გახლავთ. კონფლიქტის მოგვარება მთელს სოციალურ ეკონომიკაზე ახდენს გავლენას...

ქრისტეც და სახარებაც პოლიტიკურია... როცა პურისა და თევზის სასწაულის შემდეგ იუდეველთ უნდოდათ ქრისტე მეფედ გამოეცხადებინათ, „იგი განეშორა მათ და წარვიდა მთად ხოლო მარტო“. მერე კი ფარისევლებმა გამოსაცდელად რომ ჰკითხეს – „ჯერ არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არაო“, მან მიუგო: „მიჩვენეთ მე დრაჰკანი იგი ხარკისად. ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი და ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილი? ჰრქუეს მათ: „კეისრისაო“. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: „მიეცით კეისრისაი კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“ (ანუ მიეცით მონარქსა ან რესპუბლიკას ის, რაც მას ეკუთვნის – დრაჰკანი, რომელზედაც ამოტვიფრულია პროფილი, სიმდიდრე, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რაც ფული არ არის, მიეცით მას, ვისაც თქვენი სიმდიდრე არ სჭირდება, ღმერთს). და ბოლოს, როცა იესო ჯვარს აცვეს, დაცინვით წააწერეს: „ესე არს იესუ, მეუფეი ჰურიათაი“. მაგრამ არც ერთი ლეგენდა არ გვიდასტურებს, რომ ქრისტეს მიერ ცოდვის გამოსყიდვა ღრმად და საგანგებოდ პოლიტიკური მოქმედება არ იყო. რელიგიის

გამოყოფა პოლიტიკისაგან ისეთივე დიდი სისულელეა (თუ მეტი არა), როგორც ეკონომიკის გამოყოფა პოლიტიკისაგან. მარტო კათოლიციზმი კი არა, მთლიანად ქრისტიანობა და საერთოდ ყოველგვარი რელიგიაა პოლიტიკური...

განა ჩვენი მოუქნელობა, ეს ჩვენი განთქმული მოუქნელობა არ არის მიზეზი, რომ პოლიტიკას მოქმედების ასეთი შემოზღუდული არე მივაკუთვნეთ?! პოლიტიკა პროფესია არ არის; პოლიტიკა გაგების ფორმაა, ნებისმიერი პრობლემის დასმა და გადაჭრაა. პოლიტიკა ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემის გარსია. პოლიტიკა ეკონომიკური, პოლიტიკა რელიგიური, პოლიტიკა სანიტარულ-ჰიგიენური, პოლიტიკა კულტურული – ყველა საკითხი, რომელიც კი კაცობრიობის წინაშე დგას დემოკრატიის პერიოდში.

იმის მტკიცებაც შეიძლება, რომ ყველაფერი ის, რაც კი ათენისა და მთელი საბერძნეთის სამარადისო დიდებად იქცა, პოლიტიკა იყო; პლატონის ფილოსოფია, პინდარეს ლირიკა, ეაქილეს ტრაგედიები, თუკიდიდეს ისტორიული თხზულებები, რომ არაფერი ვთქვა დემოსთენის მჭევრმეტყველებაზე, დიას, ყველაფერი ეს პოლიტიკა იყო. ბერძნული დემოკრატიები, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, პოლიტიკური სკოლები იყო, ისევე როგორც – იტალიური რესპუბლიკები. **სადაც ხალხი პოლიტიკისადმი ინტერესს ჰკარგავს, იქ უთუოდ დაცემის გზას დაადგება მეცნიერებაც, ხელოვნებაც და ხელოსნობაც კი.**

რასაკვირველია, არც უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ პოლიტიკურ გამოცოცხლებაში, მეცნიერული დოქტრინის წარმოშობის გარეშე. თვით პოლიტიკური გამოცოცხლება წარმოშობს დოქტრინას, ბოლოს და ბოლოს.

მართლაც პოლიტიკური ციებ-ცხელების დროს ისე ჩანს ხოლმე, თითქოს ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა, ყველაფერი ჩრდილში მოექცევა ანდა განვითარებას შეანელებს. თითქოს გახურებულ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაფლული სულელები კარგავენ ყოველგვარ ინტერესს ცხოვრებისა და კულტურის სხვა პრობლემებისადმი. მაგრამ ეს პრობლემები ღვივდება პოლიტიკური გამოცოცხლების პროცესში და შემდეგშიც კი.

და მე არ მომბეზრდება იმის გამეორება, რომ **პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თვალთახედვით წერტილია, როცა გინდათ რაიმე პრობლემას პირდაპირ სახეში შეხედოთ.**

მეორეს მხრით, ცხადია, რომ შეიძლება დაინტერესდე და აქტიურადაც ჩაება პოლიტიკაში და, ამავე დროს, შენი ქვეყნის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდე...

პირადად მე გაუბედავ და ჩემს თავს იმ ესპანელების რიცხვს მივათვლი, ვინც ყველაზე მეტად იყო ჩაბმული პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩვენთან, ჩვენს

სამშობლოში, მაგრამ არც ერთ პარტიაში არ იყო გაერთიანებული. იმასაც ვითვალისწინებ, რომ ეს არ შეიძლება ყველა შემთხვევაში გამოდგეს მაგალითად. მაგრამ პირადად მე მოქმედების თავისუფლებას მაინც მაძლევს.

ანტისოციალური – ანდა, ყოველ შემთხვევაში, არასოციალური – განწყობილებანი, ამ ფრაზას რომ იშველიებენ: „მთავრობა მე არაფერს მარგებსო!“, აი, ამას კი უნდა მოვუღოთ ბოლო. ყველა ქვეყნის მთავრობები ყველა ქვეყნის მოქალაქეს, რომელთაც ისინი მართავენ, ბევრსაც აძლევენ და ბევრსაც ართმევენ – როგორც წესი, ართმევენ უფრო მეტს, ვიდრე აძლევენ. ხოლო იქ, სადაც მძაფრი პოლიტიკური ცხოვრება არ არის, კულტურაც ზედაპირული გახდება ხოლმე და თავის ფესვებსაც სწყდება.

1911 წელი

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

წიგნში: მიგელ დე უნამუნო. სულის სიღრმეში. თბ.: 1994, გვ. 62-76.

ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ წინასიტყვაობა (I)

ჟურნალ-გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირებული ჩვევა. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს, პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თავისი დედა-აზრი, თავისი მიმართულება, აღწუსოს ყოველი ის, რითაც უპირებს გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზრდილი საზოგადოებაც, დაინახავს ახალ გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია, რომ პირველს ნომერშივე იპოვის რედაქციის აღსარებას მასზედ, თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალს გაზეთსა; რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა გამოძიებაში; რა თვალთ განიხილავს ყოველს მას, რასაც ჩვენი თუ სხვისი ცხოვრება თავისს დაუდგრომელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გვპირდება და რას გვიქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და პატივსადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვის თავისი ყურადღება. მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხოდაც მოგვაჩნია. ამ შემთხვევაში პასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს, – და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია, ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ, – ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი – ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვის კიდეც – სულელობა გამოვა, ჰეინესი არ იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის, რომ კაცმა თავი იტკინოს და იმ ზემოსხენებულს ჩვეულებას თავიდან ბოლომდე მიეცეს. გაზეთის საქმე დროთა მიმდინარეობისაა. დროს დავაცალოთ მის თქმა, რის მოლოდინიცა აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ჩვენ დღეს მარტო ზოგიერთს ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მასზედ, თუ გაზეთ-ჟურნალობა რა ღონეა, რა ძალა, რა ფარ-ხმალია ადამიანისათვის ცალკე

და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მაგის ასპარეზზედ გამოვა და რა მოვალეობასა სდებს კისრად.

ჟურნალ-გაზეთობა არის ერთ-გვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუდილშია, ფეხ-შეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუდილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალ-წინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, – როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდანაც ეს დედა-აზრნი ისევე ცხოვრებაში უნდა გამოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგან შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით – ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაი-ვგავლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარგიანობა, ვითარება გადისატოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ.

ამ-სახით, ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა.

როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება.

როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის

ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაო საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს.

ამ ორ-გვარს დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვადასხვა საზოგადოებაში, და ერთსავე და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ისტორიულს დროს. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალი და ხალისი თვითცნობისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა საზოგადოების გამჭრიახობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გამომეტყველია, ასპარეზია სხვადასხვა ცხოვრების კავშირთა და ძალთა ბრძოლისა. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელი-ხელს გაყრილნი მიდიან, ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვაველითა ჰფენს. არის კიდევ დრო და საზოგადოებაო, მეტყვი მკითხველო, საცა ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ღანძღვა და თრევაა. ეგეც არის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, საცა წერილია, იქა წყდება ხოლმე. ეს ეგება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს.

ეს სხვადასხვა-ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედების ძალა მილეულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან ფეხი უნდა აუდგას თვითმოქმედების ძალსა, მან უნდა ალაღვინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. იმ ქვეყანაში-კი, საცა თვითმოქმედების ძალი საზოგადოებისა აღორძინებულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მის გამო ცხოვრება დუღს და სჩქეფს, – იქ ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომძახელია, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა.

ხოლო ამას კი დაეუმატებთ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, განვიმეორებთ, რომ ცხოვრება, რაც უნდა უძღური, მიმკვდარი და უღონო იყოს, იმოდენად ღირს-შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორც უნდა იყვეს ცხოვრება, ძლიერი თუ უძღური, მაღალი თუ მდაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის აკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ უნდა მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ ექნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ – ყოველგან და ყოველსფერში ჟურნალ-გაზეთმა უადრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა.

ზემოსხენებული აზრები რომ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მწიგნობრობას მივმართოთ, ადვილად გამოსაცნობია, რა გზა უნდა ამოირჩიოს ჩვენში ჟურნალმა თუ გაზეთმა.

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, – აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამა.

დრომ გამოაჩინოს, რამოდენად შევძლებთ იმ საქმეს, რომლის კისრად აღება ჩვენ დღეს გაგებდეთ.

რადგანაც ჟურნალ-გაზეთი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში უნდა მოქმედობდეს და იმ ყოფა-ცხოვრების საკეთილოდ იღვწოდეს, ამის გამო ადამიანი, ცალკე – როგორც კერძო პირი და ერთად – როგორც საზოგადოება, ხელშეუხებლად ვერ გადურჩება გაზეთსა. იმ გაზეთს თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი პატივისცემა და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას. ეგ პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა. ხოლო პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი

ადამიანს პირმოთნეობით უნდა ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სწეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხავს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად აქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად ჰსცნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩელედ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გემართებსო?

ძნელია ესე ყოველისფერი, ჩვენო მკითხველო, მაგრამ მაგ სიძნელეშია ის საწყაოც, რომლითაც უნდა აიწყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწყო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანაგრძნობა, შენი პირუთვნელი პატივისცემა და შენი უანგარო სიყვარული.

3 მარტი. 1877 წელი.

წიგნში: ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. III. თბ.: 1953, გვ. 255-260.

ილია ჭავჭავაძე
დავით აღმაშენებელი

არ ვიცით, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზაას, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტკერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიდას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰმორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს.

ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, – ამბობს ბრძენი სენეკა, – იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია (ახალი სტილით 8 თებერვალი). ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და აღიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების კაცისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-და დიდ-ბუნებოვანება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა სცემდა! ჩვენს მატთანებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატთანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით

აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს: „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავესე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი გორი, სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შეება“.

ვარდან დიდი წერს: „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ღოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომეხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. – მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა წერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრიტურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ღოცვას და თვით ყურანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუეძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტათვის, რომელთაც უღუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავესებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა

კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

პირველნაბეჭდი – გაზ. „ივერია“, 1888, №17.

წიგნში: **ილია ჭავჭავაძე**. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბ.: 1955, გვ. 179-183.

ილია ჭავჭავაძე მაჰმადიანთ გაქრისტიანება

შემოგვიერთდნენ თუ არა ბათომის მაზრის მაჰმადიანი ქართველები, ზოგიერთებმა იმთავითვე ქადაგება და დამტკიცება დაიწყეს, რომ ყველაზე პირველად ჩვენ ის მაჰმადიანი ქართველები უნდა მოვინათლოთ, გავაქრისტიანოთ; მხოლოდ როცა მოინათლებიან, მაშინ შეიქნებიან ისინი ნამდვილ ჩვენ მოძმეებად, მხოლოდ მაშინ ქრისტიანობას შეუძლიან ამათი დამშვიდება და ჩვენთან მოთავსება.

ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ახლად ქართულს ენაზე გამოცემული წიგნი მღვდლის სიმეონ ბეგიევისა, სახელად „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისტან“. მთელი ამ წიგნის აზრი არის, დაამტკიცოს, რომ ქრისტიანობას უპირატესობა აქვს მაჰმადიანობაზედაც, ჩვენი სახარება სჯობიან თქვენს ყურანსაო, ერთის სიტყვით, ვისაც სააქაოს კეთილი ცხოვრება ჰსურს და საიქაოს ცხონება, უნდა ქრისტიანი იყოსო და ამიტომ ჩვენებურ მაჰმადიანებს ურჩევს, გაქრისტიანდითო. ავტორი პირდაპირ ასახელებს ინგილოებსა და ბათომის მხარის მაჰმადიან ქართველებს, – ამათთვის დავწერე ეს წიგნიო.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრის არ არის. იმას კარგათ ესმის, ქადაგება, ლაპარაკი და ცდა, რომ მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ, ვნების მეტს, არაფერ სიკეთეს არ მოიტანს.

ახლადდაპყრობილ საქართველოს ნაწილში უიმისოთაც გავრცელებულია ცრუ ხმა, რომ რუსები ძალათ გაქრისტიანებას გვიპირებენო, და ახლა რომ მართლა ჩვენ იქ ქრისტიანობის ქადაგება დავიწყეთ, ხელში სახარება მივაჩეხეთ და ამ „პოლემიკურ საუბრის“ მსგავსი წიგნები, ისინი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილაო, მართლა გაქრისტიანება ნდომებიათ ჩვენიო. და რა მოქმედება ექმნება ამგვარ ხმის გავარდნას მაჰმადიან ქართველებში, ამის გამოცნობას ბევრი ჭკუა და მახვილგონიერება არ ეჭირება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, პირველი შედეგი ამისი ის იქნება, რომ ვინც დარჩენილან ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში, ისინიც ოსმალეთისაკენ გარდაიხვეწებიან.

ვერ გაგვიგია, რად ზრუნავენ ეს ზოგიერთი პირები ასე ერთგულად, ასე წინდაუხედავათ, რომ ყველაზე პირველად სარწმუნოებას შეეხონ, რჯული გამოუცვალონ მაჰმადიანებს? იქნება ქრისტიანობა უფრო წინწამწვევია კაცობრიობის ცხოვრებისა, უფრო ეთვისება ეხლანდელ განათლებულ დროის

მოთხოვნილებასა და სწავლას. მაგრამ განა მარტო სარწმუნოებაზედ, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ანუ კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმხრივ წარმატებული?

ჩვენი აზრი ეს არის, რომ ქადაგებას და ცდას ამგვარ შემთხვევაში არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. გაქრისტიანებას კი არ უნდა ვცდილობდეთ ჩვენ ახლა ბათომის და სხვა მაზრების ქართველ მაჰმადიანებისა, არამედ, თუ გვინდა, რომ იმათი გული მოვიგოთ, თუ გვინდა, რომ იმათის მხრით თანაგრძნობა და სიყვარული დავიმსახუროთ, რომ კარგ, სასარგებლო რუსეთის ქვეშევრდომებად გავხადოთ, ყველაზე პირველად იმათ გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ, სიღარიბე შევამციროთ, უმეცრება მოვსპოთ, სკოლები გავმართოთ, ძმური სიყვარული და შემწეობა აღმოვუჩინოთ ყოველ საქმეში, სწორ, ნამდვილ გზაზე დავაყენოთ ცხოვრებაში, კარგი მოსამართლე და ადმინისტრატორები დავუყენოთ და სხვ. და სხვ.

სარწმუნოების საქმე სინიდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო.

ურიგო არ იქნება, რომ ამ ქრისტეს სიტყვებითა და ზემოხსენებულ მოსაზრებით იხელმძღვანელონ ყველა იმათ, ვისაც ბათომის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან ექნებათ საქმე.

1880

წიგნში: ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. XV. თბ.: 2007, გვ. 167-169.

ნიკო ნიკოლაძე ფრანგული პრესის დეკლარაცია (ნაწყვეტები)

პერიოდულმა პრესამ, განსაკუთრებით კი ყოველდღიურმა, საფრანგეთში მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაიღვა ფესვი. ძველი რეჟიმი მას ვერ აიტანდა. პოლიცია, ცენზურა, წოდებრივი პრივილეგია, ბასტილია და ყოველივე ის, რაც აქედან გამომდინარეობდა, ისეთი ხასიათის იყო, რომ მის თავისუფალ განვითარებას ხელს არ შეუწყობდა. ეს წინააღმდეგობანი გაცამტვერდა იმ დღეს, როცა ძველი რეჟიმის საძირკველი დაინგრა. აი, მაშინ დაიბადა პრესა. მაგრამ საფრანგეთი უკვე გადაქცეულიყო მძაფრ პოლიტიკურ შეჯახებათა მსხვერპლად. მთელ ერს თვალი მიპყრობილი ჰქონდა იმ ასპარეზისაკენ, სადაც ყველა წმინდა პრინციპი და ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებანი გააფთრებით იბრძოდნენ. ნებისთ თუ უნებლიეთ, ახლადდაბადებული პრესა ამ შეხლა-შემოსლას უნდა გაჰყოლოდა და მონაწილეობა მიეღო ბრძოლებში. შექმნილი ვითარების გამო მისი არსებობის ერთადერთი წყარო იყო ის, რომ იგი წაკითხული ყოფილიყო.

ისინი, ვინც ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ და ვინც, ასე თუ ისე, ჩარეული იყო ამ ბრძოლებში, ჩქარა მიხვდნენ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მათთვის პრესას, რაკი მას თავიანთი მიზნებისა და მისწრაფებების სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ამ ეპოქაში კი, როცა ყოველგვარი ხიდან მშვილდისრებს ამზადებდნენ, შეუძლებელია ასეთი მძლავრი იარაღი უგულვებლყოთ. ყოველი მხრიდან დაესიენ პრესას, რათა ბრძოლის იარაღად ექციათ იგი. ამგვარად, პრესა, რომელმაც დაბადება ვერც კი მოასწრო, და რომელსაც საზოგადოება ძლივს იცნობდა, პარტიებს ჩაუვარდა ხელში; პარტიებმა იგი მაშინვე გადააქციეს ომის მანქანად, რომელიც განკუთვნილი იყო მათ შეხედულებათა პროპაგანდისათვის და მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად.

ამის შემდეგ პრესის მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, არსებითად მაინც. მთავრობები ერთმანეთს ცვლიდნენ და იცვლიდნენ ფორმებს, შეხედულებებს, მიზნებს, პრესის მიმართ კი ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ყველა ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებისათვის იყენებდნენ პრესას და ამავე დროს ყოველ ძალდონეს, რათა იგი საკუთარი თავისადმი უვნებელი გაეხადათ. მათ არასოდეს თავი არ შეუწუხებიათ გაეგოთ,

ვალდებულია თუ არა სახალხო საქმეთა ხელმძღვანელობა დაინტერესდეს იმით, რომ ერს გააჩნდეს პატიოსანი და გონიერი პრესა, რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი სამსახური გაუწიოს ხალხს თავისი ცნობების სიზუსტით და მოსაზრებათა მიუკერძოებლობით. მათ ასევე არაფრად მიაჩნიათ ცოდნა იმისა, თუ რა დიდი დახმარების გაწევა შეეძლო პრესას სახალხო განათლების განვითარებისათვის და ხალხის პოლიტიკური აღზრდისათვის. მაგრამ, სამაგიეროდ, არასოდეს არაფერი, რაც ადამიანის ძალასა და ღონეს აღემატებოდა, არ დაუზოგავთ, რათა გაეხრწნათ პრესა და მისთვის პირი აეკრათ. ამასთან, არცთუ კარგად ახსოვდათ, რა სამსახური გაუწია მათ პრესამ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ძალაუფლებას იპყრობდნენ. ამიტომ თვითეული სახელმწიფო ცდილობდა იგი გადმოეხრებინა და, ცბიერებითა და ძალადობით, თავისი მოწინააღმდეგეებისათვის ეს საშიში ძალა წაერთმია. იგი აარსებდა ოფიციალურ გაზეთებს, ყიდულობდა ან ქირაობდა ყოველივეს, რაც იყიდებოდა და ქირავდებოდა. იზიდავდა თავისკენ სხვასაც – მოუსყიდველთ ისეთი საპატიო ჯილდოების მეშვეობით, როგორცაა სენატის სავარძელი, პრეფექტურა, საელჩო, ხარკების მთავარი ამკრეფობა და სხვა. და თუ კიდევ გადარჩებოდა ორი ან სამი მოუთვინიერებელი გაზეთი, მათ წინააღმდეგ კანონს კანონზე გამოსცემდა და ჯარიმების, გაფრთხილებების, საპატიმროების, დახურვისა და ლიკვიდაციის მთელი არსენალით აღიჭურვებოდა. პოლიტიკური სტატიის დაწერა ჟურნალისტებს ზოგჯერ გადასახლება და მთელ სიცოცხლედაც უჯდებოდათ.

ამგვარი ვითარების გამო, პრესას ყოველთვის ორი მიმდინარეობა მიაქანებდა ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო, მიმართულებით, რომლის თავიდან აცდენა დღესდღეობით თითქმის შეუძლებელი გამხდარა. იმ დროს, როდესაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, ადმინისტრაციულ მფარველობას დახარბებული, სულითა და ხორციით იცავდა არსებულ ხელისუფლებას და მისი მესაიდუმლე და რუპორი ხდებოდა, მეორე ნაწილი ემხრობოდა ყველაფერს იმას, რაც მთავრობას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა გაზეთი გადაექცია დასაყრდენად და ძალად, რომლის დახმარებით სახელმწიფო ძალაუფლებას შეებრძოლებოდა. ვინაიდან ამქვეყნად ყველაფერი ჯილდოვდება, ჟურნალისტთა პირველი ნაწილი ცხოვრობდა მთავრობის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ხოლო მეორე ნაწილი, ადმინისტრაციულ მოწყალებას მოკლებული, თავს ინუგეშებდა მკითხველთა და ხელმომწერთა ცოტად თუ ბევრად გაზრდილი რიცხვით, რომელიც საფრანგეთში ხელისუფლებით უკმაყოფილო პრესას არასოდეს არ მოაკლდება...

ჟურნალისტთა შორის პირველი ადვილი დაიჭირა და თანდათან მრავალრიცხოვანი ხდება ლანძღვა-გინების მოყვარული კალმოსნები. მათი მეთოდია უწმაწური სიტყვების ხმარება. ისინი პროვოკატორულად და სრულიად თავზეხელაღებულად აფრქვევენ გაბედულ ფრაზებს, გადმოსცემენ შემოკლებულ ჭორებს; ხალხს თავს ისე აჩვენებენ, ვითომც დარწმუნებულნი იყვნენ არა მხოლოდ საკუთარ თავში, არამედ თავიანთი სიტყვების სიმართლეშიც. მყვირალა პატრიოტიზმის შესახებ წარმოთქმული ცარიელი სიტყვებით ისინი ქვეყანას ატყუებენ და იმედს ამყარებენ ზოგის უვიცობაზე, ზოგის ცუდ მესიერებაზე, განსაკუთრებით კი მასების გულუბრყვილობაზე... ამ ჯურის ჟურნალისტები წერენ უპირატესად ბენტერა, დაუფიქრებელი მკითხველებისათვის, რომელთათვის გაზეთის უკანასკნელი სტატია არის უფლებისა და რწმენის ერთადერთი კოდექსი. ამგვარი ჟურნალისტის მთელი ლოგიკა, მთელი მჭევრმეტყველება, მთელი ცოდნა იხატება არაკეთილსინდისიერებითა და უსირცხვილო ყალბობანდობით შეთითხნილი ნაწერების მხოლოდ ქედმაღლურ და თავზედურ ტონში. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ეს ტონია მისი შემოქმედების მთელი ძალა.

მრავალ გაზეთში წარმატება მოიპოვა ჟურნალისტთა ერთმა წყებამ, ჯიშმა, რომელსაც დარვინი სიამოვნებით უწოდებდა „ბუმს“: ეს ჟურნალისტი-რეკლამაა, ჟურნალისტი-მოდის შემომტანი. იგი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც დავალებული აქვს შეაქოს და სახელი გაუთქვას. ერთ დღეს, დამიჯერეთ, იგი მოგიყვებათ პატარა ამბებს, მეტად უმნიშვნელოს, გულუბრყვილოს. მეორე დღეს დაუბრუნდება ისევ ამ ამბავს, დაუმატებს წერილმანს და მარჯვედ, შეუმჩნეველად შემოაპარებს იმ ფირმის მისამართსა და ნომერს, რომელზედაც, ვითომდა არაფერიაო, ოსტატურად ჩაურთავს ყოველგვარ სიკეთეს და საქმეც გაკეთებულია. ამ მეთოდს იყენებენ არა მარტო იმისათვის, რომ „საქმეებს“ გაუთქვან სახელი, არამედ კახკებსაც და, რა თქმა უნდა, მათს პატრონებსაც. ადვილი სავარაუდოა, რამდენ ფულს იგებენ ამ ხელობით და ასევე ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ ფიქრსა და შთაგონებას ხარჯავენ მასზე.

სამარცხვინოა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარიზში ოთხი თუ ხუთი დიდი გაზეთი მხოლოდ ამ ხელობით არსებობს. მათ ღია ცის ქვეშ გამოუფენიათ კალამი და პრესა, გამზადებული ყველაზე მეტი ფულის მიმცემისა და ფასის მომმატებელის სამსახურისათვის. ესენი გახლავთ ორგანიზებული შანტაჟისა და მოდის შემთითხნი სახელოსნოები...

ჟურნალისტთა ჩამოთვლილ სახეობათა გარდა შეიმჩნევა ნიჭიერი ადამიანები, უაღრესად პატიოსანი და გულწრფელი, რომლებიც მთელ

სიცოცხლეს სწირავენ იმ საქმეს, რომელიც მართალი ჰგონიათ, ან იმ აზრს, რომელიც მართლაც მათი საკუთრებაა. მაგრამ ესენი იმდენად იშვიათნი არიან, რომ იკარგებიან უვიცსა და გულგრილ, უბადრუკი მჯღაბნელების ბრბოში, რომელიც ჭიაღუასავით ახვევია ყველა გაზეთს. ეს უკანასკნელნი, სინდისის ქენჯნის გარეშე, იმპერიალისტური გაზეთიდან რესპუბლიკურში გადადიან, რესპუბლიკურიდან ლეგიტიმისტურში, რათა შემდეგ თავშესაფარი იპოვონ ორლენისტურ ან მრავალფეროვან უწყებაში. აი, აქ არის ჟურნალისტიკის ნამდვილი ბედუკუღმართობა და ასეთნი გაცილებით მეტია, ვიდრე გვგონია. ისინი ათახსირებენ თავიანთ ნიჭს და ყიდიან თავიანთ ინტელექტს, ემსახურებიან საკუთარი მისწრაფებების უაღრესად საწინააღმდეგო მიზნებს. მიჩვეულნი საზოგადოებრივი აზრის ფალსიფიკაციას, მგზნებარების და სიყვარულის სიმულაციას, როცა სრულებით არაფერს განიცდიან, მიჩვეულნი ყველა საქმის რიგრიგობით მომსახურებასა და ღალატს, ბოლოს მართლა სკეპტიკოსები და გულგრილნი ხდებიან, კარგავენ ილუზიებსა და რწმენას. როგორც უბადრუკი მსახიობი ადგილს პოულობს მოხეტიალე დასში, ეს ჟურნალისტებიც ისე ემსახურებიან განსაზღვრული „დანიშნულების“ გაზეთს, თამაშობენ როლს ყოველ სადამოს; ფარდა ჩამოეშვება თუ არა, ანდა ნომერი გაიშვება თუ არა დაზგის ქვეშ, იწყება რედაქტორის დაცინვა ან პირველი როლების შემსრულებელთა გაკილევა. წამოწყების წარმატების ბედი მათთვის სრულიად სულერთია, მათ ხომ თავის დროზე უხდიან ჰონორარს. მეტწილად მათ არაფრად მიაჩნიათ, თუ რა გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე ამ გაზეთის მიმართულება. და თუ რედაქტორი ბნელ საქმეებში გაეხვევა და გაზეთი განადგურდება, მერე რა? განა ხსენებულნი მსახიობები მეორე დღესვე ვერ გაეშურებიან ყოფილი პატრონის კონკურენტთან, შეიძლება მტერთანაც და ვერა სთხოვენ სამსახურს? განა ის ვერ მიატოვებს ოპერეტაში კომიკური როლების შესრულებას? მანამდე ხომ იგი კეთილშობილი მშობლების როლს ანსახიერებდა იმ დასში, რომელიც დაიშალა?

აი, ზუსტად ჟურნალისტის ნამდვილი ტიპი. იგი მუშაობას იწყებს გაზეთში და მის პოლიტიკურ ელფერს უსისხლხორცდება. ითვისებს თავისი კომპანიის და ამხანაგების აზრებს, სიძულვილს, მოშურნეობასა და პირმოთნეობას. იძულეებულთა საკუთარი აზრები გაზეთის მიმართულებას დაუქვემდებაროს, გაზეთის მისწრაფებების მიხედვით გააშუქოს მოვლენები. იგი მალე ცოტად თუ ბევრად მოხერხებული დიალექტიკოსი ხდება, ცოტად თუ ბევრად მარჯვე სოფისტი, და იმის მაგივრად, რომ მკითხველებისათვის სიმართლის ძიებას გაჰყევს, – სრული სიმართლისა და მხოლოდ სიმართლისა, – იგი თავის თავს

ვალდებულად თვლის შეალამაზოს სინამდვილე, დაფაროს, შენიღბოს, ყალბი ცხვირი მიაკეროს. „ყველა სიმართლე არ უნდა ითქვას“ – აი, მისი დევიზი. სულ ცოტა ხანიც რომ იმუშაოს ამ მშვენიერ ხელობაზე, მას მაინც მთლიანად ეკარგება ილუზია ყოველივე იმის მიმართ, რის სიყვარულიც შთანერგილი ჰქონდა; მოხერხებულობის მეტი აღარაფრისა სჯერა და იღებს რწმენას (საკითხავია, რწმენაა ეს?) იმ ადამიანებისას, რომლებსაც ემსახურება. როცა მსგავსი მწერლის თვალწინ რაიმე იდგა ააღელვებს მთელს საფრანგეთს ან რომელიმე ორატორი შთამაგონებელი გულწრფელობითა და რწმენით გამსჭვალულ სიტყვას წარმოსთქვამს, მისი გული ამის გამო აღარ ძგერს და ვერც მისი გონება სწვდება იმ აზრის ძალასა და სიდიადეს, რომელიც ცივილიზებულ სამყაროს აზანზარებს. იგი მხოლოდ უმნიშვნელო მხარეებს ხედავს, მხოლოდ გარეგან საფარს და კმაყოფილდება მოკლე თქმით – „ეს კარგად არის ნაპოვნი, ძალიან მარჯვედ“, ან „ეს მოუქნელია“, და გადადის სხვა საკითხზე. და თუ შემთხვევით მას დაეუფლება ენთუზიაზმი ან ლირიკული განწყობილება, მაშინვე ადვილად შეამჩნევთ, რომ ამ გრძნობას არ წარმოშობს არც უბიწო გონება და არც მძლავრი გული. ეს, უბრალოდ, დახურდავებული აზრების, მრავალჯერ ნახმარი და გაცვეთილი სიტყვების ცივი პერიფრაზაა, კალმით ნაძალადევად გადმოცემული, როცა გული სულაც არ ფიქრობს მასზე.

ყურადღებით გადაიკითხეთ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ან რომელიმე ლიტერატურულ კაბინეტშიც გასურთ, ყველა პარიზული გაზეთის კოლექციები და განცვიფრდებით: – თქვენ დაინახავთ, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც სავსე იყო უაღრესად ტრაგიკული და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით, პრესამ ვერ წარმოშვა ერთი მძლავრი, უანგარო მწერალიც კი, რომელიც შესძლებდა თავისი შემოქმედება განემსჭვალა მწარე გულგატეხილობის გადამდები ძალით, სისხლით გაუღენთილი საყვედურებით და უკეთესი მომავლისაკენ მიმართული წარმტაცი სურვილებით. ამოვად გადაიკითხავთ უამრავ ნომრებს, რომელთაც შეძლეს ესულდგმულათ იმდენხანს, რამდენ ხანსაც ცხოვრობს ქინქლი, – ერთი დღის განმავლობაში, – მათში ვერ იპოვით გულიდან ამოხეთქილ ერთ აკორდსაც, ვერც ისეთ სურათს, რომელიც ადამიანის გონებას ააღელვებდა და შიგ სამუდამოდ შთაიბეჭდებოდა, ვერც ერთ იმ დიად აზრს, რომლითაც ესოდენ ზღაპრულად მდიდარი და გულუხვად მფანტველი იყო ოდესღაც საფრანგეთი. ყოველივე დაწერილმანდა, რაქიტული გახდა; აღარც მძლავრი ამოსუნთქვა, აღარც რწმენა, ყველაფერი აღბეჭდილია პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობით, ყველაფერს დუქნის სუნი ასდის. ასი ნაბიჯიდანვე მოსჩანს ხელოვნური კბილები და ზიზიდ-პიპილოები კალმის

ყველა რაინდისა, რომლებიც ცხრაპირ ტყავს იძრობენ, რომ თავიანთ გიგანტ წინამორბედებს დაემსგავსონ. და ამ მუყაოს მებრძოლებს ჰგონიათ, რომ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მართვას შესძლებენ; და ამ ძალით ფიქრობენ მასზე გავლენის მოხდენას!

იმისათვის, რომ უკეთესად დავაზუსტოთ ჩვენი აზრი ფრანგული პრესის შესახებ, ზედმეტი არ იქნებოდა ფართო შტრიხებით დაგვეხატა უცხოეთის პრესის ფიზიონომია. თავისთავად ცხადია, რომ გამონაკლისზე არ შევჩერდებით და მხოლოდ ძირითად შემთხვევებს მივაპყრობთ ყურადღებას.

ინგლისურ პრესას უმთავრესად ახასიათებს ცივი და სახელმძოხვეჭილი მსაჯულის მკაცრი და მიუკერძოებელი გარეგნობა. მას ყველაზე მეტად აინტერესებს თავი მოუყაროს ცნობებისა და ინფორმაციების რაც შეიძლება მეტ რიცხვს, არაფერი დაუმალოს საზოგადოებას, მიუდგომლად და გულცივად აწონდაწონოს ყველაფერი და ამ გზით მტკიცე მოსაზრება შექმნას. ინგლისში საკამათოდ ხდება ჟიურის ვერდიქტი, პარლამენტის გადაწყვეტილება, სამინისტროს აქტები, პარტიების ბელადთა აზრები, თვით სამეფო ოჯახის საქციელიც კი, მაგრამ სანამ სერიოზული გაზეთების წინააღმდეგ გაილაშქრებდეს ვინმე, ჯერ კარგად უნდა აწონდაწონოს თავისი სიტყვა. უამრავი მოწინავე მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი იძულებული გამხდარან მდუმარედ მოეხარათ ქელი იმ სტატიების წინაშე, რომლებიც, მართალია, „უმანდატონი“ იყვნენ, მაგრამ ვერდიქტის უფლებით იყვნენ მოსილნი...

ინგლისური პრესა დიდი ხანია გამსჭვალულია იმ აზრით, რომ პრესის ძალა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს არა ექსცენტრიულობისა და ფანტაზიის არამყარ საფუძველს იმ მოთხოვნებისა, რომელსაც საზოგადოება უყენებს პრესას: ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს კეთილსინდისიერი ინფორმაცია და ფართოდ გაშუქება... გაკვირვებით უნდა აღინიშნოს, რომ ლამანშის გადაღმელი ყველაზე გავლენიანი გაზეთები, ერთგულნი პროგრესული იდეების პროპაგანდისა და სტატუს-ქვოს შენარჩუნებისა, არასოდეს არ ემონებიან არც პოლიტიკურ პარტიებსა და არც მათ ხელმძღვანელებს; ყოველთვის ინარჩუნებენ აზრის თავისუფლებას, ხშირად პარტიების ბელადებს, რომელთა თვალსაზრისს იზიარებენ კიდევ, უადრესად სასტიკსა და სრულიად შეუღამაზებელ სიმართლეს პირში ახლიან; მათი ამგვარი მოქმედებით აიხსნება თანამემამულეთა შორის ის უსაზღვრო ავტორიტეტი, რომლის მოპოვებაც მათ შეძლეს.

გერმანული პრესა ცდილობს მხოლოდ ასწავლოს, გაანათლოს თავისი მკითხველი და მას მოსწავლესავით ექცევა... სრულიად მამობრივი მზრუნველობით შეუდგება ხოლმე გერმანული პრესა ინფორმაციების ძებნასა და პოლიტიკურ მიმოხილვას და მათ შესახებ გრძლად მოუთხრობს თავის ხალხს; ცდილობს გადაუღებოს ყველაფერი, რათა კარგად გასაგები გახადოს. ისწრაფვის, მის შემოქმედებას სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდეს და საერთო „აღსარებისაკენ“ უფრო მიიღტვის, ვიდრე ბრძოლისაკენ. პრესის ამ ხასიათის მეოხებით გერმანული მკითხველი პატარა გაზეთების წაკითხვით თანდათან ვითარდება და, შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას – პოლიტიკური აღზრდა გერმანიაში მეტწილად ამ ქვეყნის პრესას ექვემდებარება.

ამერიკული პრესა, საერთოდ, წარმოადგენს ანარეკლს თავისი ხალხისა, რომელიც, აჩქარებული და საქმიანი, მთლიანად მოქმედებაზე გადასული და ხანგრძლივი მსჯელობისათვის ვერ იცლის. შეერთებულ შტატებში პრესას მიკუთვნებული აქვს უბრალო როლი რეპორტიორისა და მთავარი გაზეთების თითქმის ყველა სვეტი სავსეა დეპეშებით. გაზეთების სტილიც ასევე შექმნილია ელექტრო-ტელეგრაფის მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ენის მიხედვით, მსგავსად აღფრედ ჯინგლის მეტყველებისა, ნეტარხსენებული „პიკიკის კლუბიდან“. ამერიკულ პრესას მთავარ მიზნად დაუსახავს მიაწოდოს ხალხს, რაც კი შეიძლება მეტი ყოველგვარი ცნობა და იგი ცხელ-ცხელი ამბებისა და აზროვნების ნედლეულის საწყობად გადაქცეულა. ხალხი ყიდულობს ამ საქონელს და ისე იყენებს, როგორც სურს...

თავისი ერის ერთგვარი ნდობა რომ დაიმსახუროს, პრესა მკითხველის მეგობარი უნდა გახდეს, ღრმად უნდა შთააგონოს ის აზრი, რომ მას არ ატყუებს, არაფერს უმაღავს და, ბოლოს და ბოლოს, არც არის დაინტერესებული, ასე მოიქცეს. ფრანგი მკითხველი ცუდად გათვითცნობიერებულია, ნაკლებად განათლებული, ნაკლებად დაფიქრებული, მაგრამ ყველა აღიარებს ამ სიმართლეს – იგი დიდი ხანია გამოვიდა ბავშვობის იმ მდგომარეობიდან, როცა თვალახვეულივით ხელის წაღება სჭირდებოდა. თუკი იგი უნდობლობას გამოხატავს, თუკი აღარა სწამს იმისა, რასაც უქადაგებენ, ეს იმიტომ, რომ მან შეამჩნია, კაცად არ მაგდებენო, ბევრ რამე მიმაღავენო, ჩემი ჭკუისა და კეთილი სურვილებისა ბევრი არაფერი სჯერათო. მკითხველი დარწმუნებულია, რომ შეუძლია თავის თავს უხელმძღვანელოს და რამდენს მეტს დაუმაღავენ მას, იმდენად მეტად ჩამოიშორებენ ჩამოყალიბებულ ადამიანებს; ერთგვარი გამოცდილების მქონე საზოგადოებას არასოდეს სიმართლე არ უნდა შეუღამაზო, მხოლოდ სუსტებს უმაღავენ არასასიამოვნო

ამბებს, მხოლოდ სულმოკლეებს არ ეუბნებიან საფრთხეზე. ამიტომაც ფრანგ ხალხს, რომელიც, მაღლობა ღმერთს, არც სუსტია და არც სულმოკლე, აღარ სურს ამგვარად მოექცნენ და იგი სრულიად მართალია, ზურგს რომ აქცევს მათ, რომლებიც თავს ირთობენ და ხალხს მხოლოდ ცოტაოდენ სიმართლეს ეუბნებიან, ხოლო დანარჩენს უმაღავენ. გონიერი და ჭეშმარიტად პატიოსანი პრესა ამგვარ კუკუმაღულობას თავს უნდა არიდებდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს; და იქნებ ეს თვითონ მას უფრო მეტად გამოადგეს, ვიდრე მის ქვეყანას...

პრესას უნდა განესაზღვრა, და ამგვარად უფრო ხელშესახები უნდა გაეხადა ქვეყნის მოთხოვნილებანი, რათა მათი კანონიერი დაკმაყოფილებისათვის პირობები მოემზადებინა... დღეს მას იყენებენ თითქმის ცარიელი ნიადაგის მოსაკოხტავებლად, აზრთა უბადრუკობის დასაფარავად და ბრწყინვალე ფოიერვერკით ხალხის მისაზიდად. ყველა ეს პაწაწინა საშუალებანი დროულია, როცა იგი ცოტა დამძიმებული და არცთუ შინაარსიანი ინტელექტუალური საკვების შესაკმაზავად მოიხმარება. მაშინ ის საყრდენი წერტილია, რომელზედაც ისვენებს მკითხველის გონება და იღებს სტიმულს, განაგრძოს მუშაობა იმ იმედით, რომ ამგვარ მომხიბვლელობას სხვაგანაც იპოვის. ხსენებული საშუალებანი შეიძლება ჩაქუჩადაც გამოდგეს, რათა მისი დარტყმით, რამდენადაც შესაძლებელია, ღრმად შეიყვანონ მკითხველის გონებაში საკმაოდ გაშუქებული და განხილული იდეა. მაგრამ იდეების, მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შეცვლა უმიზნო და უსაგნო ფოიერვერკთა მთელი რიგით – ეს არის შეჰქმნა ხელოვნება ხელოვნებისათვის, გახრწნა საზოგადოების გონება და მასში გამოადვილო გასართობებისა და სპექტაკლების მოთხოვნილება, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...

პრესის თავისუფლების საკითხი არც ისე უმნიშვნელოა, როგორც საერთოდ წარმოუდგენიათ. საფრანგეთმა ამ ბოლო დროს ჩაატარა ექსპერიმენტი ისეთი რეჟიმისა, რომ პრესა აღმოჩნდა დაყვანილი ყველაზე საცოდავ დაქვემდებარებამდე. ბოროტად განწყობილმა და უვიცმა მთავრობამ ერი ბრმად მოამწყვდია სიბნელეში. პრესა ვერავითარ ხმას დროზე ვერ აღიმადლებს შექმნილი სიტუაციისათვის შუქის მოსაფენად და მისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ყველამ იცის, სად მიიყვანა საფრანგეთი ამ მდგომარეობამ...

დროა ეს მდგომარეობა საბოლოოდ შეწყდეს და ფრანგული პრესა გათავისუფლდეს ნებაყოფლობითი მონობისგან, რადგან სერიოზულ ზიანს

აყენებს თვით საფრანგეთის ინტერესებსა და მომავალს. დროა, მოიცილოს უღელი ზოგიერთი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტრიგანისა და პატივმოყვარისა, რომლებიც მას მოხერხებულად იყენებენ საზოგადოების აზრთა ფალსიფიკაციისათვის... დღეს, როდესაც საზოგადოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, პრესა ამოდ ამოდრავებს თავის ძველ წითელ ან თეთრ მოჩვენებებს, ამოდ მიმართავს ცილისწამებებს და შეურაცხყოფას: ეს მთელი მისი წვრილმანი ლანძღვა-გინება, მთელი მისი არაკეთილსინდისიერება დღეს მის წინააღმდეგ შემოტრიალდა და ნელ ცეცხლზე სწვავს მას; საზოგადოებრივი აზრის მართვა, პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრა ხელიდან უსხლტება მთლიანად. თუკი მაინც ჯიუტად გაჰყვება გზას, რომელმაც ამ საცოდავ მდგომარეობამდე მიიყვანა, მისი საქმე ამის შემდეგ ხელიდან წასულია. იგი ზუსტად ისე დაასრულებს თავის სიცოცხლეს, როგორც ანტიკურ საბერძნეთში დაასრულეს სიცოცხლე ორაკულებმა და სოფისტებმა: ხალხის სრულ გულგრილობას ზიზღი მოჰყვება და ეს იქნება სიკვდილის წინ უკანასკნელი დარტყმა.

ამ აუცილებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრესას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები, ერთი სიტყვით, აღარ იფიქროს, რომ მისი მიზანია საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მართვა. ეს ამოცანა აშკარად აღემატება მის ძალებს და მის დანიშნულებას. ერთადერთი ამოცანა, რომელიც დიდი, ცივილიზებული ქვეყნის პრესას აკისრია, ეს არის ხალხის გაცნობიერება, პატიოსნად და მთელი შესაძლებლობით გაშუქება რეალური ცხოვრებისა და თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალური პროგრესისა. ფრანგული პრესის თითქმის მზეჩასვენებული გავლენის აღდგენის ერთადერთ საშუალებას აღნიშნული ამოცანის კეთილსინდისიერად შესრულება წარმოადგენს.

პარიზი. 1875 წ.

წიგნში: ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. ტ. 4. თბ.: 1964, გვ. 81-127.

ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამადლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს

ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის აკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა პაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას დებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მდერნიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა

უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

წიგნში: **ვაჟა-ფშაველა**. თხზულებათა სრული კრებული.
ტ. 5 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ). თბ.: 1961, გვ. 213-215.

ვაჟა-ფშაველა

რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენი ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვეგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს, თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე. ი. რას ჰქვია თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჭვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორის მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?.. თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვიძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდნენ, მოიფიქრონ, როგორ მოუყარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გააღმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს, ეგრეთვე თუ ცხვარი – ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბოდით და ამ რბევა-

ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათანობით სრულიად მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუნს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის შვენიერად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდე?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნებ მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმაღავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდის მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოგაკვდები, ან ვძლეე ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლეო“ (ე. ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალთ ვხედავთ, აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავისი არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად...

და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: **თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა**. ბედნიერება წართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? – არაფერი. კიდევ იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მიკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტა ხანს, რადგან ცხოვრების ლოდიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მდერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი

სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრხობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნადველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და, რა თქმა უნდა, ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი. თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

წიგნში: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 5 (ტექსტი
გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ).
თბ.: 1961, გვ. 412-415.

ვლადიმერ ბუკოვსკი (დაბ. 1942) – მწერალი, მეცნიერი-ნეიროფიზიოლოგი. საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რის გამოც არაერთი წელი გაატარა საბჭოთა ციხეებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში (ე. წ. „ფსიხუშკებში“). 1976 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გაცვალა ჩილეს კომუნისტური პარტიის ლიდერზე – ლუის კორვალანზე. ვ. ბუკოვსკი ამჟამად ცხოვრობს ბრიტანეთში.

ვლადიმერ ბუკოვსკი **პოლიტკორექტულობა ლენინიზმზე უარესია**

საბჭოთა კავშირის კრახი და დაშლა ჩვენ, დისიდენტებს, სულაც არ გაგვიკვირვებია, თუმცა ამის მერე რაღაც უცნაურობები დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომისა და ნაციზმის კრახის შემდეგ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური სპექტრი მარცხნივ გადაიხარა. ამისი ახსნა შეიძლება: ფაშიზმი და ნაციზმი მემარჯვენეობასთან იგივედებოდა (რაც, სხვათა შორის, სწორი არაა, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა). დაემხო კომუნიზმი და მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური განწყობები მარჯვნივ გადახრილიყო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. 1992, 1993, 1994 წლებში ევროპის ქვეყნების სათავეში მემარცხენეები მოდიან... სოციალისტური ბლოკის დაშლა დასავლეთში ახალი უტოპიური იდეების წარმოშობას დაემთხვა.

„პოლიტკორექტულობა“, როგორც საერთაშორისო მოვლენა, 1990-იანი წლებიდან იწყება, თუმცა, როგორც გარკვეული მოძრაობა, იგი ადრეც არსებობდა. პირველად მე მას 1983 თუ 1984 წელს შევეჩხე – ჩემს ლაბორატორიაში შევდიოდი, კიბეზე კი ზემოდან ორი ქალიშვილი ჩამოდიოდა. მე ღია კარი დავიჭირე, რათა ისინი გამეტარებინა. მათ კი ზიზლით შემომხედეს და მომახალეს: „შოვინისტურ-მამაკაცური ღორი“. ვერაფერი გავიგე და ძალიანაც გამიკვირდა. როცა კოლეგებს ეს ამბავი მოვუყევი, მათ სიცილი დაიწყეს; „გენი ბერკლის უნივერსიტეტიდან არიან. ყოველგვარი მემარცხენე რადიკალიზმი მანდედან მოდის. ეგ რაღაც ახალი მოდაა – ფემინისტები; ისინი ამტკიცებენ, რომ როცა ჩვენ, მამაკაცები, ქალებს ვექცევით როგორც ქალებს, ამით მათ ვამცირებთ და შეურაცხყოფას ვაყენებთ“.

ფემინისტი ქალები ქადაგებენ რომ „ქალი“ – ეს სოციალური კონცეფციაა. მამაკაცებს ქალებთან თავი ისე რომ ეჭირათ, როგორც მამაკაცებთან უჭირავთ, მაშინ ქალები მამაკაცებად გადაიქცეოდნენო – ქალები იმიტომ არიან ქალები,

რომ მათთან მამაკაცები იქცევიან როგორც ქალებთან და, ამდენად, ქალი სინამდვილეში ქალი კი არ არის, არამედ მამაკაცური სტერეოტიპული წარმოდგენების მსხვერპლიაო.

ბერკლის უნივერსიტეტში დაბადებული ეს კონცეფცია მყისიერად გავრცელდა. 1984 წელს ჩვენ ამაზე ვიცინოდით, მაგრამ 10 წლის შემდეგ ამგვარმა შეხედულებამ მთელი მსოფლიო მოიცვა. ყველა უნივერსიტეტში დაფუძნდა „გენდერული კვლევები“. მე თუ მკითხავთ, სქესთა შორის ურთიერთობებში მილიონობით წელია, არც არაფერი შეცვლილა, მაგრამ მამაკაცურ ცოდვათა შესახებ შექმნილი ეს ცრუმეცნიერება საშინელი სისწრაფით იკრებს ძალას – თურმე ნუ იტყვით, ჩვენ, მამაკაცები, ქალებს აგდებულად ვუყურებთ და აბუჩად ვიგდებთ.

და დაიწყო წმინდა წყლის ორუელი: არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიმართოთ ქალს ასე – „მისს“ ან „მისის“, რადგან ამგვარ მიმართვებში ჩანს მისი ოჯახური (ცოლ-ქმრული) სტატუსი. მკვიდრდება ინგლისური ენისათვის სრულიად წარმოუდგენელი „მიზ“... ისინი განუწყვეტლივ იგონებენ ახალ-ახალ სიტყვებს, აწესებენ, თუ როგორ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ, ცოდვილმა მამაკაცებმა და, თუ დავარდევთ მათ მიერ შექმნილ ქცევის ახალ წესებს, მაშინვე „მამაკაცურ-შოვინისტურ ღორებად“ გადავიქცევით. ბიბლიის გადაწერაც კი დაიწყეს, სადაც ღმერთი მდებრობითი სქესის სახელთა მაწარმოებლითაა წარმოდგენილი.

მე, ჩემდათავად, საბჭოთა „ფსიხუშკებში“ შევეჩვიე გიჟების საზოგადოებას. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამერიკელი საზოგადოება ყოველგვარ იდიოტურ სიახლეს მაშინვე ღამის სავალდებულოდ აქცევს ხოლმე. ამერიკაში, – ისევე როგორც, სხვათა შორის, ევროპაშიც, – მოსახლეობა დაუჯერებელი კონფორმისტული ცხოვრებით ცხოვრობს. ყველაფერი, რასაც თავში გტენიან, ნორმად უნდა აღიარო. თუ გინდა წარმატებას მიაღწიო – კონფორმისტი უნდა იყო. და აი, ამერიკული სტანდარტები უცილობელი პროგრესის სახელით ვრცელდება ყველგან და, თქვენ წარმოიდგინეთ, კანონმდებლობებშიც კი აისახება.

უემინისტურმა მოძრაობებმა მამაკაცები „სექსისტებად“ გამოაცხადეს. თითქოს ისინი (მამაკაცები) ქალებს მხოლოდ სექსუალურ ობიექტად აღიქვამენ და, შესაბამისად, ყოველგვარი განსხვავებანი, რაც სქესთანაა დაკავშირებული, უნდა აღმოიფხვრას მამაკაცისა და ქალის ურთიერთობებში. ფლირტი გამოაცხადეს აგრესიად და ქალთა ჩაგვრა-დამონებისაკენ ლტოლვად. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში დამსაქმებელი კაცი ვერ გაბედავს მის მიერვე

დასაქმებულ ქალთან განმარტოებულ საუბარს – საჭიროა თუნდაც ერთი მოწმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია დამსაქმებელი სექსუალური ხასიათის გამოძალვის მცდელობაში დაადანაშაულონ, რაც სამუდამოდ დადუპავს დამსაქმებლის კარიერასა და მას საზოგადოებიდანაც გარიყავს.

ზუსტად ამგვარივე მოთხოვნები წამოაყენეს სხვადასხვა ტიპის უმცირესობებმა: შავკანიანებმა, ჰომოსექსუალისტებმა, სექტანტებმა და ა. შ.; შეიქმნა მთელი რიგი კანონებისა „hate speech“-ზე – „სიძულვილის ენაზე“, რომელიც რაღაცით ჰგავს კიდევაც სისხლის სამართლის საბჭოური კანონმდებლობის 70-ე მუხლს, რის საფუძველზეც მე გამასამართლეს. „სიძულვილის ენად“ გამოცხადდა რასობრივ განსხვავებულობასა თუ ნებისმიერი სახის სექსუალურ მიდრეკილებებზე ყრუ მინიშნებაც კი. თქვენ უფლება არ გაქვთ, აღიაროთ თვით აშკარაზე აშკარა ფაქტები. და თუ ამგვარ განსხვავებულობას საჯაროდ ახსენებთ – თქვენი დანაშაული მყისვე გამოაშკარავდება.

გასულ წელს ინგლისში აკრძალეს ქრისტიანობასთან დაკავშირებული ყველა საზოგადოებრივი ღონისძიებები – ვინაიდან ბრიტანეთის დროშაზე წმ. გიორგის ჯვარია გამოსახული, ეს მუსლიმებს „ჯვაროსნულ ლაშქრობებს“ გაახსენებს და, შესაბამისად, გაანაწყენებს კიდევაცო. ამ დროს თვითონ ბრიტანელი მუსლიმები მსგავსს არაფერს მოითხოვენ. ერთ მუსლიმს, რომელსაც ჩემი სახლის მახლობლად სავაჭრო აქვს გახსნილი, ვიტრინაში სწორედ ბრიტანეთის ჯვარიანი დროშა აქვს გამოფენილი და ამით თითქოს იმის ხაზგასმა სურს, რომ არ ეთანხმება ზემოხსენებულ კრეტიზულ გადაწყვეტილებას. თუმცა, ვინ მოუსმენს მას...

ყოველივე ზემოთქმულმა ისეთ ცენზურამდე მიგვიყვანა, რომ დღეს, ალბათ, შექსპირსაც კი გაუჭირდებოდა ცხოვრება. თუმცა საქმე არც ისე სააღმათოდაა და შექსპირის ზოგიერთ პიესას აღარც კი დგამენ: „ვენეციელი ვაჭარი“ – ანტისემიტიზმი; „ოტელო“ – რასიზმი; „ჭირვეულის მორჯულება“ – სექსიზმი... ლონდონში ერთმა მასწავლებელმა ქალმა უარი თქვა, კლასი „რომეო და ჯულიეტას“ წარმოდგენაზე წაეყვანა. სპექტაკლს მან „საზიზღარი ჰეტეროსექსუალური სანახაობა“ უწოდა.

მიმდინარეობს მასობრივი ცენზურის განმტკიცება სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ჰომოსექსუალიზმზე ხუმრობამ შეიძლება ციხის კარამდე მიგიყვანოთ. დააკვირდით, რა მალე მივიდა საქმე რეპრესიებამდე.

იყო ასეთი ფილოსოფოსი – ჰერბერტ მარკუზე, მარქსისტი-რევიზიონისტი. ერთ საკითხში იგი არ ეთანხმებოდა მარქსს: მარქსი რევოლუციურ კლასად

პროლეტარიატს მიიჩნევდა (რაც, როგორც ჩანს, მთლად სწორი არ არის). მარკუზე კი გვასწავლის, რომ ჭეშმარიტად რევოლუციური კლასი მრავალფეროვანი უმცირესობებია. გადახრა უნდა გამოცხადდეს ნორმად, ნორმა კი გადახრად. „მხოლოდ მაშინ, – წერს მარკუზე, – ჩვენ შევძლებთ ბურჟუაზიული საზოგადოების დანგრევას“.

აქტივისტებს, რომლებიც თითქოს უმცირესობათა უფლებებს იცავენ, სინამდვილეში სულაც არ ანადგვლებთ უმცირესობათა უფლებები. ისინი, ისევე როგორც თავის დროზე ლენინი მუშებს, უმცირესობებს იყენებენ საზოგადოებაზე თავიანთი ზეგავლენისა და კონტროლის დაწესების ინსტრუმენტად და ამით, პირველ რიგში, უმრავლესობაზე უფრო მეტად უმცირესობებს აყენებენ ზიანს. ამერიკაში ერთი ჩემი მეგობრის ცოლმა 7 წლის წინ საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას – „ამერიკის ქალები ფემინიზმის წინააღმდეგ“. დაიწყო ეს საქმე სულ რამდენიმე ქალმა და ამჟამად მათ უკვე აქვთ ჟურნალი, რომლის ტირაჟია 2 მილიონია. ქალებმა თანდათანობით დაიწყეს იმის გააზრება, რომ ფემინიზმი მათი მტერია, იგი ანგრევს მათს ცხოვრებას, რამდენადაც უსპობს თავისუფალ არჩევანს – უნდა მოიქცნენ არა ისე, როგორც თვითონ სურთ, არამედ ისე, როგორც ამას ათასი ჯურის აქტივისტები განუსაზღვრავთ.

ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ იდეოლოგიასთან, რომელიც „პოლიტიკური კორექტულობის“ საბაბით ცდილობს ჩვენი საზოგადოების დანგრევას. რაც უმცირესობებისათვის უარესია, უკეთესი აღმოჩნდა მათი ლიდერებისათვის – ჩნდება ვიდაცის უფლებათა დაცვის საბაბი! სინამდვილეში კი მათი მიზანი ჩვენი საზოგადოების განადგურებაა, და ეს არის მარქსიზმის ახალი, უბოროტესი ვერსია.

ცენზურამ, რომელიც „პოლიტიკორექტულობის“ დამცველებმა დააწესეს, გაათავისუფლა ისინი დიალოგისაგან. მე რომ მათთან საკამათოდ მიმიშვათ, რამდენიმე წუთში მოვათავებდი საქმეს. მაგრამ ვინ მომცემს ამის უფლებას? მე, ბრიტანეთის სრულუფლებიან მოქალაქეს, არ მაქვს უფლება ამ თემაზე დავწერო სტატია, გამოვცე წიგნი, მონაწილეობა მივიღო თემის გარშემო გამართულ დებატებში, რამდენადაც ამგვარი დებატები საერთოდ არ იმართება. თქვენ თქვენი ტელევიზორებიდან „პოლიტიკორექტულობის“ ვერც ავსა და ვერც კარგზე მსჯელობას, უბრალოდ, ვერ მოისმენთ.

ამ იდეოლოგიას თავს გვახვევენ. გიჟების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, „ფსიხუშკებში“ წლები მაქვს გატარებული და მათ მიმართ სავსებით ტოლერანტულად ვარ განწყობილი. ჩემი ერთადერთი პირობაა – ნუ მომახვევთ

ჩემთვის უცხო იდეებს. მასსოვს ჩემი პირველი კამათი სუკ-ის გამომძიებელთან. მაშინ 16 წლისა ვიყავი. გამომძიებელმა მკითხა: „ასე რატომ გძულვართ?“. მე ვუპასუხე: „მე თქვენ არ მძულხართ. უბრალოდ, თქვენი არა მჯერა. თქვენ გინდათ კომუნიზმის აშენება – შესანიშნავია! აშენეთ, რამდენიც გინდათ! მაგრამ რატომ არა მაქვს უფლება, მქონდეს საკუთარი 2 კვადრატული მეტრი, სადაც კომუნიზმი არ იქნება?“

2009 წ.

<http://regions.ru/news/2242306/>

თარგმნა თამაზ ჯოლოგუამ

ჯემალ ქარჩხაძე

მონოლოგი დიალოგიდან

(ნაწყვეტი)

მაღალი ინტელიგენტური სული დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ ტრიალებს. იმიტომ, რომ ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არ გვყავს. მე ინტელიგენტში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელიგენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლების მოწმობაა. ასეთი ინტელიგენტები არათუ გვყავს, იმაზე მეტიცა გვყავს, ვიდრე სასურველია. ინტელიგენტში მე ვგულისხმობ ადამიანს, რომელსაც ცხოველური საწყისი ბოლომდე დაძლეული აქვს და მხოლოდ სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად ცხოვრობს. ასეთი ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი მოვლენაა. ბუნებრიობა მისი არსებობის ყოვლისმომცველი ფორმაა, შეიძლება ითქვას, ის ენაა, რომელზედაც მისი ცხოვრების ისტორია იწერება. ამიტომ ინტელიგენტის ნიშან-თვისებებზე ლაპარაკი არასწორი იქნება. არ შეიძლება, მაგალითად, იმის თქმა, რომ პატიოსნება ინტელიგენტის თვისებაა, როგორც არ შეიძლება იმის თქმა, რომ სუნთქვა ადამიანის თვისებაა. სუნთქვა არის არა თვისება, არამედ გარდუვალობა. ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დემოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავმდაბალი არ იყოს... ან: ინტელიგენტს არ შეუძლია პატივმოყვარე იყოს, ამპარტავანი იყოს, შური აწუხებდეს, ცდუნებას აჰყვეს, კრიტიკა აღიზიანებდეს, ჩინ-მედლებს მიეღტვოდეს...

თუ ვინმეს ეს სურათი ზედმეტად მაქსიმალისტური მოეჩვენოს, გადაავლოს თვალი ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მელიქიშვილის და უამრავ მათ თანამედროვეთა პირად ცხოვრებას და დარწმუნდება, რომ გადაჭარბებული აქ არაფერია.

ერთი გარეგანი ნიშანიც ვიცი ინტელიგენტისა: ხეპრე ვერ იტანს.

ინტელიგენტი სანთელია, რომელიც თავისი ცხოვრების არეს ანათებს. როცა ქვეყანაში ასეთი სანთელი ბევრია, მაშინ ქვეყანა გაჩირადნებულია. რაც უფრო ცოტაა სანთელი, ქვეყანაც მით უფრო ჩაბნელებულია, სიბნელეში კი არა მარტო ქურდები გამოდიან საშოვარზე; ბევრი იმათგანი, ვინც თავს პატიოსნად თვლიდა და, შესაძლებელია, იყო კიდევ პატიოსანი, არ შეიძლება ცდუნებას არ აჰყვეს.

როგორც სინდისსა აქვს ბიოლოგიური შემკავებლის ფუნქცია, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია, ისე ინტელიგენციას აქვს საზოგადოებრივი შემკავებლის ფუნქცია, რაც უფრო მაღალი ზნეობრივი საფეხურია და კანონიერებისა და სამართლიანობის საწინდარი. ამავე დროს ინტელიგენცია, როგორც ერის სახე და მისი პოტენციის საზომი, სულიერი განვითარების მამოძრავებელი ძალაა, ზღაპრული რაშების მათრახიცა და ლაგამიც.

საქართველოში ასეთი ინტელიგენცია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა კიდევ და ჩვენმა ისტორიამაც შვებით ამოისუნთქა, რადგან სწორედ ეს იყო ერის გადარჩენის ერთადერთი პირობა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი უკვე შეიძლებოდა ლაპარაკი არა მარტო იმაზე, რომ საქართველომ საბოლოო დაადწია თავი შუა საუკუნეების სიბნელეს, არამედ იმაზეც, რომ საქართველოს ამისათვის მინიმალური დრო დასჭირდა, რაც ერის დიდი შინაგანი ძალის მაჩვენებელი იყო.

დღეს ინტელიგენცია, არსებითად, არა გყავს. ის რამდენიმე სანთელი, რომლებიც ჯერ კიდევ ანთია, მხოლოდ რამდენიმე სანთელია და ერთიან სინათლეს ვერ ქმნის. ოცდაათიანი წლების ნაჯახმა ჩვენს ეროვნულ ხეს მთავარი ტოტები დააჭრა. საქართველო უმთავრესად სწორედ ინტელიგენციისაგან გაიწმინდა (ხეპრე ვერ იტანს!), ტრადიცია კი ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ძალისა, რომ გადაჭრილი ტოტების ადგილას ახალს ამოეყარა. ამას არც დრო უწყობდა ხელს და არც გონიერება. ინტელიგენცია რომ შეიქმნას იქ, სადაც ინტელიგენცია არ არის, პირველ რიგში, საჭიროა იმის აღიარება, რომ ინტელიგენცია არ არის. ჩვენში კი დრომ და უგუნურებამ ხელოვნური ინტელიგენციის გამოჩარხვა სცადა. ეს უაზრობაც იყო და ძალადობაც, რადგან არაინტელიგენტს ისევე ვერ მოსთხოვ ნამდვილ ინტელიგენტობას, როგორც კოჭლს ვერ მოსთხოვ გამართულ სიარულს. კოჭლს შეუძლია იბტუნოს, იცეკვოს, ირბინოს, მაგრამ გამართულად ვერ ივლის, ინტელიგენტობა კი სწორედ გამართული სიარულია.

ვიცი, ეს მარტო საქართველოს უბედურება არ არის, მაგრამ ის კი არ ვიცი, როდის ჩავრთეთ დამატებითი სიჩქარე და რომელ ეტაპზე გადავუსწარით სხვებს, ისეთი რა იმალებოდა ჩვენი ბუნების ღრმა შრეებში, რომ დრომ და ვითარებამ ასეთ სარეველად წამოშალა. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, თითქოს მეტისმეტად ვამუქებ ფერებს, იქნებ ვინმე შემომწერეს კიდევ, მაგრამ წყრომას ახლა მგონი ისა სჯობს, ძილ-ბურანს თავი დავადწიოთ და დაკვირვებით მიმოვიხედოთ. ჩვენ უნიკალური მოვლენის მოწმე ვართ – ერი თვალდათვალ იცვლის სახეს. ცოტაც

და იმ საქართველოდან, რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია აღბეჭდილი და რომელიც გვიყვარს, სულ სხვა საქართველოს მივიღებთ. ვიდრე მტერი გარეთ გეყავდა, ვებრძოდით და ვუმკლავდებოდით კიდევ, როცა სულში გაგვიჩნდა და შემოგვიტია, დავიბენით, რადგან საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლა არ ვიცით. ჩვენი სიმღერა და სიყვარული კვლავაც ხმაურიანია, მგზნებარე და პათეტიკური, მაგრამ სიმღერისა და სიყვარულის საგანი თუ ხელიდან გამოგვეცალა, უსაგნო სიმღერასა და სიყვარულს რას ვაქნევთ! დროა თვალი გავახილოთ, იქნებ უფსკრულისკენ მივექანებით, ჩვენ კი, რაკი კუდაბზიკობა ამის გამხელის ნებას არ გვაძლევს, გვეონია, თითქოს საზეიმო დემონსტრაციაზე მივაბიჯებთ! თუ ახლა არ შევჩერდით, თუ ახლა ბეჯითად, ღრმად და დაუნდობელი სიმართლით არ გავარკვიეთ, რა ჭირი გვჭირს, თუ ახლა ჩვენი შანსი – ვინ იცის, უკანასკნელი – არ გამოვიყენეთ, თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ჩვენი გულარხეინობა და ღვთისმომიმედობა, ხვალ ჩვენს ადგილას სხვა საქართველო იქნება – ვაჭრუკანა, ცბიერი, ხარბი, უვიცი. ვისაც თვალი აქვს, არ შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ რაღაც გადაუბიჯებელ ზღვარს გადავაბიჯეთ და ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცალა. ჩვენი განთქმული პატრიოტიზმი ფარსად იქცა, ჩვენი ცნობილი თავმომწონეობა – თვალთმაქცობად, ჩვენი მომხიბლავი არტისტიზმი – ტაკიმასხარობად, ჩვენი ღირსეული სიამაყე – ბაქიაობად. ჩვენ კვლავ მივადექით პროვინციალიზმის ჭაობს, საიდანაც მეცხრამეტე საუკუნის ტიტანური მეცადინეობის წყალობით ამოვედით. ჩვენმა ცრუმხატვრობამ, ცრუპათეტიკამ, ცრუეროვნულობამ, ცრუპუბლიცისტიკამ, ცრუმორალმა ჩვენვე წაგვლექა.

როცა ქვეყანას პროვინციალიზმის ხავსი მოედება, არ შეიძლება მორალი არ შეირყენას. სადაც არ არის ინტელიგენცია – ბუნებრივი შემკავებელი, იქ განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით უნდა მოქმედებდეს კანონი – ხელოვნური შემკავებელი, მაგრამ კანონს თუ რჩეულები პყავს და ამგვარად საყოველთაობის ფუნქცია დაკარგული აქვს, ის უკვე კანონი აღარ არის და ეს ხელოვნური ზღუდეც დაქცეულია. ეს ობიექტური მიზეზი კია, მაგრამ ობიექტურ მიზეზს ახსნა შეუძლია და არა გამართლება. საუკუნეების განმავლობაში რომ მშივრები ვიყავით, განა შეიძლება ეს იმის გამართლებად გამოდგეს, რომ, რაკი საჭმელი ვიშოვეთ, გაძღომა ვერ გავიგოთ, ზნეობა ნიღბად ავიფაროთ და გულში ოქროზე ვლოცულობდეთ, ომახიანად ვიდახოთ, უმაღლესგანათლებულთა რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა ვართო, ჭეშმარიტად მოწინავე კი მხოლოდ მუცლის გარეშემოწერილობით ვიყოთ!..

გაგებდოთ და ვთქვათ: ჩვენს ეროვნულ ნავს ძირი აქვს გახვრეტილი და წყალი შემოგვდის. კი ვცდილობთ ამოვხაპოთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა „პროფილაქტიკური ზომებია“ და საქმეს ვერ შევლის. შედეგის წამლობა მიზეზს ვერ განკურნავს. თანდათან მთელი ზღვა შემოვა და მთელ ზღვას ხომ ვერ ამოვხაპავთ! ადრე თუ გვიან დავიქანცებით, ჩვენი საქმიანობის უაზრობასაც დავინახავთ, ხელს ჩავიქნევთ, ყველაფერს ბედის ანაბარა მივატოვებთ და ჩავიძირებით კიდევ. ამიტომ მე მინდა ვუთხრა ყველა მენავეს, რომ ამოხაპვა ამას გარჯაა. ვიდრე ნახვრეტს არ დავგმანავთ, მანამ არაფერი გვეშველება...

1988 წ.

წიგნში: **ჯ. ქარჩხაძე**. პუბლიცისტიკა. თბ.: 2005, გვ. 35-40.